

ზელნაწერთა ეროვნული ცენტრი

თამაზ გოგოლაძე

**ბორჯომის ხეობის ისტორიული და
ხუროთმოძღვრული ძეგლები**

(გზამკვლევი)

Tamaz Gogoladze

**The Historical and Architectural Monuments
of the Borjomi Gorge**

(Guidebook)



**გამომცემლობა „ენივერსალი“
თბილისი 2014**

გზამკვლევში მოცემულია ბორჯომის ხეობის ხუროთმოძღვრული ძეგლების მოკლე ისტორიები. თითოეულ ძეგლს ბოლოში დართული აქვს სრული ბიბლიოგრაფია, რც დიდ დაბმარებას გაუწევს მკვლევრებს აღნიშნული ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლებზე მუშაობისას. გარდა ამისა, გზამკვლევს აქვს მნიშვნელოვანი სამეცნიერო ღირებულებაც. ნაშრომში დაზუსტებულია ქრონიკის ცხოვრებაში ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა გრიგოლ სანცოვლის ცხოვრებაში დასახელებული კვირიკეწმიდის ღოგოლიზაციის საკითხი და სხვ. ასევე გზამკვლევში პირველად ქვეყნდება ფოთოლეოს ეკლესის საკაწრი წარწერები და ასევე ექსპლიციების დროს გამოვლენილი არაერთი დღემდე უცნობი წარწერა.

გზამკვლევის ბენეფიციარებად განვიხილავთ მეცნიერების სხვადასხვა სეგმენტის წარმომადგენლებს (მეცნიერებს, მკვლევრებს, დოქტორანტებს, მაგისტრანტებს, სტუდენტებს და სხვ.), კულტურის მუშაკებს, ტურისტებსა და ბორჯომის ხეობისა და მისა მატერიალური კულტურის ძეგლების ისტორიით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას.

Short histories of the monuments from the Borjomi Gorge are given in the guidebook. Each monument is supplied with complete bibliography that is of big assistance to scholars working on monuments of material culture from the Borjomi Gorge. The guidebook has a certain scholarly value since significant issues of the Georgian historiography have been made more precise, e.g. localization of the Kviriketsmida Monastery mentioned in the “Life of Grigol Khantsteli” was resolved; graffiti from Potoleti church and unknown inscriptions from different churches revealed during the field work are first time published.

The guidebook will benefit to representatives from various segments of science (researchers, scholars, postgraduate students, masters, university students, etc.), workers of culture, tourists and all interested in history of the Borjomi Gorge and of its material culture monuments.

რუკა შეადგინა: ალექსანდრე მესარეკიშვილმა
Map compiled by Aleksandre Mesarkishvili.
თარგმა: ლადო მირიანშვილმა
English translation by Lado Mirianashvili.

პროექტი „ბორჯომის ხეობის ისტორიული და ხუროთმოძღვრული ძეგლები (გზამკვლევი)“ განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მოპოვებული პრეზიდენტის გრანტის (№52/34) ფინანსური მხარდაჭერით

The project “Historical and architectural monuments of the Borjomi Gorge (Guidebook)” was funded by Presidential research grant (S (№52/34) supported by the Rustaveli National Science Foundation.

© თ. გოგოლაძე, 2014

გამომცემლობა „კენიარსალი“, 2014

თბილისი, 0179, ი. ვაკევაძის გამზ. 19, თე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-

შესავალი

ისტორიული თორი - აწინდელი ბორჯომის რაიონი სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: მტკვრის ხეობის ორივე ნაპირი ტაშისკარიდან დვირამდე, გუჯარეთი და შავწყალა ანუ სადგერის ხეობა.

ჩვენი გზამკვლევიც ამავე პრინციპით გვაქვს აგებული. აღნიშნულ ნაშრომში თავდაპირველად ბორჯომის ხეობის ხუროთმოძღვრული ძეგლებია მოცემული ტაშისკარიდან სლესის ციხის ჩათვლით, ამის შემდეგ მოდის გუჯარეთის ხეობის ეკლესია-მონასტრები თუ ციხე-სიმაგრეები, ხოლო სულ ბოლოს ჩვენ თხრობას ვამთავრებთ შავწყალას ხეობის ხუროთმოძღვრული ძეგლებით. გზამკვლევში თავმოყრილია ბორჯომის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ დაგროვილი ცოდნა შეჯამებული სახით. გარდა ამისა, გზამკლევში თითოეული ხუროთმოძღვრული ძეგლი ცალკე თავად არის გატანილი, რომელსაც დართული აქვს სრული ბიბლიოგრაფია. ეს ყოველივე ხელს შეუწყობს აღნიშნული მხარის ამა თუ იმ ხუროთმოძღვრული ძეგლით დაინტერესებულ მკვლევრებსა და დაინტერესებულ პირებს კვლევა-ძიების პიროცესის ეფექტურად და დროულად განხორციელებაში. აღნიშნული გზამკვლელის ბოლოს მოცემულია ბორჯომის ხუროთმოძღვრული ძეგლების ფერადი ფოტოები, სადაც თითოეულ ძეგლს დართული აქვს მოკლე ანოტაციები როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე. გზამკვლევს პირველ და ბოლო ყდაზე დართული აქვს ასევე ფერადი რუკა, სადაც ლეგენდებით ანუ პირობითი ნიშნებით დატანილია ყველა ეკლესია-მონასტერი თუ ციხე. პარალელურად ამისა, რუკაზე აღნიშნულია სასტუმროები და ბენზინ-გასამართი სადგურები, რომელიც აღნიშნულ ხეობაში მდებარეობს. ეს ყოველივე დაეხმარება აღნიშნულ ხეობაში ჩამოსულ ტურისტს აღნიშნული ხეობის მონახულება-გაცნობაში. ეს ყოველივე კი იქნება

საფუძველი ამ რაიონში ტურიზმის კიდევ უფრო განვითარებისა, რადგან, როგორც ცნობილია, ბორჯომის ხეობა საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკურორტო ზონას წარმოადგენს.

გზამკვლევს აქვს ასევე სამეცნიერო ღირებულებაც. აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორცილებული ექსპედიციების დროს გამოვლინდა ქართული სამეცნიერო წრეები-სათვის არაერთი უცნობი წარწერა. გარდა ამისა, დაზუსტდა რამდენიმე წარწერის არასწორი წაკითხვა. ამ პროექტის ფარგლებში პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში წავიკითხეთ ფოთოლების ტამარში 2008 წელს აღმოჩენილი სარკოფაგის სახურავზე შესრულებული ნაკაწრი წარწერები და ისინი შევისწავლეთ ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ოვალ-საზრისითაც. ამის პარალელურად, ჩითახევის ეკლესიის ანტეფიქსის წარწერის საშუალებით საბოლოოდ დოკუმენტურად მოვახდინეთ კვირიკეწმიდის ლოკალიზაცია და აღნიშნული მონასტერი საგსებით სამართლიანად გავაიგივეთ სოფ. ქვაბისხევის პირდაპირ მდებარე, საკვირიკეს სახელით ცნობილ სამონასტრო კომპლექსთან. გარდა ამისა, ექვთიმე თაყაიშვილის პირად არქივში მივაკვლიეთ მეტად მნიშვნელოვან წერილს, სადაც საუბარია რომანოვების ბორჯომში მმართველობის დროს სადგერისა და ჩითახევის ეკლესიებში ეპიგრაფიკული ძეგლების განადგურების შესახებ. აღნიშნული უცნობი ეპიგრაფიკული ძეგლები და საარქივო მასალები დართული აქვს გზამკვლევს ბოლოში სტატიების სახით.

გზამკვლევის წარმატებით განხორციელებაში პირველ რიგში დიდი მადლობას მოვახსენებთ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, ასევე დიდ მადლობას ვუხდით: ისტორიის დოქტორს – ბატონ თემო ჯოვანას, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს – ქალბატონ მზია სურგულაძეს, ისტორიკოსს – ბატონ ლადო მირიანაშვილს, ისტორიკოსს – ქალბატონ მზია ქოზაშვილს, ბორჯომის მხარეთ-

მცოდნეობის მუზეუმის დირექტორს – ქალბატონ ვიოლეტა ბალახაშვილს და მუზეუმის თანამშრომლებს; ასევე მადლობას ვუხდით თანადგომისთვის ჩემს მეგობრებს: ისტორიის დოქტორს – გელა ქისტაურს, ისტორიის მაგისტრს – ირაკლი გელაშვილს, ისტორიის მაგისტრს – ნინო ხარშილაძეს, ილია გოგოლაძეს, გიორგი მაისურაძეს, ვლადიმერ მაისურაძესა და საბა ლომსაძეს.

სულ ბოლოს, დიდი მადლიერებით მინდა მოვიხსენიო აწ განსვენებული, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი – ბატონი ღევრი ბერძენიშვილი. მისი წიგნები (ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ზემო ქართლი–თორი, ჯავახეთი); გუჯარეთი და სხვ.), ჩვენი ექსპედიციების დროს მოპოვებულ მონაცემებთან ერთად, იყო ის ძირითადი მასალა, რითაც ამ გზამკვლევის შედგენისას ვხელმძღვანელობდით.

Introduction

Historical Tori, nowadays Borjomi region, comprised three principal areas: a) both embankments of the river Mtkvari Gorge from Tashiskari up to Dviri, b) Gujarat, and c) Shavtskala, i.e. the Sadgeri Gorge.

The guidebook is structured in conformity with the above-mentioned territorial division. First are described architectural monuments of the Borjomi Gorge starting from Tashiskari as far as to Slesistsike. Next are overviewed churches and fortresses of the Gujarat Gorge, and finally architectural monuments of the Shavtskala Gorge. Available knowledge about monuments of material culture of the Borjomi Gorge is summarized in the guidebook. A separate chapter is dedicated to each architectural monument, including complete bibliography.

This type of structuring will assist scholars, as well as all interested individuals, to search for each entry about architectural monuments of the region effectively and swiftly. Color photos of the architectural monuments of the Borjomi Gorge are appended to the end of the text. Each photo is supplied with bilingual annotation in Georgian and English. Color map of the region under consideration is found on the front and back covers of the guidebook. Each church and fortress in the map is shown by conventional marks. The map also shows hotels and petrol stations along the route in the gorge.

The guidebook is expected to be very resourceful to tourists visiting the gorge. It will assist in furthering tourism within the region, which is one of the most important resort areas.

A scholarly approach is one of the benefits of the guidebook. A number of inscriptions unknown to the scholarship was revealed in a process of expeditions launched

for the purpose of collecting materials for the guidebook. Apart from that, incorrect readings of certain inscriptions were identified and corrected. Inscriptions on the cist lead, which was discovered in 2008, were first time read and studied by me. Textological, historical and source study methods were used in a process of conducting the research. Based on the inscription found on an antefix from the Chitakhevi Church, I have localized Kviriketsmida Monastery. I justly identify it with a monastic complex known under the name of Kviriketsminda, located opposite the village of Qvabiskhevi. Apart from that, I found a letter of special importance in the archives of Eqvtime Takaishvili. It concerns intentional destruction of epigraphic monuments in Sadgeri and Chitakhevi churches in the times when the Romanovs governed in Borjomi. These unknown epigraphic monuments and archive materials are appended to the end of the text in a form of articles.

Short histories of the monuments from the Borjomi Gorge are given in the guidebook. Each monument is supplied with complete bibliography that is of big assistance to scholars working on monuments of material culture from the Borjomi Gorge. The guidebook has a certain scholarly value since significant issues of the Georgian historiography have been made more precise, e.g. localization of the Kviriketsmida Monastery mentioned in the “Life of Grigol Khantsteli” was resolved; graffiti from Potoleti church and unknown inscriptions from different churches revealed during the field work are first time published.

The guidebook will benefit to scholars, students, postgraduate students, tourists and all interested in history of the monuments of material culture from the Borjomi Gorge.

Acknowledgments

I extend my thanks in the first place to Rustaveli National Science Foundation for giving me the opportunity to work on and to complete the guidebook. I am grateful to Doctor of History Temo Jojua, Doctor of Historical Sciences Mzia Surguladze, historian Lado Mirianashvili, historian Mzia Qozashvili, Director of the Borjomi Museum of local lore, history and economy Mrs. Violetta Balakhashvili and the staff members. Further thanks must be extended to my friends and colleagues: Doctor of History Gela Qistauri, Master of History Irakli Gelashvili, Masters of History Nino Kharshiladze, Ilia Gogoladze, Giorgi Maisuradze, Vladimer Maisuradze and Saba Lomsadze.

Lastly I would like to mention with gratitude the late Professor Devi Berdzenishvili, Doctor of Historical Sciences. This guidebook was made possible thanks to information collected from his books (*Studies in Historical Geography of Georgia (Upper Kartli-Tori, Javakheti), Gujarat, etc.*), which have complemented materials collected in a course of my field work.

2. ბორჯომის ხეობის ისტორიული და ხუროთმოძღვრული ძეგლები

ახალდაბის ციხე

ახალდაბის ციხე (სურ. 1) მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას, მაღალი მთის წვერზე მდებარეობს. ციხეს ჩრდილო-აღმოსავლეთის შერიდან ჩამოუდის ნეძვურას წყალი. აღვილობრივი მოსახლეობა მას „თამარის ციხეს“ უწოდებს. თუმცა სერგი მაკალათია მას „ციხის გვერდი“-ს სახელით მოიხსენიებს. ახალდაბის ციხემდე, ქვემოთ მტკვარზე, X საუკუნის ხიდის ბურჯებია შემორჩენილი. ხიდის დასაცავად, მარჯვენა ნაპირზე XVIII საუკუნის შუა წლებში ცილინდრული კოშკი აუგიათ, რომელსაც „ხიდის კოშკს“ ეძახიან. კოშკისაგან მხოლოდ 4 სართულია შემორჩენილი. ყველა სართულზე საოფურები და თითო ბუხარია.

ქართულ ნარატიულ წყაროებში ახალდაბის ციხე პირველად უამთააღმდერელთან იხსენიება. როგორც ცნობილია, 1260 წელს საქართველოს მეფე დავით VII ულუ (1247-1270 წწ.) მონღოლებს აუჯანყდა, თავის მხრივ მონღოლებმა მის წინააღმდევ სარდალ არღუნის მეთაურობით დამსჯელი ლაშქარი გაგზავნეს. არღუნი სურამთან დადგა, ამის პარალელურად მეფის ერთგული მხედრობა სამცხის მთავარ სარგისის მხედარმთავრობით „წარემართნეს და განვლეს ჭიდი ახალდაბისა“. ამის შემდეგ მეფის ერთგულმა ჯარმა გაიარა ვიწრო ხეობა და ტაშისკართან მონღოლები სასტიკად დაამარცხა, თუმცა მონღოლებმა შეძლეს ქართველი დიდებულების დახმარებით აჯანყებულთა წინააღმდეგობის გატეხვა და გადამწყვეტი ბრძოლა მათი გამარჯვებით დამთავრდა. გამარჯვებულმა მონღოლებმა ქართველთა ლაშქარს „სდევნეს ახალდაბის ხიდამდე გინა უმეტესცა“.

1526 წელს ახალდაბას ალთან და სურამთან ერთად-სამფლობელოდ იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-1565 წწ.) იღებს. 1609 წელს გამართულ ტაშისკარის ცნობილ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ითამაშა ახალდაბის სტრატეგიულ-მა ძლებარეობამ. ქართველთა ჯარის სარდალმა გიორგი სააკაძემ ახალდაბაში დაბანაკებით თურქებს მტკვრის ხეობით გასაქცევი გზა მოუჭრა და მტერს სასტიკი დამარცხება აგება.

XVIII საუკუნის სახელოვანი ისტორიკოსი და გეოგრაფი – ვახუშტი ბატონიშვილი შემდეგი სახით აღწერს ახალდაბის ციხეს: „ახალდაბის სამხრით არს ციხე მაღალსა კლდესა ზედა, დიდნაშენი და მაგარი“.

1744 წელს გივი ამილახვარი ირანელების წინააღმდეგ აჯანყდა. განდგომილი ფეოდალის წინააღმდეგ ბრძოლა სპარსეთის მმართველმა ნადირ-შაჰმა (1736-1747 წწ.) ქართლის მეფე თეიმურაზ II-ს (1744-1762 წწ.) დაავალა. ამის საპასუხოდ ამილახვარმა დახმარებისათვის ოსმალებს მიმართა. ქართლის მეფემ (იგულისხმება თეიმურაზ II – თ.გ.) სამცხის თავადებს სთხოვა დახმარება და პატიების პირობა აღუთქვა. ამის გარდა, ქართლელი ფეოდალი – ყაფლან ორბელიანი მიაგზავნა შერიგების მიზნით აჯანყებულ ამილახვრის შვილ დიმიტრისთან, „რომელი იყო ახალდაბის ციხეში გამაგრებული, ვითაც ყაფლანის და ედგა დიმიტრის და სიძე იყო მისი. სიტყვას ისმენდა, დაიბარა ბატონმა თავისთან, სთხოვა ციხე და დაპირდა წყალობასა ფრიადსა. ვითაც ორბელიანთ წესი არის ბატონის ერთგულობა და სამსახურის ბეჯითობა, ყაფლან ორბელიანი ეგრე გულსმოდგინებით გაისარჯა. დართო ნება დიმიტრიმ, მოვიდა ბატონთან, მოართვა ციხე ახალდაბისა“.

1743 წლის გივი ამილახვრის გაგზავნილი წერილიდან ბარბიძ და ლუარსაბ ამილახვრიშვილებისადმი ვიგებთ, რომ მას სურამისა და ახალდაბის ციხეები შეუკეთებია. 1747

წელს მეფე თეიმურაზმა ახალდაბის ციხე ქაიხოსრო ორბელიანს გადასცა, რომელმაც ციხეში თავის მხრივ თავისი ცოლ-შვილი გაამაგრა ნადირ-შაჰის ლაშქრობის მოლოდინში.

1772 წელს გერმანელი მოგზაურის – იოჰან გიულდენ-შტედტის ნაშრომში „მოგზაურობა საქართველოში“ ახალდაბის ციხე დაცარიელებული და გაუკაცრიელებული ჩანს. ციხე საგრძნობლად დააზიანა 1920 წელს მომხდარმა მიწისძრამ.

ახალდაბის ციხე სტრატეგიულად ძალზედ ხელსაყრელ აღგიღზე მდებარეობს. ციხე მნელად მისადგომია, ერთადერთი გზა მიდის ჩრდილოეთის მხრიდან. დღესდღეობით ახალდაბის ციხე დანგრეულია, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ მისმა ჩრდილო-აღმოსავლეთმა მხარემ. გადარჩენილი ციხის სიმაღლე 10 მეტრს აღწევს. ციხეს ქვემო გალავანიც პქონია, რომელიც მას იცავდა სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან. გალავნის ნაწილი დაშლილია, რომელიც ნაგებია ლოდებითა და დუღაბით. გალავანი მთის რელიეფს მიუყვება და უსწორმასწორო ფორმისაა. გალავნის შიგნით, მცირე ფართობზე ციტადელია. მის კედლებში რამდენიმე სართულიანი კოშკებია ჩართული. ციხის ქვედა ნაწილში საცხოვრებელი სახლები და წყალსაცავია. ციხეში კარგად ჩანს ჩაქცეული სათავსოების საძირკველი. დასავლეთ კუთხეში შეინიშნება ქვითკირით ამოშენებული ნახევრად დაშლილი დიდი ხარო. ციხეს ეტყობა რესტავრაციის კვალი.

ახალდაბის ციხე იცავდა ნებვისა და მტკვრის ხეობას, რომელიც მას უვლის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ახალდაბის ციხე კეტავდა ქართლის ცენტრალურ ნაწილს – მტკვრის ხეობაში შემოსასვლელს.

ახალდაბის ციხეს VIII-IX; IX-X და X-XI საუკუნეებით ათარიღებენ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველო-სა, – წგნ.: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყუეხიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1973 წელი
2. დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი, თბილისი, 1985 წელი
3. ბ. გელაშვილი, თორის ხეობის თავდაცვითი ნაგებობები ისტორიისათვის, ახალაციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გულანი, № 10, ახალციხე 2011 წელი
4. ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი
5. გულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბილისი 1962 წელი
6. 6. კვეწერელი-კოპაძე, საქართველოს ძველი ხიდები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1972 წელი
7. ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბილისი 1957 წელი
8. ორბელიანი პაპუნა, „ამბავნი ქართლისანი“, ტექსტი და ადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საბიბლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1981 წელი
9. საქართველო ენციკლოპედია, ტომი I, ა-გ, ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, თბილისი 1997 წელი
10. ქართლის ცხოვრება, ტექსტები გამოსაც. მოამზადეს: მიხეილ ქავთარია და სხვ.; ბიბლიოგრ. შემდგ. ვალერი სილოგავა; სად. შემდგ. ნესტან ბაგაური; მხატვ. შოთა ნიორაძე; ილ. ბუბა კუდავა, თბილისი გამომცემლობა „მერიდიანი“ „არტანუჯი“, 2008 წელი

11. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედია, ა-გ, ტომი II, თბილი-
სი 1977 წელი
12. გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე, გამომცემლობა „ნაკადუ-
ლი“, თბილისი 1964 წელი
13. Закарая Пармен, Древние крепости Грузии / П. Закарая
; [Ред. В. Беридзе]. - Тбилиси : "Мерани", 1969.
14. Закарая Пармен.Памятники Восточной Грузии. М.
1983 г
15. Dubois, Frederic de Montpereux, Voyage autour du
Caucase, chez les Tcherkesses et les Abkhases, en Colchide, en
Georgie, en Armenie et en Crimée : avec un atlas
geographique, pittoresque, archeologique, geologique, etc. / par
Frederic Dubois de Montpereux. - Paris : Libr. de Gide, 1839
16. Rapports sur un Voyage Archéologique dans la Géorgie et
dans l'Arménie, Exécuté en 1847-1848 par M. Brosset, t. II,
1850

ფოთოლეთის ეკლესია

ფოთოლეთის მონასტერი (სურ. 2) მდებარეობს ბორჯომის რაიონში, სოფელ ახალდაბიდან სამხრეთით 5 კილომეტრის მნიშვნელზე, მთის ოდნავ გაგაებულ ფერდზე. ტაძარს სახელწოდება ფოთოლეთი შემორჩა მისი მდებარეობიდან გამომდინარე, რადგან იგი მდებარეობს ფოთოლეთად წოდებულ ტყეში.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ფოთოლეთის მონასტერს აიგივებენ გრიგოლ ხანძთელის მოწაფის ქრისტეფორეს მთერ დაარსებულ კვირიკესტმინდის ტაძართან და მისი აშენების თარიღად – IX საუკუნის 40-იან წლებს მიიჩნევენ. თუმცა არქიტექტურული მონაცემების საფუძველზე ტაძრის აშენების თარიღად ასევე მიღებულია უფრო ზოგადი ქრონოლოგიური მონაკვეთი – IX-X საუკუნეები.

ფოთოლეთის ეკლესია სამეცნიერო ბაზილიკას წარმოადგენს. ტაძარი ნაშენია მოვარდისფრო-მოყავისფრო ტონის უხეშად დამუშავებული ზომის ქვებით, რომელიც მხოლოდ პირითა მხრიდანაა მოსწორებული. შედარებით წესიერად გათლილი დიდრონი ქვები ნახმარია პილასტრებისა და ღიობთა წირთხლებისათვის. შუა ძირითად სივრცეს სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ერტყმის ერთიანი სამშერივი გარშემოსავლელი, რომელსაც მხოლოდ ჩრდილოეთის ფრთის აღმოსავლეთ ბოლოში გამოეყოფა მოგრძო აფსიდიანი ცალკე სათავსი – სამკვეთლო. ეკლესიის შუა ნაწილს გარშემოსავლელთან ორი კარი აკავშირებს – სამხრეთისა და დასავლეთისა, რომელთა პირდაპირ არის გაჭრილი თვით ეკლესიის შესასვლელებიც. სამკვეთლო თითო კარითაა დაკავშირებული ცენტრალურ ნაწილთან და გარშემოსავლელთან. VIII-IX საუკუნეების ბორჯომის ხეობის სხვა ეკლესიების მსგავსად, ფოთოლეთის ტაძარს ახასიათებს სისადავე, ლაკონურობა და სამკაულების ნაკლებობა.

1939 წელს ფოთოლეთის ეკლესიის შენობაში სიძველეთა კომიტეტის მიერ ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ რ. მეფისაშვილი და ზ. მაისურაძე. ამ დროს გამოვლინდა ტაძარში X საუკუნის კანკელი და კარნიზის დეკორატიული მორთულობისათვის განკუთხვნილი სამკუთხედის ფორმის ბოლოების მქონე კრამიტები, რომელთა ჩაღრმავებულ სამკუთხედებში მოქცეულია ერთმანეთის პირის-პირ ძვირმი ირმების რელიეფური გამოსახულებები. ფოთოლეთის ეკლესიის ძველი კანკელის ფრაგმენტები ამჟამად შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება, რომლის მარცხენა ბოძის სიგრძეზე ამოკაწრულია XI საუკუნის წარწერები, რომელიც შესწავლის პროცესშია და მაღე გახდება ცნობილი ფართო სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

2007-2008 წლებში ფოთოლეთის ეკლესიაში რესტავრაციის საპროექტო სამუშაოებისათვის აუცილებელი არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა. 2007 წელს არქეოლოგიურ გათხრებს ხელმძღვანელობდა რ. დავლიანიძე, ხოლო 2008 წელს კი რ. ხვისტანი. სწორედ 2008 წლის არქეოლოგიური გათრების ფარგლებში ეკლესიის ჩრდილო გარშემოსავლელში, უფრო კონკრეტულად, სამკეთლოს დასავლეთით, კედლის ძირში გამოვლენილ იქნა აკლდამა. აკლდამის სახურავ ქვის ფილაზე შესრულებულია შერეული ასომთავრული, ნუსხური და მხედრული ნაკაწრი წარწერები. ამჟამად აღნიშნული წარწერიანი ქვის ფილა ბორჯომის შარეთმცოდნების მუზეუმში ინახება.

აღნიშნული ქვის ნაკაწრი წარწერები ჩვენ რამდენგზის მოვინახულეთ მათი შესწავლის მიზნით, ადგილზე წავიკითხეთ წარწერის ტექსტები, დავამზადეთ მათი პალეოგრაფიული პირები და მოვახდინეთ ასევე მათი ფოტოფიქსაცია. აღნიშნული წარწერები პალეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე XI საუკუნით დავათარიღეთ. წარწერები შინაარსობრივი თვალსაზრისით სავედრებელ წარწერათა ჯგუფს

მიეკუთვნება: „ა) ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ნიკოლოზ; ბ) ქ. უფალო შ(ეიწყალ)ე საწყალობელი სული შალვასი, ლოცვა ყავთ ღ{მრ}თისათუ{ი}ს ღ{მრ}თისა მოყვარენო; გ) ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ი{ო}ვანე; დ) ღ{მერ}თმ(ა)ნ ნუ შეუდნეს ცოლვანი მნ{ა}თესა, რ{ომე}ლ ცხოარ არს; ე) ქ. წმიდა გ(იორგ)ი შეიწყალე მონაი შენი შარიაქა და შეუნდვენ ცოლვანი და სხოანი ზრახვიენ რაიმე გრქუა შენ, გონიერო ხეო, უფალო, შუენიერო სამყარო, სა....; ვ) წ(მიდა)ო გ(იორგ)ი შ(ეიწყალ)ე თორნიკ; ზ) ქ(რისტ)ე ღ{მერ}თო.“

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, დღემდე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ბოლო გამოკვლევებით ფოთოლეთის ეკლესიას გრიგოლ ხანცთელის მოწაფის ქრისტეფორეს მიერ IX საუკუნის 40-იან წლებში აშენებულ კვირიკეწმინდასთან აიგივებდნენ.

ზემოთმოყვანილი წარწერები მყარ არგუმენტს წარმოადგენს იმისას, რომ დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრება ფოთოლეთის ეკლესიის გაიგივებისა კვირიკეწმინდის ეკლესიასთან უარყოფილ იყოს. ჩვენ წარწერების მეშვეობით შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ ფოთოლეთის ეკლესია თავიდანვე წმიდა გიორგის სახელობის იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში წარწერაში მოხსენიებული პირები სასოებას წმიდა კვირეკესაგან ითხოვდნენ, მაგრამ როგორც ზემოთ ვნახეთ, ეს ასე არ არის.

მართალია, აღნიშნული წარწერიანი ქვა არქეოლოგიური გათხრების დროს სარკოფაგის თავზე იყო განთავსებული, თუმცა ჩვენ ვფიქრობთ, რომ მან მეორადი გამოყენების ფუნქცია შეიძინა. ამას გვაფიქრებინეს ის, რომ საგსებით დაუკერებელია საფლავის ქვაზე ნაკაწრი წარწერა შეესრულებინათ XI საუკუნეში და მას დღემდე მოეღწია. ამის პრაქტიკა ქართულ ეპიგრაფიკაში საერთოდ არ მოგვეპოვება. ამის საპირისპიროდ კი სავედრებელი წარწერები ეკლესია-მონასტერთა ექსტერიერში და ინტერიერში კი მრავლად გვხდება.

ამ მიზნით ჩვენ მოვინახულეთ ფოთოლეთის ეკლესია და ტაძრის ექსტერიერში მრავლად მოიპოვება ამგვარი ტიპის ქვები, რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ თავდაპირველად ეს წარწერიანი ქვაც ტაძრის ექსტერიერში იყო ჩადგმული. (იხ. დანართი №1).

წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, XVI საუკუნის დასასრულს ფოთოლეთის ეკლესია წყვეტს ფუნქციონირებას.

2011 წლიდან ბორჯომ-ბაკურიანის მიტროპოლიტ სერაფიმეს (ჯოვანა) ლოცვა-კურთხევით აღდგა ტაძარი სამონასტრო ცხოვრება. დღეისათვის ფოთოლეთის ეკლესია მოქმედია და მამათა მონასტერს წარმოადგენს. მთავარი ტაძარი წმიდა გრიგოლ ხანძთელის სახელობისაა, სამხრეთი ნავი წმიდა სერაფიმე საროველის სახელობისაა, ხოლო ჩრდილოეთი ნავში სამკვეთლოა განთავსებული.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. დ. ბერძენიშვილი, ნარკევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი, თბილისი 1985 წელი
2. ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი
3. რ. მეფისაშვილი, გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა სააღმშენებლო მოღვაწეობა ქართლში, საქ. სსრ მეცნ. აკად. სახ. განყ. მოამბე, 1963 წელი, № 4
4. რ. შმერლინგი, ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, თბილისი 1954 წელი
5. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, 6. ათანელიშვილმა, 6. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურცი-

- კიძემ, ც. ჭანკიუგმა და ც. ჯლამაიამ, ილია აბულაძის ხელ-მძღვანელობითა და რედაქტირით, საქართველოს სსრ მეცნიე-რებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1963 წელი
6. რ. ხვისტანი, მასალები საქართველოს ქრისტიანული არ-ქეოლოგისათვის, თბილისი 2009 წელი
7. დ. ხოშტარია, კვირიკეწმინდის ადგილმდებარეობის სა-კითხისათვის, მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის..., 1985 წელი, № 1.
8. დ. ხოშტარია, X საუკუნის სამონასტრო ეკლესიები ტაძრის – საკირის მიდამოებში, მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის..., 1986 წელი, № 3
9. დ. ხოშტარია, IX-X საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლები ბორჯომის ხეობაში, საკანდიდატო დისერტაცია და ავტორეფერატი, თბილისი, 1987 წელი
10. დ. ხოშტარია, ჯავახეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრების ზოგიერთი თავისებურება, „ლიტერატურა და ხელოვნება“ 1997, № 1-2
11. 6. ჯაბუა, ქრისტიანული ტაძრის არქიტექტურული ტი-პები შუა საუკუნეების საქართველოში, თბილისი 2012 წელი
12. Меписашвили Р, Основные особенности трех церковных базилик Грузии, Тфл 1977 г
13. Шмерлинг Р, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962 г
14. Mepisaschwili R, W. Zinzadze, Die Kunst des alten Georgien, Leipzig, 1977
15. Mepisaschwili R, Georgien. Wehrbauren und Kirchen, Leipzig 1987

ნებვი

ნებვი ბორჯომის რაიონში, უფრო კონკრეტულად, სოფელ ახალდაბიდან 12 კილომეტრის მოშორებით, მდ. ნებვურას ხეობაში მდებარეობს. ნებვის მონასტრის აღმშენებელია გრიგოლ ხანცოლის ერთ-ერთი მოწაფე თეოდორე. გრიგოლ ხანცოლმა და მისმა მოწაფეებმა „პოვნეს ორნი ადგილი სამონასტრედ და აღაშენეს სენაკები ორგანვე. და უწოდეს თევდორტს ვანსა ნებვ, ხოლო ქრისტეფორტსა კპრიკე-წმიდავ, და მოწაფენი დაუტევნეს“.

ნებვის ტაძარი IX საუკუნის 40-იანი წლების ხუროთ-მოძღვრულ ძეგლად ითვლება.

ნებვის მონასტერი საქართველოს სამეცნიერო ბაზილიკათა შორის შემორჩენილია უკავშირი და არის მინიჭებული. მისი სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს მისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე. იგი აგებულია ისეთ ადგილას, რომელიც ირგვლივ გარშემორტყმულია ნაძვის ტყით დაფარული მაღალი მთებით. ბაგრატ IV-მ (1027-1072 წწ.) საქართველოში ჩამოსულ წმიდა მამა გიორგი მთაწმინდელს სამოღვაწეოდ და საცხოვრებლად სხვა მონასტრებთან ერთად გადასცა ნებვის მონასტერი. წყაროში ვკითხულობთ: „შემდგომად ზამთრისა აღმო-რაღ-ვიღა ღმრთის-მსახური მეფე კუალად ქართლი თ ლ ა დ ვ ე, მოუწოდა ბერსა (იგულისხმება გიორგი მთაწმინდელი – თ.გ.) წინაშე მისსა და მისცნა ადგილი შუენიერნი, ლავრანი დიდებული განსასუენებელად და საყოფელად მისა, პირველად ნ ე ძ კ ქ ა რ თ ლ ს შინა და შედგომად მცირედისა შ ა ტ ბ ე რ დ ი დიდებული ლავრა კ ლ ა რ ჯ ე თ ს შინა“ 1595 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, ის დაცარიელებულია. 1633 წელს ქართლის მეფე როსტომმა (1633-1658 წწ.) ფარეშოუ-ხუცეს – პატა ჯავახიშვილს ახალდაბის მოურაობის სახლო უწყალობა. 1688 წლის 24 სექტემბრის ქართლის მეფის

გიორგი XI-ის (1677-1688 წწ.) წყალობის საბუთის თანახმად, ქართლის მეფე ერთგულ ფეოდალს – ზაალ ავალიშვილსა და მის შვილებს აძლევს სოფლებს ნებვსა და კორტანეთს წყალობის სახით. აღნიშნულ საბუთში ვკითხულობთ: „...ჩვენ, ... მეფეთ მეფემან, პეტრიშვილმან პატრონმა გიორგიმ, თანამეცხედრემან ჩვენმა<ა>, დედოფალთ დედოფალმან, პატრონმა ხორაშან ... წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ... ავალიშვილს ზაალსა, შვილსა თქვენთა ავალის, ზაზასა, ქაიხოსროს, სარიდანს, დომენტის, შვილთა და მამავალთა სახლისათა.

მას უაშსა, ოდეს მოგვიდექით და კარსა და მამულის წყალობას დაგვიაჯენით, ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ სოფელი ნებვი და სოფელი კორტანეთი...“.

1697 წელს ამჯერად ერეკლე I ნაზარალიხანი (1688-1703 წწ.) აძლევს ზაალ ავალიშვილსა და მის ვაჟებს ამოგარდნილი ქავთარაძის ნაქონ ნებვს, კორტანეთსა და ტაშისკარში მცხოვრებ აზნაურიშვილ ფასიტას წყალობის სახით. აღნიშნულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „...ჩვენ, ... მეფემან ... ნაზარალი-ხან ... ესე ... მამულის წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ... ავალიშვილს ზაალს, შვილსა შენსა, ავალის, ზაზას და ქაიხოსროს, სვიმონს და მომავალთა თქვენთა.

მას უაშსა, ოდეს თქვენის მამულის წიგნის გაახლებას გვიაჯენით, ვისმინეთ აჯა თქვენი, სიგლითა ამით დაგიმტკიცეთ და მოგიბოძეთ შენი კერძი ბარათით გამოყოლილი საავალიშვილო აზნაურიშვილი გლეხი, სასაფლაო, სასახლე, ზვარი, ხოდაბუნი, მთა და ბარი, ყოელიფერი, რაც ბარათით ძმათაგან გაგყოლოდეს, ამას გარდა ამოგარდნილის ქავთარაძის ნაქონი ნებვი და კორტანეთი, ტაშიშვილების ქარს აზნაურიშვილი ფასიტა მისის ორის კომლის გლეხითა...“.

როგორც ჩანს, ბორჯომის ხეობის ერთ-ერთი მექატრონე — ზაალ ავალიშვილმა თავდაპირველად გიორგი XI-სა და ერეკლე I-ს მორის დაპირისპირებაში პირველი მეფის მხარე დაიჭირა და ამისთვის იღებს კიდევაც ქართლის მეფისაგან კონკრეტულ წყალობას. თუმცა მას შემდეგ ანუ 1688 წლის შემდეგ, რაც ქართლის ტახტი ერეკლე I დაიკავა, იგი ერეკლე I-ის დაჯგუფებაში გადავიდა და გიორგი XI-გან ჩამორთმეული მამულები ერეკლე I-გან კვლავ წყალობის სახით დაიბრუნა.

1772 წელს საქართველოში მყოფი გერმანელი მოგზაური — იოჰან გულდენშტედტი მას სხვა სოფლებთან ერთად განადგურებულ პუნქტად მოიხსენიებს, რომელიც სხვა სოფლებთან ერთად ოსმალეთთან საზღვარს ქმნიდა.

მონასტრის შესავლელში ჩამოკიდებულია ზარი, რომელზედაც შესრულებულია მხედრული წარწერა: „* ჩყნბ-სა წელსა * სოსო და და ოქრო ჩადუნელმა შევსწირეთ ნეძვის ეპლენისაში ჩვერენსა სადღეეგრძელოთ †“.¹

როგორც აღნიშნული ზარის წარწერიდან ვგებულობთ, 1852 წელს სოსო და ოქრო ჩადუნელებს აღნიშნული ზარი შეუწირავთ ნეძვის ეკლესიისათვის. აღნიშნულ თარიღს კიდევ უფრო ავსებს პატარა ფირფიტაზე შესრულებული კიდევ ერთი მხედრული წარწერა, რომლის მიხედვითაც ვგებულობთ, რომ ზარი 60 წელი დაკარგული ყოფილა და ის მონასტრისათვის ვინმე ა. პ. ჩადუნელს მოუტანია ბორჯომის რაიონის სოფელ ჭობისხევიდან.

1 აღნიშნული ზარის წარწერის თარიღი არასწორად იქნა წაკითხული ბაკურ გელაშვილის მიერ 2013 წელს გამოცემულ ნაშრომში „ბორჯომის ხეობა IX-XIII საუკუნეებში“. მკვლევარი ზარის წარწერის თარიღს შემდეგი სახით კითხულობს: „ჩყნგ“, რაც არ შეესაბამება რეალობას. აქედან გამომდინარეა, რომ ავტორს მხოლოდ წარწერა აქვს მოტანილი და არ აკონკრეტულს ზარზე ამოტვიფრულ მის მიერ წაკითხულ თარიღს (პ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა IX-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი, გვ. 84).

გარდა ამისა, ნეძვის ეკლესიის ტერიტორიაზე მიმობნეულია XIX-XX საუკუნის საფლავის ქვები მხედრული წარწერებით.

ნეძვის შესწავლის მიზნით აღნიშნულ ტაძარს აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის დავალებით 1940 წელს ეწვია რ. მეფისაშვილი, რომლის დროსაც მეცნიერმა აზომა ტაძრის ზოგადი გეგმა და გადაიღო რამდენიმე ფოტოსურათი. მეცნიერი 1948 წელს ხელმეორედ ეწვია ტაძარს, რომელის ფარგლებში გაიწმინდა ტაძარი, მოიხაზა ტაძრის პირვანდელი გეგმა, თუმცა ბევრი რამ მაინც დასაზუსტებელი დარჩა. მესამედ მკლევარმა 1962 წელს მოინახულა ნეძვის ეკლესია, გაწმინდა ტაძრის კედლები და რამაც საშუალება მისცა ევარაუდა, რომ ტაძარი თავდაპირველად სიგრძეში 30 მეტრი, ხოლო სიგანეში 20 მეტრი იყო. ყოველივე ამის საფუძველზე დაასკვნა, რომ ქართულ სამეცნიერო ბაზილიკათა შორის ნეძვი ყველაზე დიდი ტაძარი ყოფილა.

1962 წლის მონახულების დროს რ. მეფისაშვილმა მიწიდან ამოიღო კრამიტის ნამტვრევები, რომელთაგან ერთ-ერთს ჰქონია ასომთავრული წარწერა, რომელსაც ავტორი პალეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე ზოგადი ქრონოლოგიური მონაკვეთით – IX-X საუკუნეებით ათარიღებს.

ტაძარი ნაგებია რუხი ფერის ქვით. შერჩენილი ეპლესიის კედლების სიმაღლე ზოგან 5 მეტრია. აფსიდიანი შუა ეკლესიის გრძივი კედლები დანაწევრებული იყო საფეხურიანი სვეტებითა და თაღებით. აღმოსავლელთ აფსიდის ორივე შხარეს თითო სწორკუთხა ნიში აქვს, ხოლო დასავლეთით ნახევრად წრიული ექსედრები. ეკლესიას სამმხრივი გარშემოსავლელი ჰქონდა. გვერდითი სწორკუთხოვანი ეკლესიები ერთმანეთთან დასავლეთის გასასვლელით იყო დაკავშირებული. ნეძვის ეკლესიის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას წარმოადგენს ღრმა აბსიდი, რომელიც სწორედ ადრეული ძეგლებისათვის არის დამახასიათებელი. ნეძვის გარშემოსავ-

ლელის მთავარ თავისებურებას შეადგენს ის, რომ იგი წარმოადგენს ერთიან გალერეას, სადაც ცალკეული მონაკვეთები ფართო თაღოვანი მალებით უკავშირდებიან ერთმანეთს.

დღეისათვის ეკლესიამ ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაწია და შესაბამისად მოქმედიც არ არის.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ვ. ბალახაშვილი, ღირსი გიორგი მთაწმინდელი (ათონე-ლი) 1000, 1009-2009, თბილისი ბორჯომი 2009 წელი
2. დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი, თბილისი 1985 წელი
3. ქ. გაფრინდაშვილი, ქართული სულიერების სათავეებთან, თბილისი 2005 წელი
4. ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი
5. პ. ინგოროვა, გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მე-ათე საუკუნისა, თბილისი 1954 წელი
6. ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბილისი 1957 წელი
7. ს. მელიქიძე, ახალდაბის ონომასტიკონი, წგნ. ონომასტიკური ძიებანი, კრ. II, თბილისი 2009 წელი
8. რ. მეფისაშვილი, გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა სააღმშენებლო მოღვაწეობა ქართლში, საქ. სსრ მეცნ. აკად. სახ. განყ. მოამბე, 1963 წელი, № 4
9. ლ. რჩეულიშვილი, ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკვევები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1994 წელი
10. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი VII, თბილისი 1984 წელი

11. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი და-ადგინა, თარგმნა და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, თბილისი, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემია“, 1955 წე-ლი
12. ვ. შუბითიძე, ქართული ციხე-სამაგრები და ეკლესია-მო-ნასტრები, თბილისი 2012 წელი
13. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლე-ბი, წიგნი I (V-X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს იღ. აბულა-ძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურცი-კიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯლამაიამ, იღია აბულაძის ხელ-მძღვანელობითა და რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიე-რებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1963 წელი
14. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლე-ბი, წიგნი II (XI-XV სს.), დასაბეჭდად მოამზადეს იღ. აბუ-ლაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯლამაიამ, იღია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, გამომცემლობა „მეცნიე-რება“, თბილისი 1967 წელი
15. დ. ხოშტარია, IX-X საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლები ბორჯომის ხეობაში, საკანდიდატო დისერტაცია და ავტორუფერატი, თბილისი, 1987 წელი
16. დ. ხოშტარია, ჩითახევის სამონასტრო ეკლესია, „მეცნიე-რებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის...“, 1983 წელი, № 4
17. დ. ხოშტარია, კვირიკეწმინდის ადგილმდებარეობის სა-კითხისათვის, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის...“, 1985 წელი, № 1.
18. დ. ხოშტარია, X საუკუნის სამონასტრო ეკლესიები ტაძ-რის – საკირის მიდამოებში, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის...“, 1986 წელი, № 3.
19. Беридзе, В., Архитектура Тао-Кларджети. Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры, Тб., 1981 г

20. Беридзе, В. Грузинская архитектура ранне христианского времени (IV-VII вв.), Тб.1974 г
21. Меписашвили Р, Основные особенности трех церковных базилик Грузии, Тбл 1977 г
22. Mepisaschwili R, Georgien. Wehrbauten und Kirchen, Leipzig 1987

რველის ციხე

რველის ციხე (სურ. 3) მდ. ბანისხევისა და მდ მტკვრის შესაყარში მდებარეობს. აღნიშნული ციხე წინაფეო-დალური ხანის გორაზეა აღმართული, რაც ამ ციხის ძველი დროიდან დაწინაურების ნიშანი უნდა იყოს. რველის ციხე ბანისხევისა და მდ. მტკვარს აყოლილი გზების ჩამქეტი იყო.

ციხის აღრეული ნაწილი (შიდა ციხე) მოიცავს ტერი-ტორიას დაახლოებით $20\text{მ} \times 10\text{მ}$, სადაც 4-5 სათავსოს კვალი ჩანს. ყველზე მაღალ ადგილას ოთხკუთხა ფორმის კოშკია $8\text{მ} \times 5\text{მ}$ -ის ფართობის. კოშკისა და გალავნის წყობა პორიზონტალურია. დ. ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ რველის ციხის შესავალი უნდა ყოფილიყო ბანისხევი, ყვიბისისხევი და ზანავ-რველი. სწავლული ბატონიშვილი სოფელ რველს რვილს უწოდებს. აქედან გამომდინარე, დევი ბერძენიშვილი გამოთქვაში ვარაუდს, რომ „შეიძლება ამ გეოგრაფიულ პუნქტს კავშირი ჰქონდეს საზოგადო სახელ რვილთან, რომელიც ერქვნის ხეს ნიშნავს.“

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველო-სა, – წგ.: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ქველა

- ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1973 წელი
2. დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
 3. ბ. გელაშვილი, თორის ხეობის თავდაცვითი ნაგებობები ისტორიისათვის, ახალაციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გულანი, № 10, ახალციხე 2011 წელი
 4. ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი

სამის ციხე

სოფელ რველში, (სურ. 4) უფრო კონკრეტულად, მდ. ბანისხევის მარცხენა სანაპიროზე, ქედიდან ყელის გადაჭრით გამოყოფილ გორაკზე კიდევ ერთი სიმაგრე ანუ სამის ციხეა. იგი ბანისხევის ნასოფლარიდან დაახლ. 2 კილომეტრზეა მოშორებული.

ციხის კოშკი კვადრატულია (გარედან 8 მ×8 მ, შიგნიდან 5 მ×5 მ), კლდის მოზრდილი ლოდებით ნაგები. წყობა უმეტესად თარაზულია, ან მცირე ქვების მწავრივებითაა გასწორებული. აღმოსავლეთ კედლის სიმაღლე დაახლ. 7 მეტრამდეა, მაგრამ სარკმლის ნიშანი არსად ჩანს. კოშკს შესასვლელი სამხრეთიდან არის. ორგვლივ გალავანია ისეთივე წყობისა, რომელსაც სამხრეთის მხარეს ნახევარწრიული ბურჯი აქვს. გალავნის შიგნით, კოშკის ჩრდილოეთ მხარეს არის სხვა სათავსოს ნაშთიც. კოშკის დასავლეთის კედელი ნალისებურად შემორტყმულია გალავნის პირზე. გვიან მოსულ მოსახლეობას აღნიშნული ციხე ეგონა ბანისხევის ძველი ეკლესია. ამიტომაც მის დასავლეთ მხარეს XIX საუკუნის სასაფლაო გაუმართავს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
2. ბ. გელაშვილი, თორის ხეობის თავდაცვითი ნაგებობები ისტორიისათვის, ახალაციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გულანი, № 10, ახალციხე 2011 წელი
3. ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი

რველის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია

სამის ციხიდან დასავლეთით, 2-3 კილომეტრის მოშორებით ღმრთისმშობლის ეკლესია (სურ. 5) მდებარეობს. აღნიშნული ეკლესია სოფელ რველის სასაფლაოზეა აღმართული. ეკლესიას ერთადერთი შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. ტაძრის ქვედა ნაწილი შედარებით დიდი ლოდებითაა ნაგები, ხოლო ზედა ნაწილი კი ქვიშა-ქვით. ეკლესიის მონახულების დროს, თავად ეკლესიაში ვნახეთ ქვის ჯვარი, რომელსაც მარჯვენა მხარე მოტეხილი აქვს. ეკლესია 1989 წელს დავან ჩადუნელის თაოსნობით გადაუხარავთ.

რველის „წაბლიანის წმიდა გიორგის“ ეკლესია

სოფელ რველიდან დასავლეთის მიმართულებით 3-4 კილომეტრის მოშორებით, კერძოდ, მდ. ბანისხევის ზემო წელში ფიჭვნარით დაფარულ ტყეში, შემაღლებულ ადგილას

წმიდა გიორგის ეკლესია მდებარეობს. იგი სამნავიანი ბაზილიკის ტიპის ეკლესიაა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „წაბლიანის წმიდა გიორგის ეკლესიის“ სახელით იცნობს. აღნიშნულ ეკლესიის ორგვლივ შემოვლებული ჰქონდა გალავნი, რომლის ნაშთიც შემორჩენილია. ტაძრის ტერიტორიაზე რამოდენიმე საფლავის ქვაც იხილვება. ეკლესიას შესასვლელი მხოლოდ სამხრეთიდან აქვს. სამწუხაროდ ეკლესიამ ჩვენამდე ნანაგრევების სახით მოაღწია. ტაძრის კედლები 2-3 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი.

ყვიბისის ციხე

ყვიბისის ციხე სოფელ ყვიბისში მდებარეობდა, თუმცა მან ჩვენამდე ვერ მოაღწია, თუნდაც ნანგრევების სახით. აქედან გამომდინარე, დღეს ჭირს ზუსტად განისაზღვროს თუ სად მდებარეობდა ძველად ყვიბისის ციხე. მიუხედავად ამისა, მისი ადგილმდებარეობის შესახებ რამდენიმე ვარაუდია გამოთქმული, თუ სად შეძლება ყოფილიყო აღნიშნული ციხე. თვითონ სოფელ ყვიბისის შესახებ ცნობები XV-XVI საუკუნეებიდან მოგვეპოვება.

1443 წლის 30 ნოემბერს ვარამ დიასამიძე შეწირულების წიგნს აძლევს მცხეთის სვეტიცხოველს და მის საჭეთ-მპყრობელს – ქართლის კათალიკოსს შიოს (1440-1446 წწ.). ამ შეწირულების წიგნში ვკითხულობთ: „ქ. ესე წიგნი. . . გვადრე. . (მცხეთის) და. . . ქ კზს შიოს. . . ჩუენ დიასა-მიძემან ვარამ და ჩემთა შვილთა ავთანდილ და დიასამ. . . მას ჟამსა, ოდეს ეშმაკისა ცოუნებითა. . . ასეთი რამე სას-ჯულო საქმე წამეკიდა, რომე თქუენ გამიწყერით. . . და სა-პატიულოდ ყუიბის (ყვიბისს) ერთი გლეხი მოგავსენე მისითა მამულითა. . . ქ კსა: რლა: ნოემბერსა :ლ: . . .“.

როგორც ვხედავთ, ვარამ დიასამიძე სასჯულო საქმეში წაკიდებულა და ამგვარი საქციელის პატიების სანაცვლოდ სვეტიცხოველს და მის საჭეთმპყრობელს – კათალიკოს შიონს სწირავს ყვიბისში მცხოვრებ ერთ გლეხს. ქართლელი დიდებული – ვარამ დიასამიძე ასევე სწირავს თისლის მონასტერს ყვიბისში მცხოვრებ ზურაბისძეს სააღაპედ, რომელსაც აღაპის ნასაცვლოდ უნდა მიერთმია თისელის მონასტრი-სათვის ოცდაოთხი ჩაფი ღვინო და 5 კაბიწი წმინდა პური. ხელნაწერის მინაწერში გვითხულობთ: „და შემოვსწირე მე, დიასამისძემან ვარამ ყუიბის | ზურაბისძე სააღაპედ საუკუნოდ ჩემსა მონასტერსა...“.

1595 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, ყვიბისი დაცარიელებულია და სოფელს შეწერილი აქვს 10000 ახა.

კონკრეტულად ყვიბისის ციხის შესახებ პირველ ცნობას ვხვდებით XVIII საუკუნის ქართველ მემატიანე – პაპუნა ორბელიანთან. ისტორიკოსი მოგვითხრობს რა 1757 წელს ლეკთა გაუთავებელი თარეშისაგან იძულებული იქაური ფეო-დალების გადასახლების ამბავს კახეთსა და ზემო ქართლში, იქვე დასძენს: „მოვიდა ათასი ლეკი ქვეითი ავალიშვილების მამულში, ხეობაში, აიღეს ყვიბისის ციხე, მერე მოაღვენენ ჭობისხევს, ციხესა, მიეშველა მეფე თეიმურაზ ქართლის ჯარით, დადგა თითონ ქვიშხეთს, უთავა ამილახორი, მიუსივა ჯარი, მიაშველა ციხეს, გაეცალნენ ლეკნი უომრად, მეფე ჩაბანდა ისევ ქალაქსა თბილისისა, წავიდნენ ეს ლეკნი, წა-ახდინეს ჯავახეთის ქვეყანა“.

როგორც აღნიშნული წყაროდან ვიგებთ, ლეკთა მარბიელ ათასკაციანი რაზმი შემოსულა ავალიშვილთა სამფლობელოში ანუ ბორჯომის ხეობაში, აუღიათ ყვიბისის ციხე, რომლის შემდგომაც მიდგომიან ჭობისხევის ციხეს. ამ დროს ქართლის მეფე თეიმურაზ II-მ გაგზავნა ლაშქარი მარბიელი ლეკების წინააღმდეგ ამილახორის მეთაურობით. ამის შედე-

გად, ლეკები იძულებული გახდენენ გაცლოდნენ ციხეს და ჯავახეთში გადავიდნენ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
2. ბ. გელაშვილი, თორის ხეობის თავდაცვითი ნაგებობები ისტორიისათვის, ახალაციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გულანი, № 10, ახალციხე 2011 წელი
3. ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი
4. თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები (მასალები XIII-XVI საუკუნეების სამხრეთ საქართველოს ისტორიისათვის), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო დარეჯან კლდიაშვილმა, თბილისი „მეცნიერება“ 1986 წელი
5. ორბელიანი პაპუნა, „ამბავნი ქართლისანი“, ტექსტი და-ადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1981 წელი
6. თ. უორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. უორდანიას მიერ, წიგნი მეორე (1213 წლიდან 1700 წლამდე), ტფილისი 1897 წელი
7. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ, წიგნი II, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, თბილისი 1941 წელი

8. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, გამოკვლევა, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, თბილისი 1958 წელი

ბერისსაყდრების ეკლესია

ბერისსაყდრების სამონასტრო კომპლექსი (სურ. 6) სოფელ კვიბისიდან აღმოსავლეთით 4 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. მის მშენებლობას ბორჯომის ხეობაში გრიგოლ ხანცოლის მოწაფეების თეოდორესა და ქრისტეფორეს მოღვაწეობას უკავშირებენ და შესაბამისად მისი აგების თარიღად, IX-X საუკუნეებს მიიჩნევნ.

აღნიშნულ კომპლექსში არსებობდა წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელმაც ჩვენამდე უამთა სიავის გამონანგრევების სახით მოაღწია. შემორჩენილია ტაძრის მთავარი ნავის ჩრდილოეთის კედლის ფრაგმენტი, კამარის ნაწილი და აბსიდი, რომელიც თავის მხრივ ნახევრად ავარიულია. მონასტრის ტერიტორიის სამხრეთ და ჩრდილო-დასავლეთით ნაწილში კარგად იყვეთება ქვის ყორე. მას ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ჩაუდის საურმე გზა, რომელიც დაზიანებულია. ტაძრის ტერიტორიაზე მიმობნეულია ნაგებობათა მრავალი ნაშთი. იქვეა ბერების საცხოვრებელი სენაკები, რომლებიც მშრალი ქვითაა ნაშენი.

2010 წლიდან ბერისსაყდრების მონასტერში აღსდგა სამონასტრო ცხოვრება, აშენდა ათანასე ათონელის სახელობის ეკლესია და მის საფუძველზე დაფუძნდა მამათა მონასტერი.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. დ. ბერძენიშვილი, „ნარკევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
2. ბ. გელაშვილი, ტაძარი გვერდეს მღლოცველები გამოწყდებიან, გაზეთი „ახალი ეპოქა“, 2003 წელი, 26 სექტემბერი, №38
3. ბ. გელაშვილი, ცოტა რა ყვიბისის წარსულიდან, გაზეთი „რეპორტი-2“, ბორჯომი, 2007 წელი, 18 სექტემბერი, №53
4. ბ. გელაშვილი, თორის ხეობის თავდაცვითი ნაგებობები ისტორიისათვის, ახალაციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გულანი, № 10, ახალაციხე 2011 წელი
5. ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი
6. ვ. გოილაძე, ჩვენი მხარისა და სოფელ ყვიბისის წარსულიდან, უურნალი „თორი“, ბორჯომი 2008 წელი, №3.

ყვიბისის „მთავარანგელოზი“-ს ეკლესია

ბერისსაყდრების სამონატრო კომპლექსის გარდა ყვიბისში არის „მთავარანგელოზი“-ს ეკლესია (სურ. 7), რომელიც მდებარეობს სოფელ ყვიბისის განაპირას, კერძოდ, შემაღლებულ ადგილას. ტაძრის აშენების ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის, თუმცა ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ ეს ეკლესია უნდა იყოს აშენებული XII საუკუნეში.

„მთავარანგელოზი“-ს ეკლესია ბაზილიკური ტიპის ტაძარს წარმოადგენს. ეკლესია ნაგებია დიდი ზომის, უხეშად დამუშავებული, ღია ფერის ადგილობრივი ჯიშის ქვის კვადრებით. ეკლესიას სამხრეთით ამსიდი მინაშენი აქვს. ეკლესი-

ის მთავარ დარბაზში აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდია, ცენტრში სფერული კონქითაა გადახურული. კედელში გაჭრილი ორი სარკმელი, მათ ქვემოთ კი კარი, რომელიც გადის სამხრეთ ნავში. ამ კარების კონტურები მორღვეულია და გვიანაა ამოშენებული. ამიტომ დასავლეთის კედლის ცენტრში განიერი კარია, რომელსაც არქიტრავად გამოყენებული აქვს 240 სმ სიგრძის სწორკუთხა ქვა.

წლების წინ მთავარანგელოზის ეკლესიის სახურავი შეკეთებულ იქნა, ხოლო 2005 წელს ეკლესია მოიხატა ადგილობრივი მთავრობისა და დავით გელაშვილის ფინანსური მხარდაჭერით. დღესდღეობით ტაძარი მოქმედია.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ბ. გელაშვილი, ცოტა რა ყვიბისის წარსულიდან, გაზეთი „რეპორტი-2“, ბორჯომი, 2007 წელი, 18 სექტემბერი, №53
2. ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი
3. ვ. გოილაძე, ჩვენი მხარისა და სოფელ ყვიბისის წარსულიდან, უურნალი „თორი“, ბორჯომი 2008 წელი, №3.

ყვიბისის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია

ყვიბისის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია (სურ. 8) აღმართულია სოფლის სასაფლაოს ტერიტორიაზე. ეკლესია ცალნავიანი და დარბაზული ტიპის ნაგებობას წარმოადგენს, რომელიც აშენებულია ფლეთილი ქვით, კირის დუღაბზე. საკურთხევლის ცენტრში დადგმულია ერთი მასიური ქვის ტრაპეზი, ხოლო სამხრეთის და ჩრდილოეთის კედლებში ამოღებულია ზომით ერთი მეორისაგან განსხვავებული

ვიწრო სარკმელი. შესასვლელები დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლებშია დატანებული. ტაძრის ეზოში თავად ქაიხოსრო ავალიშვილის საფლავის ქვაა, რომელზეც მოთავსებულია მხედრული ეპიტაფია. საფლავის ქვა შემდეგი სახით იყითხება: „†. ჰე, მუ<მ>ხ<დ>{თ}ალმან სიკვდილმან მაჲ ხ[ე] გ[ი] ილათ მამცა ხე და მან ჩემსა მამულში საკოჭავში მსწრაფლ მიმაქცია მიწად, მემკვიდრე ბორჯომის ხეობისა თ(ავა)დი ქაიხოსრო ავალისხე ავალოვი და განმაშორა საყვარელსა მეუღლესა ნინოს, სამსა ძესა და სამსა ასულსა, საყვარელო მეუღლე ჩემო, ნუ სწუხ ჩემთ, არამედ იზრუცნე სულისათვის ჩემისა, მიმაბარე მიწას ჩემს განა<ა>ხლებულს ყვიბისის ეკლესიაში, სთხოვე ყოველთა შენდობას მიბანებდენ, გარდავიცვალე მაისის ერთსა 1851 წელს, ხაზე ავალოვისა იყო“ (ქარაგმის გახსნა და პუნქტუაცია ჩვენია – ო. გ.) (სურ. 9).²

როგორც აღნიშნული საფლავის ქვის წარწერიდან ვიგებთ, ბორჯომის ხეობის თავადი, ავალ ავალიშვილის ვაჟი – ქაიხოსრო 44 წლის ასაკში ზის დაცემით მის მამულ საკოჭავში გარდაცვლილა. მას დარჩენია მეუღლე სახელად ნინო, სამი ძე და სამი ასული. ეპიტაფიის ბოლოს ქაიხოსრო თავის ოჯახს უბარებს, რომ ის დაკრძალონ მის მიერ განახლებულ ყვიბისის წმიდა გიორგის ეკლესიაში და იზრუნონ მისი სულისათვის.

² ეპიტაფიის ტექსტის ჩვენეული წაკითხვა შეადარე წარწერის ბაკურ გელაშვილისეულ ინტერპრეტაციას: „...მომხდარმან სიკვდილმან მარცხათ მომცა, ხე და მან ჩემსა მამულში საკოჭავში მსწრაფლ მიმაქცია მიწად, მემკვიდრე ბორჯომის ხეობისა თ-ვდი ქაიხოსრო ავალის-ძე ავალოვ და განმაშორა საყვარელსა მეუღლესა ნინს სამსა ძესა და სამსა ასულსა, საყვარელო მეუღლე ჩემო ნუ სწუხ ჩემთ, არამედ იზრუცნე სულისათვის ჩემისა, მიმაბარე მიწას ჩემს განახლებულს ყვიბისის ეკლესიაში, სთხოვე ყველთა შენდობას მიბარძნებდნენ, გარდავიცვალე მაისის ერთსა 1851 წელს“ (ბ. გელაშვილი, ცოტა რამ ყვიბისის წარსულიდან, გაზ. რეპორტი2, 19 სექტემბერი, №53, 2009 წელი, გვ. 8).

როგორც ვხედავთ, გარდაცვალებამდე ანუ 1851 წლამდექაინორო ავალიშვილს განუახლებია ყვიბისის წმიდა გორგის ეკლესია.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ბ. გელაშვილი, ცოტა რა ყვიბისის წარსულიდან, გაზეთი „რეპორტი-2“, ბორჯომი, 2009 წელი, 18 სექტემბერი, №53
2. ვ. გოილაძე, ჩვენი მხარისა და სოფელ ყვიბისის წარსულიდან, ჟურნალი „თორი“, ბორჯომი 2008 წელი, №3.

ვაშლოვანის წმიდა გიორგის ეკლესია

სოფ. ყვიბისის პირდაპირ, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე სოფელი ვაშლოვანი მდებარეობს. სოფლის სასაფლაოზე დგას IX საუკუნის დარბაზული ეკლესია (სურ. 10), რომელიც წმიდა გიორგის სახელზეა აგებული. ეკლესიას დასავლეთის მხრიდან აქვს შესასვლელი. როგორც ჩანს, ტაძრი დროთა განმავლობაში მოიშალა და დაინგრა. ამის გამო 2001-2003 წლებში ეკლესიას ჩაუტარდა აღდგენითი სამუშაოები როლანდ გოგოლაძის თაოსნობით. გარდა ამისა, ეკლესია დაგით ჯინჭველაძის მიერ მოიხატა. ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე იხილვება ექვსკუთხა ფორმის ქვაზე წრეში ჩასმული ტოლფერდა ჯვარი.

გოგიას ციხე

გოგიას ციხე (სურ. 11) ბორჯომის ცენტრში, უფრო კონკრეტულად, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მაღალ გორაკზე მდებარეობს და ქალაქ ბორჯომს ჩრდილო-აღმოსავლე-

თიდან გადმოჰყურებს. ციხეს აღმოსავლეთით და დასავლე-თით ჩამოუდის ღრმა ხევები, რომლებიც მასზე მისასვლელ ბუნებრივ დაბრკოლებას ქმნიან. ციხეს არქიტექტურული მონაცემების საფუძველზე – X-XIV, XVII-XVIII საუკუნეებით ათარიღებენ.

ციხე ნაგებია კლდის ქვით, დარჩენილია მისი ერთი კვადრატული ფორმის კოშკი, დანარჩენი ნაწილები, მეორე კოშკი და გალავნის კედელი დაშლილია. კოშკის სიმაღლე უდრის 8 მეტრს. კოშკი ორსართულიანია, აქვს ერთი კარი, კედლებში გამართულია სათოფურები. ციხის აგებას ადგილობრივი ფეოდალის – გოგია ავალიშვილის სახელს უკავშირებენ.

აღნიშნულ ციხესთან დაკავშირებულია ცნობილი ლეგენდა, რომლის მიხედვით, ორი ძმა მტრად გადაჰკიდებია ერთმანეთს. ძმების შერიგების მიზნით, გოგიას ციხეზე დიდი ნადიმი გამართულა და მართლაც ძმები შერიგებულან. თუმცა ლვინომ მაინც თავისი გაიტანა, ძმები წაკინკლავებულან და დაუხოცავთ ერთმანეთი.

გოგიას ციხემ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1828 წელს რუსეთ-თურქეთის ბრძოლის დროს. გოგიას ციხეში იყო რუსეთის ჯარის საგუშავო, რომელიც დარაჯობდა იმ ვიწრო გზას, რომელიც მტერს უნდა გაევლო. თურქებს განუზრახავთ მისი ხელში ჩაგდება. გოგიას ციხის ქართული მილიციის 40 კაციან დამცველებს მეთაურობდა ქართველი გვარად ვეზირიშვილი, რომელთაც აიძულეს თურქები უკან დაეხიათ. აღნიშნულ ქართული მილიციის თავაგანწირულ ბრძოლას დიდი შეფასება მისცა ისტორიკოსმა ვ. პოტომ და აღნიშნულ ბრძოლას, ქართული მილიციის სახელოვანი ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდი უწოდა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ი. ალხაზიშვილი, ორიოდე დღე ბორჯომში, გაზეთი დრო-ება, 1877 წელი №9
2. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 1, თბილისი 1964 წელი
3. დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
4. ც. გაბაშვილი, ვარძია: გზამქვლევი, თბილისი 1945 წელი
5. ბ. გელაშვილი, თორის ხეობის თავდაცვითი ნაგებობები ისტორიისათვის, ახალაციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გულანი, № 10, ახალციხე 2011 წელი
6. ბ. გელაშვილი, ავალიშვილთა სათავადოს წარმოქმნა და მათი მამულები (პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა I სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილი-სი 2011 წელი
7. ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი
8. პ. ზაქარაია, თბილისი. ბორჯომი. ვარძია, თბილისი 1977 წელი
9. ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბილისი 1957 წელი
10. კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე და გ. ჯამბურია „ვარძია. გზამქვლევი“, თბილისი 1955 წელი
11. გ. ხუჯაძე, ბორჯომის ხეობა, თბილისი 1969 წელი
12. Пещерный ансамбль Вардзия, Тб., 1960
13. В. Потто, Боржомские легенды, Тифлисский листок 1899 г., №12
14. Р. Шмерлинг, Построика Моларет-Ухуцеса царя Георгия блистательного в. сел Даба, Боржомского района, ArsGeorgia, Тб. 1948 г

15. Dubois, Frederic de Montpereux, Voyage autour du Caucase, chez les Tcherkesses et les Abkhases, en Colchide, en Geogie, en Armenie et en Crimée : avec un atlas geographique, pittoresque, archeologique, geologique, etc. / par Frederic Dubois de Montpereux. - Paris : Libr. de Gide, 1839

სალის ციხე

სალის ციხე ბორჯომიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 4-5 კილომეტრის დაშორებით, ქ. წ. საჯიხვეების მარცხენა მხარეს, კლდის წვერზე მდებარეობს. ციხე აშ-კარად დაკავშირებულია ლომის მთისაკენ ქედ-ქედ მიმავალ გზასთან, რომელიც აქ ორი მხრიდან მომავალი შეიყრებოდა (ვაშლოვანიდან და ბორჯომიდან).

მართალია, ციხემ ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია. თუმცა ციხის კედლები შედარებით გადარჩენილია. კირზე ნაგები, მცირე ზომის კედლები ჰორიზონტალურ მწკვრივებადაა ნაწყობი. ციხის დასავლეთ მხარეს ქარაფია სრულიად მიუვალი. მისასვლელი მხოლოდ აღმოსავლეთიდან აქვს. ციხე ციცაბო კლდის ნაპირზეა აშენებული და ძნელი მისადგომია. აღნიშნული ციხის დაქვემდებარებული ერთეული უნდა ყოფილიყო დღევანდელი ბორჯომი და მისი მიმდგომი ტერიტორია ყვითებისა და ბანისხევამდე. ამ საციხისთაო ერთეულის საკულტო ცენტრი უნდა ყოფილიყო ვაშლოვანის მონასტერი.

როგორც ავღნიშნეთ, ციხე დაშლილია. ციხე ნაგებია ქვითკირით, აქეს ვიწრო მოედანი. ციხეს ასევე ჰქონია წყალსაცავი ორმოები, რომლებიც ქვით ყოფილა აგებული. ასევე ციხე შეიცავს პურის შესანახ ხაროებსა და სადგომებს. თუმცა კლდის თხემის ფართობი მცირება (35 მ× 5 მ).

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 1, თბილისი 1964 წელი
2. დ. ბერძენიშვილი, „ნარგვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
3. ბ. გელაშვილი, თორის ხეობის თავდაცვითი ნაგებობები ისტორიისათვის, ახალაციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გულანი, № 10, ახალციხე 2011 წელი
4. ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი
5. ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბილისი 1957 წელი
6. გ. ხუჯაძე, ბორჯომის ხეობა, თბილისი 1969 წელი
7. R. Шмерлинг, Построика Моларет-Ухуцеса царя Георгия блистательного в. сел Даба, Боржомского района, Ars Georgia, Тб. 1948 г

ნუას ციხე-დარბაზი

ნუას ციხე-დარბაზი მდებარეობს მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროს კლდოვან მთაზე. ციხე-დარბაზი ქალაქ ბორჯომს ჩრდილო-დასავლეთიდან გადმოჰყურებს. თხემი დაახლოებით 80×50 მ., მოზღუდული გალავნით, რომლის ოთხივე კუთხე-ში გალავნის ბურჯებია. სიმაგრე დამხრობილია ჩრდილოეთი-სა და სამხრეთისაკენ. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს, რომლის გვერდზე მრგვალი კოშკის ნანგრევია. ციხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთებია, ისეთი როგოროცაა: ქვევრები, ხაროები და სხვ. სწავლული ბატო-

ნიშვილი ამ ადგილებში ორ ნუას ასახელებს, ხოლო თავის რუკაზე ციხის ადგილას მთავრის საჯდომი რეზიდენცია აქვს აღნიშნული. დევი ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ ციხე-დარბაზის სახელწოდება ნუა მომდინარეობს მამაკაცის სახელ ნუადან და ამის მაგალითად მოჰყავს ზოსიმე კუმურდოელი ნუას ძე. თუმცა ზოსიმე კუმურდოელი ნავას ძე იყო და არა ნუას ძე.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
2. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, – წგნ.: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1973 წელი

პეტრეს ციხე

პეტრეს ციხე (სურ. 12) წარმოადგენს შუა საუკუნეების ციხე-სამაგრეს და მდებარეობს ბორჯომის რაიონში, სოფელ ლიკანის პირდაპირ, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მაღალ კლდოვან მთაზე. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მისი ადრინდელი სახელი უნდა ყოფილიყო ყვერბილი. გვიან შუა საუკუნეებში ეკუთვნოდა ავალიშვილთა ფეოდალურ საგვარეულოს.

ციხეს უჭირავს კლდოვანი ბორცვის თხემი, მტკვარი მას დასავლეთიდან უვლის, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან კი – ყვერბილისხევია. ყველაზე ძნელადმისადგომი გზა ციხეს

ჩრდილოეთიდან აქვს. ციხის გალავანი გაცილებით დაბლაა. ციხე დარაჯობდა ლიკანიდან ისტორიულ სოფლების ფაფისა და ნუასაკენ (ახლანდელი ბორჯომის რაიონის უძნები) მტკვარზე გადამავალ ხიდსა და გზას. XVI საუკუნეში ოსმალთა მიერ თორის დაპყრობის შემდეგ, პეტრეს ციხე ოსმალური ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი იყო.

ციხე შედგებოდა ციტადელისა და მასთან დაკავშირებული ქვედა ეზოსაგან. პეტრეს ციხის გალავანსა და შიდაციხეს შორის შემორჩენილია სხვადასხვა ნაგებობის ნაშთები, შიდა ციხეში – საცხოვრებელი დარბაზების, ხაროების, ქვეპრების ნანგრევებია. გალავანში დატანებულია სათოფურები და სალოდეები. ციხე რამდენჯერმე შეკეთებიათ. ზოგან გამოურჩევა ადრინდელი თარაზული წყობის კედლები. პეტრეს ციხის ძირში არის სოფელი ყვერბილი, ციხისავე თანადროული (XI-XII სს.) ეკლესითა და სასაფლაოთი.

1595 წლის აღწერის დროს პეტრეს ციხესთან მოსახლეობა ნაჩვენები არ არის, თუმცა შეწერილი აქვს 15000 ახჩა. იგი ოსმალებმა, რაც მტკვრის ხეობა აიღეს, ამ მხარის ცენტრად გამოაცხადეს.

პეტრეს ციხეს კარგად იცნობს XVII საუკუნის ცნობილი ისტორიკოსი და გეოგრაფი – ჰაჯი ხალიფა (1600-1658 წწ.), რომლის მიხედვით, პეტრეს ციხე ყიზილბაშთა ხელშია. მემატიანის თქმით: „და კვლავ, ხეობაში (მდებარე) პეტრეს-ციხე ყიზილბაშისა“.

1742 წელს გივი ამილახორის მფლობელობაში სურამის და ახალადაბის ციხეებთან ერთად შედიოდა პეტრეს ციხეც, საიდანაც თავად აწარმოებდა ოსმალებთან მოლაპარაკებას მისთვის ტყვია-წამლის გამოგზავნის მიზნით. ყიზილბაში ხანის იმამყულიხანის დავალებით, როსტომ ავალიშვილის ვაჟმა ზაალმა აიღო პეტრეს ციხე, გამოიყვანა ამილახორის ციხეში მდგომი ხალხი და ციხე თავად დაიკავა. ისტორიკოსი წერს: „გაისტუმრა ხანმა ავალიშვილი ზაალ, მე როს-

ტომისა პეტრეს ციხის ასაღებლად, აღუთქვა მისაცემელი, მოვიდა, შეაპარნა კაცნი, აიღო ციხე და გამოასხა კაცნი ამი-ლახორისანი. შეიყვანა კაცნი თვისწი, უბოძა ხალათ ხანმა და უიმედა წყალობა ფრიადი“.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „არს, მტკურის კო-დესა ზედა, სამწრით, პეტრეს-ციხე, ფრიად მაგარი და შეუა-ლი მტრისაგან. ამ ციხეს დასავლით უდის ყვერბილის-ჰევი, მოერთვის სამწრიდამ მტკუარსა“.

1744 წელს უსუფ-ფაშამ თურქებისა და ლეკების გაერ-თიანებული ძალებით რუისიდან ხეობაზე შეიარა, მივიდა ახალციხეს. სურამს დარჩენილი პურის წამოსაღებად წამო-სულ ოსმალებსა და ლეკებს ავალიშვილებმა გზა გადაუკე-ტეს, მტერი გაანადგურეს, უსუფ-ფაშას ლეკების გარდა თა-ვისი ჯარიდან 500 კაცი დააკლდა, რომლის გაგონებაზეც სენმა შეიპყრო და გარდაიცვალა. მემატიანე წერს:იაყარა უსუფ ფაშა რუისიდამ, შეიარა ისევ ხეობაზე და მივიდა ისევ ახალციხეს, დარჩა პური, რაც სურამს ჩაეყარათა, შეუკრეს ავალიშვილების კაცთ გზა, ვითარ საჭირო გზები არის, და-ხოცეს ურუმნი და დააგდებინეს ზარბაზნები, აიტანეს პეტ-რეს ციხეში. მოიკითხა ფაშამ ჯარი და ქართლში ლეკის გარდა ხუთასი კაცი დაკპლებოდა. შეიპყრა სენმა ჯავრისამა უსუფ-ფაშა და მოკვდა“.

1744-1745 წლებში ქართლ-კახეთის მეფემ თეიმურაზ II-მ (1744-1762 წწ.) პეტრეს ციხე სამმართველოდ ქაიხოს-რო ავალიშვილსა და მის ვაჟ პეტრეს გადასცა. ამის შემდეგ, პეტრეს ციხე ერეკლე II-ის (1762-1798 წწ.) განკარგულება-შია, რასაც ვგებულობთ მისი ბრძანებულებიდან რევაზ ამი-ლახვარისადმი.

1772 წელს საქართველოში მყოფი გერმანელი მოგზაუ-რი — იოჰან გულდენშტედტი მას სხვა სოფლებთან ერთად გაუქმებულ პუნქტად მოიხსენიებს.

1812 წელს ახალციხისაკენ მიმავალი ერეკლე II-ის შვილიშვილი – ლეონ ბატონიშვილი გზად პეტრეს ციხეში შეჩერდა. სამი მხლებლის ამარა დარჩენილი, იგი მძინარე ლეკქს მოუკლავთ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ვ. აბულაძე, ბორჯომის ხეობის წარსული და აწყო, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1983 წელი
2. ო. ალხაზიშვილი, ორიოდე დღე ბორჯომში, გაზეთი დროება, 1877 წელი №9
3. ბ. ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის გამოცემა, თბილისი 1941 წელი
4. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველო-სა, – წგნ.: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ.IV, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1973 წელი
5. დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
6. ც. გაბაშვილი, გარძა: გზამკედევთ, თბილისი 1945 წელი
7. ბ. გელაშვილი, თორის ხეობის თავდაცვითი ნაგებობები ისტორიისათვის, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გულანი, № 10, ახალციხე 2011 წელი
8. ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი
9. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბილისი 1962 წელი
10. პ. ზაქარაია, თბილისი. ბორჯომი. ვარძია, თბილისი 1977

წელი.

11. ს. მაკალათია, ბორჯომის ზეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბილისი 1957 წელი
12. კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე და გ. ჯამბურია „გარძია. გზამქვლევი“, თბილისი 1955 წელი
13. ორბელიანი პაპუნა, „ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1981 წელი
14. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VIII, პ-ს, თბილისი 1984 წელი
15. ვ. შუბითიძე, ქართული ციხესიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები, თბილისი 2012 წელი
16. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, გამოკვლევა, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, თბილისი 1958 წელი
17. გ. ხუჯაძე, ბორჯომის ზეობა, თბილისი 1969 წელი
18. Пещерный ансамбль Вардзия, Тб., 1960
19. Р. Шмерлинг, Построика Моларет-Ухуцеса царя Георгия блистательного в. сел Даба, Боржомского района, Ars Georgia, Тб. 1948 г
20. M. Brosset, Rapports sur une voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, St. Peterbourg 2^e livraison, 1850
21. Dubois, Frederic de Montpereux, Voyage autour du Caucase, chez les Tcherkesses et les Abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée : avec un atlas géographique, pittoresque, archéologique, géologique, etc. / par Frederic Dubois de Montpereux. - Paris : Libr. de Gide, 1839

ლიკანის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია

ლიკანის ეკლესია (სურ. 13) ბორჯომიდან 7 კილომეტრის დაშორებით, ბორჯომ-ახალციხის ცენტრალური მაგისტრალიდან 2-3 კილომეტრის მოშორებით, ახოების წყლის ხეობაში მდებარეობს. ეკლესია ღმრთისმშობლის სახეობისაა და სამეკლესიან ბაზილიკას წარმოადგენს. ლიკანის ეკლესიის აგებას არქიტექტურული მონაცემების საფუძველზე, VII; IX საუკუნის II საუკუნით ათარიღებენ. ტაძარმა ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია.

ეკლესიის მთავარი ნაწილია აფსიდით დასრულებული ნავი. დამატებითი სადგომები აქვს დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით. მოგვიანებით, ეკლესიას დასავლეთის მხრიდან მოადგეს სამრეკლო, რასაც გვაუწყებს სამრეკლოს შესასვლელის მარცხენა ბოძზე მოთავსებული ასომთავრული წარწერა, რომლის მეშვეობითაც ვიგებთ, რომ აღნიშნული სამრეკლო ადგილობრივი ფეოდალის – ქიშვად ავალიშვილისა და მისი მეუღლის, ქართლის მეფის ლუარსაბ I-ის (1527-1556 წწ.) ასულის თამარის მიერ იქნა აშენებული. წარწერის შემდეგი შინაარსისაა: „ქწ. იპრიანა ლიკნისა ღ(მრ)თისმშობელმა და აღვაშენე სამარგენი ესე, მე, ქიშვად ავალიშვილმა და თანამეცხელრმან, მეფეთა [მე]ფის ასულმა თამარ და მათთა მშობელთა...“ (სურ. 14).

სამრეკლოზე ასასვლელად მიშენებულია ქვაყორის კიბე. სამრეკლოს ზედა ნაწილი, კი კერძოდ, თლილი ქვის სვეტები, რომლებსაც სახურავი ეყრდნობოდა, მონგრეულია.

XIX საუკუნის 40-იან წლებში ქართველ ისტორიკოსს – პლატონ იოსელიანს მოუნახულებია აღნიშნული ტაძარი. მისი ცნობით, აღნიშნულ ეკლესიას აღსავლის კარზე მოთავსებული იყო კიდევ ერთი სამშენებლო წარწერა, რომელიც დღესდღეობით დაკარგულია. ისტორიკოსის მიხედვით, წარწერა სამშენებლო ხასიათისა იყო და გვაუწყებდა, რომ გივი

ავალიშვილსა და მის მეუღლეს, მეფის ასულს სოფიოს აღსავლის კარი აღუდგენიათ. მეცნიერი აღნიშნულ წარწერას XVII საუკუნის I ნახევრით ათარიღებს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ვ. აბულაძე, ბორჯომის ხეობის წარსული და აწმყო, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1983 წელი
2. ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება XIII-XVI საუკუნეებში, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“. თბილისი 1955 წელი
3. 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, ისტორიული გეოგრაფია, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“. თბილისი 1964 წელი
4. დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
5. ო. გოგოლაძე, ო. სრესელი, კიდევ ერთხელ ლიკანის ეპლესიის სამრეკლოს წარწერაში მოხსენიებული „მეფეთა მეფის ასულის თამარის“ იდენტიფიკაციისათვის, ქართველოლოგია, 2011, №1
6. პ. ზაქარაძა, თბილისი. ბორჯომი. ვარძია, თბილისი 1977 წელი
7. ე. თაყაიშვილი, „ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი“, ნახაზები შესრულებულია ხუროთმოძღვართა და მხატვართა ებრალიძისა, კალაშნიკოვისა, კალგინისა, კერნისა, კიუნესა, რიაბოვისა და სევეროვის მიერ, ტფილისი 1924 წელი.
8. მ. თვაური, კურორტი ბორჯომი და მისი უნიკალური მინერალური წყლები, ბორჯომი 2002 წელი

9. დ. კლდიაშვილი, XVI საუკუნის სამცხე-საათაბაგოს თავადთა სია, როგორც საისტორიო წყარო (სადიპლომო ნაშრომი). თბილისი 1975 წელი
10. ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარგევები, თბილისი 1957 წელი
11. კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე და გ. ჯამბურია „ვარძია. გზამკვლევი“, თბილისი 1955 წელი
12. ლ. რჩეულიშვილი, „ძველი ნასოფლარები ბორჯომ-ბაკურიანის მიდამოებში“, წიგნში: „ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკვევები“), 1994 წელი.
13. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VI, თბილისი 1983 წელი
14. დ. ხოშტარია, „IX-X საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლები ბორჯომის ხეობაში“, საკანდიდატო დისერტაცია და ავტორეფერატი, თბილისი, 1987 წელი
15. დ. ხოშტარია, „ჩითახევის სამონასტრო ეკლესია“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის...“, 1983 წელი, № 4
16. დ. ხოშტარია, „კვირიკეწმინდის ადგილმდებარეობის საკითხისათვის“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის...“, 1985 წელი, № 1.
17. დ. ხოშტარია, „X საუკუნის სამონასტრო ეკლესიები ტაძრის – საკირის მიდამოებში“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის...“, 1986 წელი, № 3.
18. გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტფილისი 1936 წელი
19. ვ. ცისკარიშვილი, „ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო“, თბილისი 1959 წელი
20. ს. ჯიქია, გურჯაისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი 1958 წელი
21. კ. ხარაძე, ჯავახეთის ხუროთმოძღვრული და ბუნების ძეგლები, გამომცემლობა „ფავორიტი“. თბილისი 2003 წელი

22. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ექვთიმე თაყაიშვილის პირადი არქივი, საქმე №548
23. Г. Д. Джамбурия, К. Н. Мелитаури, Ш. А. Хантадзе, Н. Ф. Шошиашвили, Вардзия, Путеводитель, Издательство Академии наук Грузинской ССР. Тбилиси 1957.
24. М. Жиль, Письма о Кавказе и Крыме, С-Петербург, 1858 г.
25. К. Кипиани, Кое-что из историй Боржома, 1901 г
26. Меписашвили Р,Основные особенности трехцерковных базилик Грузии, Тфл 1977
27. „Пещерный ансамбль Вардзия“ (Тб., 1960).
28. И. П. Ростомов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, со многими и древнегрузинскими надписями в тексте И. П. Ростомов, Тифлис 1898.
29. Сумбадзе Л, „Архитектура грузинского народного жилища и дарбази“, Тб., 1984 г.
30. Е. С. Такаишвили, П. З. Выноградовъ-Никитинъ, Археологические раскопки и исследование, Тифлисский Листок, 1912 г. 23 Август.
31. Р. Шмерлинг, Построика Моларет-Ухуцеса царя Георгия блистательного в. сел Даба, Боржомского района, Ars Georgia, Тб. 1948 г
32. „Inscriptions et antiquites géorgiennes et autres, recueillies par M. le colonel Bar`tholomaei“ (Mélanges asiatiques, t. II, St. Petersbourg, 1852)
33. R, Mephisashvili, V, Cincadze, „Georgien. Wehrbauren und Kirchen“, Leipzig, 1986.

ჩითახევის ეკლესია (მწვანე მონასტერი)

ჩითახევის ეკლესია (ადგილობრივი მოსახლეობა მას „მწვანე მონასტერს“ უწოდებს) (სურ. 15) მდებარეობს ქალაქ ბორჯომიდან 15 კილომეტრის მანძილზე, ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ჩითახევის ხეობაში. მონასტერი განლაგებულია ვიწრო ხეობის ოდნავ გაფართოებულ მონაკვეთზე.

ჩითახევის ეკლესია სამეცნიერო ბაზილიკას წარმოადგენს და მისი აგების ქრონოლოგიას – IX საუკუნის შუა სანებით ან მის მომდევნო III მეოთხედით განსაზღვრავენ.

მონასტრის კომპლექსის მთავარი ნაგებობა მთავარი ეკლესიაა, რომელიც დგას ქედის დამრეცი კალთის ძირში. ეკლესია საკმაოდ დიდი ზომის ნაგებობაა (სიგანე აღმოსავლეთ ფასადზე 14.5 მეტრი, სიგრძე კი 19.2 მეტრი). ტაძარი ნაგებია სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვებით.

ტაძრის მთავარ ნაწილს წარმოადგენს შუა ეკლესია, რომელსაც სამხრეთიდან და დასავლეთიდან ერტყმის ერთიანი ორმხრივი გარშემოსავლელი. თავადაპირველი გადახურვა შემორჩენილია მხოლოდ შუა ეკლესიაში. სამხრეთის კედელში ორი სარკმელია მოწყობილი – თითო-თითო შუა და აღმოსავლეთ განაპირო უბებში, რომლებსაც არ აქვს თავსართები და საპირეები. ჩითახევის ეკლესიის კედლები როგორც შიგნით, ასევე გარეთ მოკლებულია ყოველგვარ დეკორს და სადაა. ეკლესიის შუა ნავში, აფსიდში და განსაკუთრებით დასავლეთის კედელზე შემორჩა შელესილობის ფრაგმენტები მხატვრობის მქრქალი ნაშთებით. სტილისტური ნიშნებით, აღნიშნული მხატვრობა XII-XIII საუკუნეებით თარიღდება.

ეკლესიის სამრეკლო დგას ეკლესიიდან ცალკე და მას არქიტექტურული მონაცემების თვალსაზრისით – XV-XVI საუკუნეებით ათარიღებენ. ჩითახევის სამრეკლოსათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ორნამენტაცია. ამავე პერიოდში

ეკლესია საფუძვლიანად შეუკეთებიათ, აღუდგნიათ კამარა გარშემოსასვლელის სამხრეთ ნაწილში, ამოუყვანიათ აქ ორი ტიხარი, განუახლებიათ წყობა ამავე ნაწილის აღმოსავლეთ ფასადზე და სარკმლისათვის საპირეც გაუკეთებიათ, დაუკიწ-როვებიათ მთავარი შესასვლელი.

1911 წლის ივნისის ახალციხელი ფოსტალიონის – ვა-სილ ტაგანაშვილის წერილის მიხედვით გაგზავნილი ექვთიმე თაყაიშვილისადმი (1863-1953 წწ.) ვიგებთ, რომ რომანოვების დროს, კერძოდ, ბორჯომის მმართველის – მიხეილ ნიკოლოზის ძის ბრძანებით, ბორჯომში ჩამოუყვანიათ ვილაც არქეოლოგი, რომელიც სტრაუნიკებთან ერთად წასულა მწვანე (ჩითახევის) მონასტერში, საიდანაც გამოუღიათ ერთი დიდი ქვა ბატონიშვილების გამოსახულებით, რომელსაც ჰქონია ასომთავრული წარწერები, რომლებიც ბორჯომის პარკში ჩამოუტანიათ. ვასილ ტაგანაშვილისაგე ინფორმაციით, აღნიშნული პირები ამ ყოველივეს წაღებას მოსკოვში აპირებდნენ. ამ ყოველივეს შემდეგ, ვასილ ტაგანაშვილი ექვთიმესაგან დახმარებას ითხოვს. ექვთიმე თაყაიშვილს თავის მხრივ მიუწერია წერილი რომანოვისადმი, რომელსაც მიუცია პასუხი ვიღაც მუხრანსკის პირით, რომ მან არაფერი არ იცოდა აღნიშნული ფაქტის შესახებ. დღესდღობით აღნიშნული წარწერები დაკარგულად არის მიჩნეული.

XIX საუკუნის შუა ხანებში მონასტერი უნახავს და ჩაუხატავს არქიტექტორ მ. შერვინსკის.

1978 წელს აღნიშნულ მონასტერში ჩატარდა აღდგნითი სამუშაოები, რესტავრაციის პროექტი შეადგინა ა. ჭიკაიძემ. აღნიშნული სამუშაოების ფარგლებში ტაძარი გაიწმინდა ნაყარი მიწისაგან და შეძლებისდაგვარად მიიღო ეკლესიაშ პირვანდელი სახე.

2003 წლის ნოემბრიდან აღდგა ჩითახევის ეკლესიაში სამონასტრო ცხოვრება ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტ მეუფე სერაფიმეს (ჯოჯუას) ლოცვა-კურთხევით.

მთავარი ტაძარი წმიდა გიორგის სახელობისაა, მარჯვენა ნავი წმიდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის სახელობისაა, ხოლო მარცხენა ნავი კი – წმიდა მეფე თამარის სახელზეა ნაკურთხები.

2012 წელს მონასტრის ტერიტორიაზე დაწყებული გაწმენდითი სამუშაოების დროს ადგილობრივი მოწესების მიერ ნაპოვნი იქნა ანტეფიქსის ქვა. აღნიშნული ქვის ცენტრში გამოსახულია ჯვარი, რომელიც თავის შერივ კვარცხლბეჭება შემდგარი. აღნიშნულ ჯვარს სამ მხარეს მიუყვება ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა (სურ. 16). წარწერა გადმოცემულია ეწ. „სარკისებური“ ანუ შებრუნებული მოხაზულობით. წარწერის შინაარსი შემდეგია: „წ(მიდა) ვ გ(იორ)გი“, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩითახევის ეკლესის სახელობას. როგორც წარწერიდან ჩანს, ეკლესია თავდაპირველადაც წმიდა გიორგის სახელზე იყო აგებული (იხ. დანართი №2).

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება XIII-XVI საუკუნეებში, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოშტელობა“. თბილისი 1955 წელი
2. დ. ბერძნიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
3. ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი
4. გ. გზირიშვილი, მივხედოთ ბორჯომს, მის მდებარეობას, ომება 2001 წელი, № 9.
5. ირ. გუნია, საქართველოს მონასტრები: ენციკლოპედიური ცნობარი, თბილისი 2005 წელი

6. პ. ზაქარაია, თბილისი. ბორჯომი. ვარძია, თბილისი 1977 წელი
7. ე. თაყაიშვილი, „ქართული ხუროთმოძღვრების აღმონი“, ნახატები შესრულებულია ხუროთმოძღვართა და მხატვართა ებრალიძისა, კალაშნიკოვისა, კალგინისა, კერნისა, კოუნესა, რიაბოვისა და სევეროვის მიერ, ტფილისი 1924 წელი.
8. მ. თვალიშვილი, კურორტი ბორჯომი და მისი უნიკალური მინერალური წყლები, ბორჯომი 2002 წელი
9. ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი, თბილისი 1957 წელი
10. კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე და გ. ჯამბურია „ვარძია. გზამკვლევი“, თბილისი 1955 წელი
11. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. XI, თბილისი 1987 წელი
12. ნ. ცანაგა ..., ბორჯომის „მწვანე მონასტრის“ ბიოტური ეროვნის გამომწვევი მცენარეები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები, ძეგლის მეცნიერი, 1983 წელი, № 62
13. დ. ხოშტარია, „IX-X საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლები ბორჯომის ხეობაში“, საკანდიდატო დისერტაცია და ავტორუფერატი, თბილისი, 1987 წელი
14. დ. ხოშტარია, „ჩითახევის სამონასტრო ეკლესია“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის...“, 1983 წელი, № 4
15. დ. ხოშტარია, „კვირიკეწმინდის ადგილმდებარეობის საკითხისათვის“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის...“, 1985 წელი, № 1.
16. დ. ხოშტარია, „X საუკუნის სამონასტრო ეკლესიები ტაძრის – საკირის მიდამოებში“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის...“, 1986 წელი, № 3.
17. ნ. ჯაბუა, ქრისტიანული ტაძრის არქიტექტურული ტიპები შუა საუკუნეების საქართველოში, თბილისი 2012 წელი

18. ს. ჯიქა, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი 1958 წელი
19. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ექვთიმე თაყაიშვილის პირადი არქივი, საქმე №1983
20. Г. Д. Джамбурия, К. Н. Мелитаури, Ш. А. Хантадзе, Н. Ф. Шошиашвили, Вардзия, Путеводитель, Издательство Академии наук Грузинской ССР. Тбилиси 1957.
21. Меписашвили Р, Основные особенности трех церковных базилик Грузии, Тбл 1977 г
22. „Пещерный ансамбль Вардзия“ (Тб., 1960).
23. Е. С. Такаишвили, П. З. Выноградовъ-Никитинъ, Археологические раскопки и исследование, Тифлисский Листок, 1912 г. 23 Август.
24. Р. Шмерлинг, Построика Моларет-Ухуцеса царя Георгия блистательного в. сел Даба, Боржомского района, Ars Georgia, Тб. 1948 г
25. Sherwinski M, „Die Baukunst in Georgien“ („Allgemeine Bauzeitung“, 1891, № 3-4)
26. J. Baltrusaitisi, L'eglise cloisonnée en Orient et Occident, (Paris, 1941)

ხვეწის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია

ხვეწის წმიდა გიორგის სახელობის სამონასტრო კომპლექსი (სურ. 17) მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სოფელ გომნის სიახლოვეს მდებარეობს. ტაძარი სამეკლესიან ბაზილიკას წარმოადგენს, ნართექსით გაერთიანებული, რომლის ცენტრალური ეკლესიის ზომებია დაახლ. 10 მ×4 მ. სარკმლები დაბალია და განიერი, აფსიდა ორი საფეხურითაა ამაღლე-

ბული. მონასტრის კედლებზე შეინიშნება შელესილობის კვალი, სამონასტრო კომპლექსს ირგვლივ გალავანი აქვს გარშემორტყმული.

ტაძარი ნაგებია უხეშად ნატეხი მსხვილი ქვით. შენობის კუთხეები ამოყვანილია კარგად გათლილი დიდი ლამაზი ბლოკებით. სამშენებლო ტექნიკით ხვეწის საყდარი დიდად უახლოვდება დვირის მთავარანგელოზის ეკლესიას (იხ. ქვემოთ). მოგვიანო ხანაში აქ ჩაუდგამო განივი ტიხარი, რომელიც სანახევროდ დანგრეულია. ამ რეკონსტრუქციას XV-XVI საუკუნეთა დროით ათარიღებენ. სამწუხაროდ, ტაძარმა ჩვენამდე ნანაგრევების სახით მოაღწია.

ტაძარს, მისი ხუროთმოძღვრული მონაცემების გათვალისწინებით, X საუკუნის შუა ხანებით ათარიღებენ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
- ლ. რჩეულიშვილი, „ძველი ნასოფლარები ბორჯომ-ბაკურიანის მიღამოებში“, „ნარკვევები...“), 1994 წელი
- დ. ხოშტარია, „IX-X საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლები ბორჯომის ხეობაში“, საკანდიდატო დისერტაცია და ავტორეფერატი, თბილისი, 1987 წელი
- დ. ხოშტარია, „ჩითახვის სამონასტრო ეკლესია“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის...“, 1983 წელი, № 4
- დ. ხოშტარია, „კვირიკეწმინდის ადგილმდებარეობის საკითხისათვის“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის...“, 1985 წელი, № 1.

6. დ. ხოშტარია, „X საუკუნის სამონასტრო ეკლესიები ტაძრის – საკირის მიღამოებში“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის...“, 1986 წელი, № 3.

ჭობისხევის მაცხოვრის სახელობის ეკლესია

ჭობისხევის „მაცხოვარი“ (სურ. 18) სამეცნიერო ბაზი-ლიკას წარმოადგენდა, შემდეგ გადაუკეთებიათ, რაც აქაური დასახლების სიძველეს კარგად უჩვენებს. მის ზევით, თანამედროვე სოფლის განაპირას, ხევის ორსავ ნაპირზე დიდი ნასოფლარია თავისი „საჯვარეთი“.

ჭობისხევის მაცხოვრის ეკლესიის შესახებ ძალზედ მწირი ცნობები მოგვეპოვება. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია XVIII საუკუნის შუა ხანების ქაიხოსრო და ედია ავალიშვილების გაყოფის წიგნი, რომლის მიხედვითაც ვიგებთ, რომ ქაიხოსრო წილად ხვდა ჭობისხევს მღვდელი ჯაფიაშვილი. ეჭვგარეშეა, რომ აქ დასახელებული მღვდელი ჭობისხევის მაცხოვრის ეკლესიაში მსახურობდა.

დღესდღეობით ჭობისხევის „მაცხოვარი“ მოქმედი ეკლესიაა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
- კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე და გ. ჯამბურია „ვარძია. გზამკვლევი“, თბილისი 1955 წელი

3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, XIX საუკუნის პირთა კოლექცია, დავთარი 50, №110

ჭობისხევის ციხე-კოშკები

ჭობისხევის ხეობის მარჯვენა სანაპიროზე ზურგიანი კოშკია კლდეზე (სურ. 19), რომლის ბრტყელი მხარე ხევს გადაჰყურებს, მრგვალი კი, ადგილად მისაგალი მხრისკენაა და კლდეს ეშხრობა. ქვედა ციხის კედლები ამოსავალ ბილიკებს კეტავენ და ზოგან ნახევარწრიული ბურჯებია. კლდის ლოდები პორიზონტალურად კირზეა ნაწყობი. არქეოლოგიური ექსპედიციების დროს გამოვლინდა აღნიშნულ ციხეში თონე და წყალსაცავი.

ამგვარი კოშკი, ოღონდ უფრო მცირე ზომისა, არის სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში, აღნიშნული ციხიდან დაახლოებით 700 მეტრზე ხევის დაყოლებით.

ნასოფლარის ზევით, დაახლოები 3 კილომეტრზე, დაბაძველს მიმავალი გზის ჩრდილოეთ მხარეს მესამე კოშკია, ისიც ზურგიანი. ეს კოშკი ბილიკების ჩამკეტად აუგიათ მთის ფერდზე. ამ კოშკის ზომებია: 6 მ×6 მ, კედლის სისქე – 160 სმ. წყობა აქაც თარაზულია, კირზეა ნაგები. ჭობისხევის ციხე-კოშკს არქიტექტურული მონაცემების საფუძველზე, XVII საუკუნით ათარიღებენ.

გამაგრებათა ამ სისტემით ჭობისხეველები ცდილობდნენ უკონტროლოდ არ დაეტოვებინათ არც ერთი ბილიკი დაბაძველისა, რომელიც ამ ხეობის ნამდვილი სიმდიდრეა და ძალა თავისი ტბებით (კახისის, წეროს და სხვ.). ტბების ირგვლივ გაშლილი სამოვარი და სათიბები, საიდანაც უმოკლესი გზე-ბია თორისაკენ, საკირისაკენ და კოდიან-ციხისჯვრისაკენ.

პაპუნა ორბელიანის მიხედვით, „ქორონიკონსა უმე ... მოვიდა ათასი ლეკი ქვეითი ავალიშვილების მამულში, ხეობაში, აიღეს ყვიბისის ციხე, მერე მოადგნენ ჭობის ხევს, ციხესა, მიეშველა მეფე თეიმურაზ ქართლის ჯარით, დადგა თითონ ქვიშხეთს, უთავა ამილახორი, მიუსივა ჯარი, მიაშველა ციხეს, გაეცალნენ ლეკნი უომრად, მეფე ჩაბძანდა ისევ ქალაქსა თბილისისა, წავიდნენ ეს ლეკნი, წაახდინეს ჯავახეთის ქვეყანა“.

როგორც ვხედავთ, 1757 წელს 1000 ქვეითი ლეკი შემოესია ბორჯომის ხეობას, აუღიათ ყვიბისის ციხე, რომლის შემდეგ მიადგნენს ჭობისხევის ციხეს. თეიმურაზ II თვითონ დადგა ქვიშხეთს და ციხეს მაშველი ჯარი მიაშველა ამილახორის მეთაურობით. ამის შემდეგ ლეკები იძლებული გახდნენ ჭობისხევის ციხეს გასცლოდნენ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
- ბ. გელაშვილი, თორის ხეობის თავდაცვითი ნაგებობების ისტორიისათვის, გულანი, ახალციხე 2011 წელი.
- ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი.
- პაპუნა ორბელიანი, „ამბავნი ქართლისანი“, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბილისი 1981 წელი.
- საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. ავთ. იოსელიანმა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1980 წელი.

კვირაცხოვლის ექლესია

კვირაცხოვლის ექლესია (სურ. 20) მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სოფ. ჭობისხევსა და სოფ. დვირს შორის, ბორჯომ-ახალციხის მთავარ მაგისტრალთან, შემაღლებულ მთაზე მდებარეობს. ეკლესია ერთნავიან ბაზილიკას წარმოადგენს. ტაძარი ნაგებია დიდი ზომის კარგად გათლილი ქვებით, რომელსაც ერთადერთი შესასვლელი სამხრეთიდან აქვს.

კვირიკეწმინდა

სოფელ დვირთან, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე დაბურულ ტყეში ადგილობრივი მოსახლების მიერ საკვირიკეს სახელით წოდებული სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს (სურ. 21). აღნიშნული მონასტერს გრიგოლ ხანცოლის მოწაფის – ქრისტეფორეს მიერ აგებულ კვირიკეწმინდასთან კაიგივებთ და აქედან გამომდინარე, მის აგებას IX საუკუნის 40-იანი წლებით განვითარებულ განვითარებულ განვითარებულ (იხ. დანართი №2).

აღნიშნულმა მონასტერმა ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია. კერძოდ, მთავარი დარბაზის კამარა ჩამონარებულია. სამხრეთის ნავი საკუთარი ნანგრევებითაა ამოვსებული, დანგრეულია მთავარი ნავის დასავლეთის კედელი. აბსიდის ჩრდილო ნახევარზე შემორჩენილია შელესილობისა და ფრესკის ფრაგმენტები, რომლებზეც გამოსახულია წმინდა მამები., ქერუბიმი, კვერთხიანი ხარი და სხვა ნაკლებად გასარჩევი დეტალები.

თუმცა აღსაღნიშნავია აღნიშნული სამონასტრო კომპლექსის საკურთხევლის მხატვრობა, რომელიც ასევე ძლიერ დაზიანებულია. როგორც ჩანს მხატვრობა სამიარუსიანი ყოფილა. ზემო იარუსზე გამოსახულია ფრთებშეკრული ანგე-

ლოზი, რომლის უკან ხარისთავი ანგელოზს უჭირავს „ლაბირიუმი“, რომელზეც ბერძნულად აწერია „აგიოს ფილოს აგიოს“. ანგელოზის ქვეშ მოჩანს რამდენიმე ასომთავული გრაფემა. ლაბირიუმთან არის მჯდომარე ფიგურის მოკეცილი თავი (უნდა იყოს მჯდომარე მაცხოვარი). ქვეშ გამოსახულია წმინდანები ხელში გრაგნილებით, სახარებითა და ჯვრებით, თავთან ასომთავრული წარწერით: წმ. ნიკოლოზ, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი და სხვ.

მესამე იარუსზე არიან მღვდელმთავრები ხელში სახარებითა და ჯვრებით, თავთან ასომთავრული წარწერით: წმ. ფოქა, წმ. გრიგოლ ნოსელი და სხვ.

კვირიკეწმინდის მხატვრობას X-XI, XII-XIII, XV საუკუნის I ნახევრით ათარიღებენ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 1, თბილისი 1964 წელი
2. ო. ბიბილური, შველას ითხოვს, გაზ „კომუნისტი“ 1979 წელი 13 ოქტომბერი
3. ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი.
4. გ. ზედგინიძე, სამხრეთ საქართველოს ზოგიერთი პუნქტის ადგილმდებარეობის დაზუსტებისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, ტ. III, 1972 წელი
5. 3. ინგოროვა, გიორგი მერჩულე, თბილისი 1954 წელი
6. ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა, თბილისი 1957 წელი
7. კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე და გ. ჯამბურია „ვარძია. გზამკვლევი“, თბილისი 1955 წელი

8. რ. მეფისაშვილი, „გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა სააღმშენებლო მოღვაწეობა ქართლში“, საქ. სსრ მეცნ. აკად. სახხ. განყ. მოამბე, 1963 წელი, №5.
9. ალ. მიქაელი, ბორჯომის ხეობის მატერიალური ძეგლები, გაზ. კომუნიზმის დროშით 1960 წელი 7 სექტემბერი
10. გ. ტივაძე, კვირიკეწმიდა, უკრნალი თორი, ბორჯომი 2006 წელი, №2.
11. დ. ხოშტარია, „კვირიკეწმინდის ადგილმდებარეობის საკითხისათვის“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის...“, 1985 წელი, № 1.
12. დ. ხოშტარია, „IX-X საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლები ბორჯომის ხეობაში“, საკანდიდატო დისერტაცია და ავტორეფერატი, თბილისი, 1987 წელი
13. Т. Вирсаладзе, Основные этапы развития грузинской средневековой монументальной живописи, Доклад на -м международном симпозиуме по грузинскому искусства, Тбилиси 1977 г
14. Р. Меписашвили, Основные особенности трех церковных базилик Грузии, Тбл 1977 г
15. Р. Шмерлинг, Построика Моларет-Ухуцеса царя Георгия блистательного в. сел Даба, Боржомского района, Ars Georgia, Тб. 1948 г

დვირის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია

დვირის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია (სურ. 22) მდებარეობს სოფელ დვირის ცენტრში, სკოლის შენობის უკან, ძველ (ამჟამად გაუქმებულ) სასაფლაოზე. ეკლესიას გარს არტყია დაბალი განივი გალავანი, რომელშიც ბლობა-დაა გამოყენებული ეკლესიის ქვები.

ეკლესია ნაგებია საშუალო და დიდი ზომის ნატეხი ქვით. თავდაპირველი სახით დვირის ეკლესია წარმოადგენდა საკვირიკეს მსგავს ორნავიან ეკლესიას გართულებულს სამხრეთის ეკვდერით. 1900 წელს ტაძარი ბერძენ ოსტატებს შეუაეთებიათ და დაუკარგავთ ძეგლისათვის პირვანდელი სახე.

დღესდღეობით ჩვენამდე ეკლესიის მხოლოდ ცენტრალურმა ნაწილმა და ჩრდილოეთმა ნავმა მოაღწია. ეკლესიას აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან აქვს შესასვლელი. სამხრეთის შესასვლელის თავზე ჩადგმულია წრეში ჩასმული ტოლმკლავიანი ჯვარი. ეკლესიის ტერიტორიაზე XIX საუკუნის რამდენიმე საფლავი ინილვება. ტაძარი შიგნიდან მოუნატავთ და დღეისათვის მოქმედია.

დვირის მთავარანგელოზის ეკლესიას, მისი ხუროთმოძღვრული მონაცემებიდან გამომდინარე, X საუკუნით I ნახევრით ათარიღებენ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. დ. ხოშტარია, „IX-X საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლები ბორჯომის ხეობაში“, საკანდიდატო დისერტაცია და ავტორეფერატი, თბილისი, 1987 წელი

დვირის ციხე

ბორჯომის ხეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავდაცვით ნაგებობას წარმოადგენს დვირის ციხე (სურ. 23), რომელიც მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს და ზევიდან დასცეკრის კვირიკეწმინდის სამონასტრო კომპლექსს. ციხე ასევე აკონტროლებს სამცხიდან ქართლისაკენ მიმავალ გზას.

დვირის ციხე თავის მხრივ შედგება სამი ნაწილისაგან, რომლებიც ერთმანეთს ტერასულად ემიჯნებიან. ციხის ზედა უმაღლესი წერტილი 30-იოდე მეტრით მაღალია ქვედა ტერასაზე, ციხეს ციტადელის სამხრეთ მხარეს ციცაბო კლდეზე ამოყვანილი მძლავრი გალავანი იცავს, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით გალავნები მორღვეულია. დასავლეთით ორი-მეტრის სიმაღლის კლდის მასაზე აშენებულია გალავანი, რომლის ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი. ციტადელის ქვემოთ არის „შუაციხე“, რომელიც 8-9 მეტრი სიგანისაა და „ქვედა ციხისაგან“ კლდის კედლებითაა გამოყოფილი.

გალავნის ცენტრში გაჭრილია 230 სმ სიმაღლისა და 130 სმ სიგანის კარები. ციხე აშენებულია მონაცისფრო, ფლეთილი, სხვადასხვა ზომის ქვებით და დუღაბის სქელი ხსნარით.

ქრონიკების მიხედვით, „1732 წ. კა (21) მკათათვეს მოუხდა ლეკის ჯარი ქვიშეთს, შეიარეს ხეობა, მოუხდნენ დვირს, წაახდინეს ასპინძა, ოშორა და მიდამონი“ ანუ 1732 წლის 21 ივლისს შეესია ლეკები ქვიშეთს, შემდეგ გაიარეს ხეობა და მიუხდნენ დვირს, რომლის აღების შემდეგაც წაუხდენიათ ასპინძა, ოშორა და მისი მიმდგომი მხარეები.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- დ. ბერძენიშვილი, „ნარგვეგები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
- ბ. გელაშვილი, თორის ხეობის თავდაცვითი ნაგებობების ისტორიისათვის, გულანი, ახალციხე 2011 წელი.
- ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი
- საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და

განმარტებები დაურთო პროფ. ავთ. ოსელიანმა, გამომცემ-ლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1980 წელი
5. ვ. შუბითიძე, ქართული ციხე-სიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები, თბილისი 2012 წელი

ქვაბისხევის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია

ქვაბისხევის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია (სურ. 24) სოფელ ქვაბისხევის ჩრდილო-დასავლეთით 2 კილომეტრზე მდებარეობს. ტაძარი წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას. მის აგებას, არქიტექტურული მონაცემების საფუძველზე, VIII-IX; IX-X საუკუნეებით ათარიღებენ.

თავად ეკლესია მაღალი კლდოვანი ქედის კალთაზე დგას, რომლის აღმოსავლეთ ფასადი მიბჯენილია კლდეზე. დანარჩენი სამი მხარეა შვეულია, თითქმის უარყოფითი დახრილობის უფრსკულითა შემოსაზღვრული. მთავარი ეკლესია გაცილებით განიერია დანარჩენ ორ ნავზე.

ტაძრის მარჯვენა ნავში შეინიშნება მხატვრობა, სადაც გამოსახულია ქალის და ვაჟის გამოსახულებები (სურ. 25), შემდევი ასომთავრული წარწერებით: „შოთა“ და „იაი“ (სურ. 26). აღნიშნულ მხატვრობას ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე, XII-XIII საუკუნეებით განსაზღვრავენ. აღნიშნულ მხატვრობაში გამოსახულ შოთასთან დაკავშირებით არა ერთი აზრია გამოთქმული ქართულ ისტორიოგრაფიაში. მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, აქ გამოსახული შოთა უნდა იყოს XII საუკუნის ქართველი პოეტი – შოთა რუსთაველი.

შესასვლელი რკინის კარზე მოჭედილია ფრესკაზე გამოსახული შოთა და იას ასლი, რომლის ქვემოთ არის მხედრულით შესრულებული წარწერა, რომ „ესე კარი მოჭედა

ოსტატმა თანგული ორთოიძემ, შეგირდებმა თემურმა და გი-ორგიმ 1987 28“.

როგორც წარწერიდან ვიგებთ, 1987 წლის ეს კარი თანგული ორთოიძეს მოუჭედია თავისი შეგირდების – თემურისა და გიორგის დახმარებით და ამა წლის 28 აგვისტოს ანუ მარიამობის დღესასწაულზე შეუბამთ ეკლესიისათვის.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ქ. აბაშიძე, „ნუკა-საყდარი“, „არქიტექტურა და დიზაინ“, 1994, № 1
2. ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VIII, თბილისი 1985 წელი
3. ე. ბართაია, ქვაბისხევის ტაძარი და მისი საღუმლოება, საბჭოთა ხელოვნება, თბილისი 1987 წელი, № 8
4. ვ. ბერიძის რეცენზია: ქართული ხელოვნება, ტ. 2, 19485.
5. 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 1, თბილისი 1964 წელი
6. დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
7. ა. გაჩეჩილაძე, ძვირფასი სახეები, გაზ. კომუნისტი. 1977 წელი, 18 აგვისტო
8. ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი.
9. გ. გზირიშვილი, მივხედოთ ბორჯომს, მიოს მდებარეობას, ომება 2001 წელი, № 9.
10. პ. ზაქარაია, თბილისი. ბორჯომი. ვარძია, თბილისი 1977 წელი
11. გ. ზედგინიძე, შოთა რუსთაველის ფრესკა ქვაბისხევში, გაზეთი „წიგნის სამყარო“, 1980, 28 მაისი

12. ე. თაყაიშვილი, „ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი“, ნახაზები შესრულებულია ხუროთმოძღვართა და მხატვართა ებრალიძისა, კალაშნიკოვისა, კალგინისა, კერნისა, კიუნესა, რიაბოვისა და სევეროვის მიერ, ტფილისი 1924 წელი
13. ე. მეტრეველი, ა. ბარამიძე, შ. ძიძიგური, ქვაბისხევის ფრესკის გარშემო, გაზეთი „კომუნისტი“, 1890, 7 სექტემბერი
14. ალ. მიქავა, ბორჯომის ხეობის მატერიალური ძეგლები, გაზ. კომუნიზმის დროშით 1960 წელი 7 სექტემბერი
15. პ. რატიანი, ისევ ქვაბისხევის მონასტრის ფრესკაზე, გაზ. კომუნისტი, 1981 წელი, 18 ოქტომბერი
16. რ. ფირცხალაიშვილი, კვლავ რუსთაველის ბიოგრაფიული პრობლემის გარშემო, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, 1991 წელი, №2
17. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. X, თბილისი 1986 წელი
18. 6. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, თბილისი 1966 წელი
19. გ. ჩუბინაშვილი, „ქვაბისჯვრის ხეობის ძველი ბაზილიკა“, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 34 ა-6, 1948 წელი
20. დ. ხოშტარია, „IX-X საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლები ბორჯომის ხეობაში“, საკანდიდატო დისერტაცია და ავტორეფერატი, თბილისი, 1987 წელი
21. დ. ხოშტარია, „ჩითახევის სამონასტრო ეკლესია“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის...“, 1983 წელი, № 4
22. დ. ხოშტარია, „კვირიკეწმინდის აღგილმდებარეობის საკითხისათვის“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის...“, 1985 წელი, № 1.
23. ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა, თბილისი 1957 წელი
24. კ. მელითაური, 6. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე და გ. ჯამბურია „ვარძია. გზამკვლევი“, თბილისი 1955 წელი

25. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, თბილისი 2010 წელი
26. ს. ცაიშვილი, ძველი ქართული მწერლობა, თბილისი 1985 წელი
27. ვ. ჭუმბურიძე, რუსთაველი ქვაბისხევში, გაზ. კომუნისტი, 1980 წელი, 22 ივნისი, გაზ. სამშობლო, 1980 წელი ივლისი
28. გ. ხუჯაძე, ბორჯომის ხეობა, თბილისი 1969 წელი
29. Беридзе В., „Грузинская архитектура ранне христианского времени (IV-VII вв.)“ Тб., 1974
30. Беридзе В., „Архитектура Тао-Кларджети. Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры“, Тб., 1981 г.
31. Джамбурия Г и др. Вардзия, Тб. 1957 г.
32. Макалатия С, Боржомское ущелье, Тб. 1958 г.
33. „Пещерный ансамбль Вардзия“ (Тб., 1960).
34. Рчеулишвили Л, Композиция трех крестов в архитектурном декоре грузинских храмов средневековья, Международный симпозиум по грузинскому искусства, Тб. 1983 г.
35. Чубинашвили Г, Вопросы истории искусства, Исследования и заметки, т. 1. Тб. 1970 г.

„მოლოზანას“ ციხე

„მოლოზანას“ ციხე (სურ. 27) ქვაბისხევის ხეობაში, მდინარე ქვაბისხევურას მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. ციხე ძნელად მისასვლელ მაღალ კლდეზეა განლაგებული. ციხის განლაგების ადგილს „მოლოზანას“ უწოდებენ და ციხემაც ადგილის მიხედვით მიიღო სახელწოდება „მოლოზანი“. იგი მიუდგომელ ადგილზეა აგებული და მასთან მისასვლელად

მნახველმა ორ კილომეტრიანი მთა უნდა გაიაროს საცალფე-
ხო ბილიკით, ისიც მხოლოს ჩრდილოეთის მხრიდან.

ციხეს კოშკი დასავლეთით აქვს. აგრეთვე ემჩნევა ქონ-
გურები აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლებში. „მოლოზა-
ნას“ ციხეს თავისი მიუდგომლობით ბორჯომის ხეობის სხვა
ციხე-სიმაგრეებიდან აშკარად გამორჩეული ადგილი უკავია.
აღნიშნული ციხე დარაჯობს ქვაბისხევის ხეობასა და სამცხე-
საათაბაგოსკენ მიმავალ გზას. აქედან კარგად ჩანს ჭობისხევის
ციხე-კოშკები, დვირისა და დემოთის ციხეები. ჩვენი აზრით,
აღნიშნული ციხის სახელწოდება „მოლოზანა“ უნდა მომდინა-
რეობდეს საკუთარი სახელი მოლოზონიდან. ეს სიტყვა ასევე
აღნიშნვნავს მონაზონსაც. თუმცა კუმურდოსა და ქორეთის
ტაძრის კედლებზე ამოკვეთილი წარწერების მიხედვით, მო-
ლოზონი მოიხსნიება როგორც საკუთარი სახელი.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული
გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილი-
სი, 1985 წელი
- ბ. გელაშვილი, თორის ხეობის თავდაცვითი ნაგებობები
ისტორიისათვის, ახალაციხის სახელმწიფო სასწავლო უნი-
ვერსიტეტი, გულანი, № 10, ახალციხე 2011 წელი
- ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში,
თბილისი 2013 წელი
- დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.),
შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ, გა-
მომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1980 წელი
- ვ. სილოგავა, კუმურდო: ტაძრის ეპიგრაფიკა, გამოცემ-
ლობა „მეცნიერება“, თბილისი 1994 წელი
- გ. ხუჯაძე, ბორჯომის ხეობა, თბილისი 1969 წელი

დემოთის ციხე

ბორჯომის ხეობის ერთ-ერთი უძველესს ციხეს – დემოთის ციხე (სურ. 28) წარმოადგენს, რომელიც სოფელ ქვაბისხევიდან ჩრდილოეთით 8 კილომეტრზე, ძღინარე ქვაბისხევურას მარცხნა ნაპირზე მდებარეობს.

ლენტი მროველი დემოთის ციხეს იხსენიებს წუნდელებისა და ოძრგველთა დაპირისპირების დროს. ისტორიკოსი აღწერს რა არმაზელისა და აზორკის მეფობას და მათ დაპირისპირებას სუმბატ ბივრიტიანთან, ამბობს: „მაშინ სუმბატ გამარჯუებული შემოვიდა ქართლად, და მოაოხრა ქართლი, რომელ პოვა ციხეთა და ქალაქთა გარე; ხოლო ციხე-ქალაქთა არა პპრძოდა, რამეთუ არა მზა იყო მსწრაფლ გამოსვლისაგან. არამედ აღაშენა ციხე ქუეყანასა ოძრგველისასა, რომელსა ეწოდების სამცხე, ადგილსა, რომელსა ჰქიან დემოთი, მოკიდებულად მთასა ღადოსსა. და დაუტევნა მას შინალაშქარნი შემწედ წუნდელთადა მაბრძოლად ოძრგველთა და წარვიდა“.

როგორც წყაროდან ვვებულობთ, აღნიშნული ციხის მაშენებელი ყოფილა სუმბატ ბივრიტიანი.

ამის შემდეგ ლეონტი მროველი მოგვითხრობს რა I საუკუნის 70-80-იან წლების იძერებისა და სომხების დაძაბული ურთიერთობისა და შემდეგ მათი დაზავების ამბავს, იქვე დასძენს, რომ სომხებს იძერებისათვის ქალაქ წუნდასთან, ჯავახეთთან და არტაანთან ერთად დემოთის ციხეც გადაუციათ.

ქართველი მემატიანე ქამთააღმწერელიც იხსენიებს დემოთის ციხეს. იგი აღწერს რა ილხანთა ტახტის მემკვიდრის – თევზუდარის სარდლების მიერ მონღოლთა მიერ დაპყრიბილ ტერიტორიებზე თავდასხმებს, ამბობს: „და ამათსა შესაყარსა დემოთისასა, და მიერ არბევდეს ჯავახეთსა, ვიდრე ფარავნამდე“.

აღნიშნული წყაროდან კარგად ჩანს დემოთის ციხის სტრატეგიული მნიშვნელობა, რადგან ილხანთა ტახტის მემკვიდრე თეგუდარი და მისი ლაშქარი დასავლეთ საქართველოდან სამცხესა და ჯავახეთში ლომის მთით, დემოთით და ქვაბასხევით გადმოიდიდა.

XVI საუკუნეში დემოთის ციხე ერთ-ერთი ადგილობრივი ფეოდალური სახლის – ავალიშვილების მფლობელობაშია. დახლოებით 1588 წელს ოსმალთა შარეზე გადასულმა ელია დიასამიძემ ავალიშვილებს წართვა აღნიშნული ციხე და დამპყრობლებს გადასცა. წყაროში ვკითხულობთ: „დიასამიძემან ელიამ დემოთიას ციხეს საავალიშვილოს საღალატოდ შეუყენა. უღალატეს, ციხე წართუს და ბევრი საქონელი და საღარო დაუჭირეს“.

1785 წელს საქართველოში შემოჭრილი ხუნძანის ბატონი – ომარ-ხანი სამცხიდან ვახანში სწორედ დემოთის გზით უნდა გადასულიყო, რომლის შემდეგაც მან აიღო ვახანის ციხე და აბაშიძის ცოლ-შვილი ტყველ წასხა.

დღესდღეობით დემოთის ციხემ ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია, იგი თითქმის საძირკვლის სახითაა მოღწეული, ციხეს კედლებზე გადავლილი აქვს მიწა და ქვა-ლორდი, რაც კიდევ უფრო ამნელებს მისი თავდაპირველი სახით წარმოდგენას.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ვ. აბულაძე, ბორჯომის ხეობის წარსული და აწმყო, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1983 წელი
2. დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი

3. დ. ბერძენიშვილი, სამცხის ისტორიული გეოგრაფიიდან (ლომსიანთა), მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე 2000 წელი
4. ბ. გელაშვილი, თორის ხეობის თავდაცვითი ნაგებობების ისტორიისათვის, გულანი, ახალციხე 2011 წელი
5. ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი
6. პ. ზაქარაია, თბილისი. ბორჯომი. ვარძია, თბილისი 1977 წელი
7. გ. ზედგინიძე, სამხრეთ საქართველოს ზოგიერთი პუნქტის ადგილმდებარეობის დაზუსტებისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, ტ. III, 1972 წელი
8. ექ. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა (ქართლის მოქცევის, სუმბატისა ბაგრატიონების შესახებ და მესხური დავითნისა) ტფილისი 1890 წელი
9. კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე და გ. ჯამბურია „ვარძია. გზამკვლევი“, თბილისი 1955 წელი
10. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები XV-XVI სს, ტექსტს პუბლიკაცია, გამოკვლევები და საბიექტო დაურთო ქრ. შარაშიძემ, თბილისი 1961 წელი
11. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, გამომცემლობა „სახელგამი“, 1959 წელი
12. ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1973 წელი
13. ქართლის ცხოვრება, ტექსტები გამოსაც. მოამზადეს: მიხეილ ქავთარია და სხვ.; ბიბლიოგრ. შემდგ. ვალერი სილოგავა; სად. შემდგ. ნესტან ბაგაური; მხატვ. შოთა ნიორაძე; ილ. ბუბა კუდავა, თბილისი გამომცემლობა „მერიდიანი“ „არტანუჯი“, 2008 წელი

14. ვ. შუბითიძე, ქართული ციხესიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები, თბილისი 2012 წელი
15. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზულება-ნი თორმეტ ტომად, ტ. II, თბილისი 1983 წელი
16. ჯამბუриა გ დრ. ვარძია, თბ. 1957 გ.
17. „Пещерный ансамбль Вардзия“ (Тб., 1960).

გუჯრისხევის ეკლესია

საკირე-ტაძრისის სექტორში გუჯრისხევის ეკლესია (სურ. 29) ერთ-ერთ უძველეს მონასტერია და ბორჯომის ხეობის ერთ-ერთ ყველაზე კარგად შემონახულ ძეგლად ითვლება. ტაძარი მდებარეობს საკირეს სამხრეთ-აღმოსავლეთით სამიოდე კილომეტრზე, აღნიშნული ხეობის ფსკერზე და მას ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე, X საუკუნის შუა ხანებით ათარიღებენ.

ეკლესის მთავარი ნაგებობა ღმრთისმშობლის სახელობისაა, რომელიც დაუზიანებლად დგას. გარდა მთავარი ეკლესისა თვალში საცემია გალავნის ნაშთები და ნახევრად კლდეში ნაკვეთი სენაკი, რომელსაც აქვს კარი და ორი სარკმელი. ეკლესიასაც აღენიშნება დაზიანებებიც, კერძოდ, კამარა ჩანგრეულია მხოლოდ სამხრეთ ნაწილში, აქვე ნაწილობრივ მორღვეულია სამხრეთ კედელიც.

შენობის გეგმა საკმაოდ რთულია. ძირითად დარბაზულ სივრცეს, რომელიც აღმოსავლეთით საკურთხევლის აფსიდით ბოლოვდება, სამხრეთიდან ეკვრის გრძელი ასევე აფსიდიანი სათავსი, ჩრდილოეთიდან – ორი პატარა, დაახლოებით თანაბარი ზომის სწორკუთხა სათავსი. ამათგან აღმოსავლეთისა სამკგეთლო უნდა იყოს. ამ სამნაწილიან სტრუქტურას დასავლეთით მთელ სიგანეზე ერტყმის განივი ღერძის მქონე კამარით დახურული მოზრდილი ნართექსი. ეკლესიას აქვს

ორი შესასვლელი – ერთი დასავლეთით, ნართექსის ცენტრში, მეორე სამხრეთით, რომელიც ამჟამად მორღვეულია.

გუჯრისხევის ეკლესია სრულიად შეუძლია და ითვლება ბორჯომის ხეობის ყველაზე მკაცრ და პირქუშ ძეგლად. აღნიშნული ძეგლიდან გზა გადადის საკირე-ტაძრისი დან ოშორაში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
2. ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა, თბილისი 1957 წელი
3. კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე და გ. ჯამბურია „ვარძია. გზამკვლევი“, თბილისი 1955 წელი
4. დ. ხოშტარია, „X საუკუნის სამონასტრო ეკლესიები ტაძრის – საკირის მიდამოებში“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის...“, 1986 წელი, № 3
5. დ. ხოშტარია, „IX-X საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლები ბორჯომის ხეობაში“, საკანდიდატო დისერტაცია და ავტორუფერატი, თბილისი, 1987 წელი
6. Меписашвили Р, „Основные особенности трех церковных базилик Грузии“, Тбл 1977 г
7. Шмерлинг Р, Построика Моларет-Ухуцеса царя Георгия блистательного в. сел Даба, Боржомского района, Ars Georgia, Тб. 1948 г
8. R, Mephisashvili, V. Cincadze, „Georgien. Wehrbauren und Kirchen“ (Leipzig, 1986).

„მიწის-საყდარი“ ანუ საკირეს გიორგიწმიდა

გუჯრისხევის ეკლესიიდან სულ ორიოდე კილომეტრის მოშორებით მდებარეობს ე.წ. „მიწის-საყდარი“ ანუ საკირეს გიორგიწმინდა. ის სოფლის განაპირას, საკირეს ციხის ძირში მდებარეობს. ცოტა მოშორებით მრავალრიცხოვან ნაგებობათა ნაშთები იზილვება. სამწუხაროდ აღნიშნული ეკლესია მთლიანად დანგრეულია და მიწით არის დაფარული (ეს სახელიც „მიწის-საყდარი“-ც აღბათ ამიტომ შეერქვა). შედარებით დაუზიანებლად მოაღწია ჩვენამდე მხოლოდ სამეკლესიანი ბაზილიკის ჩრდილოეთის მხარეში.

მისი არქოტეტურული თავისებურებებით მას ძალიან ამსგავსებენ გუჯრისხევის ეკლესიას და აქედან გამომდინარე, ამ ტაძრის აგების ქრონოლოგიასაც – X საუკუნის შუა ხანებით განსაზღვრავენ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
- დ. ხოშტარია, „X საუკუნის სამონასტრო ეკლესიები ტაძრის – საკირის მიდამოებში“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის...“, 1986 წელი, № 3
- დ. ხოშტარია, „IX-X საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლები ბორჯომის ხეობაში“, საკანდიდატო დისერტაცია და ავტორეფერატი, თბილისი, 1987 წელი

საკირეს სასაფლაოს ეკლესია

სოფელ საკირეს მიდამოებში კიდევ ერთი ნამონასტრალია (სურ. 30), რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთით პატარა ბორცვზე მდებარეობს. ნამონასტრალის ირგვლივ სასაფლაოა. ეკლესია ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილია მხოლოდ ტაძრის საკურთხევლის აფსიდი კონქის ნაწილი-თურთ და ჩრდილოეთი კედელი. ტაძრის დანარჩენი ნაწილები თითქმის მირამდეა დანგრეული და ჩამოცვენილი ქვებითაა დაფარული.

საკირეს სასაფლაოს ეკლესია სამეკლესიან ბაზილიკის თავისებურ, იშვიათ ვარიანტს წარმოადგენს. მის მშენებლობას, აკურატული ფორმითა და სხვა არქიტექტურული თავისებურებებით, X საუკუნის შუა ხანებით ან უშუალოდ მოძევნო ათწლეულებით ათარიღებენ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
- დ. ხოშტარია, „X საუკუნის სამონასტრო ეკლესიები ტაძრის – საკირის მიდამოებში“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის...“, 1986 წელი, № 3
- დ. ხოშტარია, „IX-X საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლები ბორჯომის ხეობაში“, საკანდიდატო დისერტაცია და ავტორუფერატი, თბილისი, 1987 წელი

„ზალიკა-მიწის“ ეკლესია

სოფელ საკირეს აღმოსავლეთით ორიოდე კილომეტრზე, სხნალიას თუ სანარიას ღელეს ხეობაში კიდევ ერთი ეკლესია ძლებარეობს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ზალიკა-მიწის ეკლესიასაც“ უწოდებს. ის ძალზედ წააგავს საკირეს სასაფლაოს ეკლესიას. მათ შორის ერთადერთი განმასხვავებელი დეტალი არის დიდი, ძლიერ შვერილი პილასტრი სანარიაში „ჯიბის“ გამომყოფი თაღის დასავლეთ ქუსლთან.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
- დ. ხოშტარია, „X საუკუნის სამონასტრო ეკლესიები ტაძრის – საკირის მიდამოებში“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის...“, 1986 წელი, № 3
- დ. ხოშტარია, „IX-X საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლები ბორჯომის ხეობაში“, საკანდიდატო დისერტაცია და ავტორუფერატი, თბილისი, 1987 წელი
- Меписашвили Р, Основные особенности трех церковных базилик Грузии, Тбл 1977 г

საყდრივაკის ეკლესია

საყდრივაკის მონასტერი (სურ. 31) მდ. საკირისწყლის მარჯვენა ნაპირზე, მაღალ ტერასაზეა გაშენებული. აქ საცხოვრებელი, თუ სამეურნეო ნაგებობანი საერთო გალავნითაა გარშემორტყმული. დარბაზული საყდრის სახურავი ჩაქცეუ-

ლია. საცხოვრებელი მოზრდილი ოთხკუთხა შენობები (და-ახლ. 15 მ×7 მ) და ხაროებია შემორჩენილია. ეკლესიას შე-სასვლელი სამხრეთის მხრიდან აქვს.

საყდრივაკის ლაგვანდარის ქვები, რომელიც ამჟამად ჩამოვარდნილია და ტაძრის სიახლოეს არის განთავსებული, შესრულებულია ორი სავედრებელი წარწერა: „ქრისტე შეიწ-ყალე შ-პ“, „ქრისტე შეიწყალე შ-შ“. პირველ წარწერას დ. ბერძენიშვილი ვერ ხსნის, რაც შეეხება მეორე წარწერას, აქ კითხულობს სახელს „შაშია“-ს. ამ ხევის აყოლებით და კო-დიანის მთის გადავლით გზა ციხისჯვრისაკენ მიემართება.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილი-სი, 1985 წელი

ტაძრისის წმიდა გიორგის ეკლესია

სოფელ ტაძრისის განაპირას, მის სამხრეთ კუთხეში შემაღლებულ ადგილზე, ამჟამინდელი მოქმედი სასაფლაოს ტერიტორიაზე წმიდა გიორგის სახელობის მონასტერი (სურ. 32) მდებარეობს. დღესდღეობით სამონასტრო ნაგებობათაგან მთავარი ეკლესიის გარდა შემორჩენილია დანგრეული მცირე სამლოცველო მის გვერდით (ჩრდილოეთით). ეკლესია ნაგე-ბია გარედან და შიგნიდან ღია ფერის საშუალო ზომის ქვი-შაქვით. საშენი მასალის დამუშავების ხასიათით ტაძრისის ეკლესია ძლიერ წააგავს საკირქს სასაფლაოს ეკლესიას. შუა ეკლესიას შესასვლელი დასავლეთიდან აქვს. თითო შედარე-ბით მომცრო არია გაჭრილი ჩრდილოეთის და სამხრეთის

კედლებში. შუა ეკლესიას აქვს ორი სარკმელი, ერთი აქვს აფსიდში, ხოლო მეორე კი – დასავლეთ კედლებში. აფსიდის ცენტრში სადა ტრაპეზიის ქვაა, რომელიც კედელზეა მიღ-გმული. ტაძარს ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზის საფუძ-ველზე X საუკუნის II ნახევრით ათარიღებენ.

გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „ვი-თარცა იქმნა იგი შედის წლის, (იგულისხმება გიორგი მთაწ-მინდელი – თ.გ.) აღთქემა იგი აღასრულეს მშობელთა მის-თა და მასვე ზემოქსენებულსა მონასტერსა ტ ა ძ რ ი ს ს დისა თუსისა თანა ღმრთისა შეწირეს, და ჰმადლობდეს ღმერთსა მომცემელსა კეთილისა მის ნაყოფისასა“. ამის შე-დეგ დიდი ქართველი მწიგნობარი – გიორგი მთაწმინდელი აღნიშნულ მონასტერში 3 წლის განმავლობაში (1016-1019 წწ.) იზრდებოდა.

2005 წელს „ბაქო-თბილისი-ჯეიპანი“-ს მილსადენის კომპანიის ფინანსური მხარდაჭერით ტაძრისის წმიდა გიორ-გისა და ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიებს აღდგენითი და საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა.

2009 წლის 10 ივლისს ღირსი გიორგი მთაწმინდელის ხსენების დღეს აღნიშნულ მონასტერში საზეიმო წირვა საქართველოს ეკლესის საჭეთმცერობელმა – მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ აღავლინა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ვ. ბალახაშვილი, ტაძრისის მონასტერი, წიგნში: ღირსი გიორგი მთაწმინდელი (ათონელი) 1000, თბილისი-ბორჯომი, 2009 წელი

2. 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 1, თბილისი 1964 წელი
3. დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
4. ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი
5. ირ. ელიზბარაშვილი, ლ. ახალაია, მ. ბოჭოიძე, ტაძრისის მონასტრის წმ. გიორგის ეკლესიაზე ჩატარებული გაწმენდით-სარესტავრაციო სამუშაოების შედეგები, საქართველოს სიძველენი, თბილისი 2005 წელი, №7-8.
6. ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა, თბილისი 1957 წელი
7. ტაძრისის მონასტრის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია წიგნში: არქიტექტურის რეტავრაცია საქართველოში. ისტორიოგრაფია, ტრადიცია, გამოცდილების ანალიზი, თბილისი 2012 წელი
8. დ. ხოშტარია, „X საუკუნის სამონასტრო ეკლესიები ტაძრის – საკირის მიდამოებში“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის...“, 1986 წელი, № 3
9. დ. ხოშტარია, „IX-X საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლები ბორჯომის ხეობაში“, საკანდიდატო დისერტაცია და ავტორეფერატი, თბილისი, 1987 წელი
- 10.დ. ხოშტარია, „ჯავახეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრების ზოგიერთი თავისებურება“ („ლიტერატურა და ხელოვნება“ 1997, № 1-2)
11. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XV სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. ლოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯლამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1967 წელი

12. Меписашвили Р, „Основные особенности трех церковных базилик Грузии“, Тфл 1977 г
13. Шмерлинг Р, Построика Моларет-Ухуцеса царя Георгия блистательного в. сел Даба, Боржомского района, Ars Georgia, Тб. 1948 г
14. R. Mephisashvili, V. Cincadze, „Georgien. Wehrbauren und Kirchen“ (Leipzig, 1986).

საკირის ანუ „გუჯრისციხე“

საკირის ციხე (სურ. 33) სოფლიდან სამხრეთ-აღმოსავალეთით 1.5-2 კილომეტრზე მდებარეობს. ციხის კედლებმა ჩვენამდე ფრაგმენტების სახით მოაღწია. სამშენებლო მასალად ნამსხვრევი ქვაა გამოყენებული. ციხიდან კარგად იშლება სოფელი საკირე და მისი მიმდებარე სოფელი. საკირის ციხეს მისი არქიტექტურული მონაცემების საფუძველზე ზოგადი ქრონოლოგიური მონაკვეთით – VIII-IX საუკუნეებით ათარიღებენ.

საკირის ციხის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ის მდეობარეობდა ისტორიული თორისა და ციხისჯვრიდან სამცხე-საათაბაგოს გზაზე. აქედან გამომდინარე, მისი მთავარი ფუნქცია აღნიშნული გზის შექვრა და გაკონტროლება იყო. საკირის ციხეს თავისი ეპლესიაც ჰქონია, რომელსაც აღრეული ხანისად მიიჩნევენ.

პაპუნა ორბელიანის სიტყვით, 1745 წელს ახალციხის ასაღებად წასულმა ქართლის ჯარმა საკირის ციხე დაიკავა. თუმცა 1747 წელს ციხე ლეკებმა ათასი კაცით აღნიშნული ციხე აიღეს: „გამოვიდნენ ბელადები ლეკისა ათასის კაცით, შემოიარეს ქართლი, მოვიდნენ, აიღეს საკირის ციხე“.

1770 წელს ასპინძის ბრძოლის წინ ერეკლე II და ტოტლებენი სადგერის ციხეში მისულან. ტოტლებენს აქ და-უტოვებდა 400 კაცი თავისი ბარგით და 6 ზარბაზანი, თავად კი თორის გავლით საკირის ციხესთან შეხვედრია ერეკლე მეფეს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
2. დ. ბერძენიშვილი, სამცხის ისტორიული გეოგრაფიიდან (ლომსიანთა), მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე 2000 წელი
3. ბ. გელაშვილი, თორის ხეობის თავდაცვითი ნაგებობები ისტორიისათვის, ახალაციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გულანი, № 10, ახალციხე 2011 წელი
4. ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი
5. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბილისი 1962 წელი
6. ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბილისი 1957 წელი
7. კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე და გ. ჯამბურია „ვარძია. გზამქვლევი“, თბილისი 1955 წელი
8. ორბელიანი პაპუნა, „ამბავნი ქართლისანი“, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენ ცაგარელიშვილმა, თბილისი, 1981 წელი
9. Цагарели А. А. Грамоты и другие исторические документы, т. II , вып. I, Спб

სლესის ციხე

სოფელ ქვისბისხევის ზევით, მდ. მტკვრის მარცხნა ნაპირზე აღმართულია სლესის ანუ მოქცევის ციხე (სურ. 34), რომელმაც ჩვენამდე არასრული სახით მოაღწია. აღნიშნული ციხის მეპატრონედ მიჩნეულია სამცხის გამოჩენილი ფეოდალური საგვარეულო – სლესართა ფეოდალური სახლი. 1516 წლის სამცხე-საათაბაგოს თავადთა დავთრის მიხედვით: „ბუნბულისძენი მათითა სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესითა ავალიშვილთა და სლესართა აქუს“.

აქედან გამომდინარე, ნოდარ შოშიაშვილი ფიქრობდა, რომ ბუმბულისძისა ყოფილა ქვაბისხევთან ერთად სლესის ციხეც.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ მოხსნიებული არ არის სლესის ციხე, თუმცა შეტანილია სოფელი სლესა. აღნიშნული ციხე აკონტროლებდა სამცხიდან ბორჯომის ხეობისკენ მიმგალ გზას და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ხეობის თავდაცვის საქმეში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ახალციხე, ტექსტის ავტორი: გ. ხეთაგური, თბილისი 1983 წელი
2. დ. ბერძენიშვილი, „ნარგვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
3. დ. ბერძენიშვილი, სამცხის ისტორიული გეოგრაფიიდან (ლომსიანთა), მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე 2000 წელი
4. ბ. გელაშვილი, თორის ხეობის თავდაცვითი ნაგებობები ისტორიისათვის, ახალაციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გულანი, № 10, ახალციხე 2011 წელი

5. ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი
6. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ, წიგნი II, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, თბილისი 1941 წელი
7. პ. ზაქარაია, თბილისი. ბორჯომი. ვარძია, თბილისი 1977 წელი
8. დ. კლდიაშვილი, XVI საუკუნის სამცხე-საათაბაგოს თავადთა სია, როგორც საისტორიო წყარო (სადიპლომო ნაშრომი). თბილისი 1975 წელი
9. ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბილისი 1957 წელი
10. კ. მელითაური, ნ. შოშიაშვილი, შ. ხანთაძე და გ. ჯამბურია „ვარძია. გზამკვლევი“, თბილისი 1955 წელი
11. ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებულში: „შოთა რუსთაველი“, თბილისი 1966 წელი
12. Закарая Пармен. Памятники Восточной Грузии. М. 1983 г
13. „Пещерный ансамбль Вардзия“ (Тб., 1960).

„წითელი ეკლესია“

გუჯარეთის ხეობის ერთ-ერთ ბოლო სოფელს წითელ-სოფელი წარმოადგენს. აღნიშნული სოფლიდან 2-3 კილო-მეტრის მოშორებით, ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით ორ ხევს შუა ამოზრდილ ბორცვის თავზე წითელი ეკლესია (სურ. 35) მდებარეობს. ტაძარს თავისი სახელი დაკარგული აქვს და ახლა „წითელ ეკლესიას“ ეძახიან.

ეკლესია დარბაზული ტიპისაა, ჩრდილოეთის მინაშენით. ტაძარი ნაგებია შერეული მასალით. აღმოსავლეთის ფასადი თლილი ქვითაა მოპირკეთებული. ასეთივე უნდა ყოფილიყო სამხრეთის ფასადიც, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი. ამ ორ ფასადს აერთიანებდა ფერადოვანი ზოლები, რაც შემდეგი სახით არის მოღწეული: სულ ქვევით არის მუქი წითელი ქვებისაგან შემდგარი სარტყელი, რომელიც აღმოსავლეთი ფასადიდან სამხრეთისაზე გადმოდის. მას მოჰყვება მოვარდისფრო ზოლი, შემდეგ – ისევ მუქი წითელი. სულ ზევით – ღია ვარდისფერი. დასავლეთი ფასადი სხვადასხვა ზომის, დაუმუშავებელი ქვით არის ნაგები, კირის სქელ სხნარზე. ასეთივეა ეკლესის შიდა კედლები.

ეკლესიას სარკმელი შემორჩენილი აქვს მხოლოდ საკურთხეველში. მის ღიობს გარშემო უვლის მომწვანო ფერის, კარგად თლილი ქვების ჩარჩო, კონქი ოსტატურად არის ამოყვანილი. იგივე ითქმის დასავლეთი კარის თაღზე, რომელიც ზუსტ ნახევარწრეს მოხაზავს. სამხრეთი მხრიდან კიდევ ერთი კარია, რომელიც მხოლოდ მიწის დონეზე იკითხება

ეკლესიის ჩრდილოეთი სათავსოსაგან მხოლოდ აღმოსავლეთი კედელი გადარჩენილა. ეკლესიის ჩრდილოეთ კედლებზე, კარნიზის ქვევით შერჩენილა ერთი ქვა, რომელზეც ამოღარულია სამსტრიქონიანი ასომთავრული სამშენებლო წარწერა: „ქრისტე, შეიწყალე მახარობელი ამის წმიდისა ეკლესიისა მაშენებელი“. თუმცა მეტად უცნაურია ის, რომ იგი მოთავსებულია ყველაზე შეუმჩნეველ ადგილზე. ტაძრის საკურთხეველში შემორჩენილი ბათქაში იმის მაჩვენებელია, რომ ხუროთმოძღვრული ძეგლი მოგვიანებით მოუხატავთ. ეკლესიის ეზოში სასაფლაო, სადაც XIX საუკუნიდან იმარხებიან აქაური ოსები.

„წითელ ეკლესიას“ მისი რთულპროპორციანი კარნიზისა და სამშენებლო წარწერის პალეოგრაფიული მონაცამების გათვალისწინებით, X-XI საუკუნეებით ათარიღებენ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- დ. ბერძენიშვილი, მ. გიორგიძე, ც. ჩაჩეუნაშვილი და გ. ჭანიშვილი, არქიტექტურულ-ისტორიული გზამკვლევი „გუჯარეთი“, თბილისი 1987 წელი
- ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბილისი 1957 წელი

თოთხამის ციხე

სოფ. გუჯარეთისა და სოფ. წითელსოფლის ჩრდილოეთი, ძამის და ტანის ხეობებში მიმავალ გზაჯვარედიზე, 2300 მეტრის სიმაღლის მთის თხემზე აღმართულია თოთხამის ციხე, რომელსაც მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა ეყავა. მისი აგებით ხეობის ზემო წელის ციხისუფალი ხელში იღებდა კონტროლს ქართლის პროვინციებიდან ჯავახეთ-თრიალეთის სამოვრებისაკენ მიმავალ გზაზე.

ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნული ციხის შესახებ წერს: „არს გუჯარეთის ჩრდილოეთ, მაღალს მთის თხემსა ზედა, ციხე თოთხამი, მჟღალეტელი ქართლ-იმერეთისა“. ადგილობრივი მოსახლეობა თოთხამის ციხეს „ბარძუნ ჯვარს“, ე. ი. „მაღალ-ჯვარს“ უწოდებს.

ციხის გალავნისა და მისი ნაგებობების უმნიშვნელო ნაშთის ფონზე მაღალჯვრის მოზრდილი ეკლესიის ნანგრევი განსაკუთრებით გამოიჩინა (ეკლესის ზომებია: 10 მ×6 მ). თოთხამის ძველ ციხეს, ჩანს, უფრო ადრე დაუკარგავს თავისი ფუნქცია, სალოცავი კი ბოლომდე შემორჩა. ამაზე მისი სახელწოდებაც „მაღალჯვარი“ მიგვითითებს. თოთხამის ციხის როლის შემცირება უნდა დაწყებულიყო XIII საუკუნეში, როდესაც თორელებმა ძამის ხეობა იგდეს ხელთ და მის ციხეს დაეპატრონენ. თოთხამის ციხე მხოლოდ გზის ჩამკეტი

სეზონური ციხე არ ყოფილა. მის საციხისთავო ერთეულში უნდა ყოფილიყო მის ახლოს მდებარე ამჟამად უსახელო ნასოფლარები, მათ შორის, სოფ. გუჯარეთი (იხ. ქვემოთ) და წითელსოფელი.

მაღალკვერის ეკლესიას, აღვილი, ფეხით სავალი გზა დასავლეთი ფერდის მხრიდან უდგება. ნაგებობა მთის კლდოვან ნაპირზეა აშენებული. მის ჩრდილოეთით ღრმა უფრსკულია. ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილში მოჩანს შენობების კვალი და გალავნის კედლების ნაშთები.

საკუთარი ნანგრევებითა და მიწით ამოვსებული ეკლესია მდენად არის სახეშეცვლილი, რომ მისი ტიპის ზუსტი გარკვევა გაწმენდის გარეშე შეუძლებელია. ცენტრალური ნაწილი აღმოსავლეთით ღრმა, შვერილი აფსიდით სრულდება. გრძივ კედლებს მთელ სიგრძეზე სათავსოები ახლდა. ეკლესიის სამხრეთის კედლები მცირე სიმაღლით არის შემორჩენილი. ეკლესიის ცენტრალური ნაწილი გვერდით სათავსოებს შესასვლელებით უკავშირდება. ეკლესია ნაგებია კლდის რუხი ფერის ქვით. საკურთხეველში შენმორჩენილია შელესილობის კვალი, რაც იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ტაძარი თავის დროზე მოხატული იყო. ბათქაშის კვალი შემორჩენია ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადს. აღნიშნულ ფასადზე ამოკვეთილია დაქარაგმებით სამი გრაფემა „დლმ““. პალეოგრაფიული ნიშნებისა და ასომთავრულოთან ერთად ნუსხური „ლ“-ს შერევის საფუძველზე, აღნიშნული წარწერის ქრონლოგიას – IX-X საუკუნეებით განსაზღვრავენ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი 1985 წელი

2. დ. ბერძენიშვილი, მ. გიორგიძე, ც. ჩაჩხუნაშვილი და გ. ჭანიშვილი, არქიტექტურულ-ისტორიული გზამკვლევი „გუჯარეთი“, თბილისი 1987 წელი
3. ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბილისი 1957 წელი
4. ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი
5. ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1973 წელი

გუჯარეთის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია

სოფ. გუჯარეთთან, მის დასავლეთით. ხევგაღმა, შემაღლებულ ადგილას დგას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია (სურ. 36). ტაძარი ნაგებია უხეშად გათლილი რუხი ქვებით. ალაგალაგ ქვა უნგისფერი გამხდარა. ეკლესიას შესავლელი სამხრეთიდან აქვს, რომლის არქიტრავის ქვაზე მოგრძო ჯვარია გამოსახული. ტაძარს სამი სარკმელი აქვს. მათი ღიობები, შენობების ზომებთან შედარებით, ძალზე პატარაა. შიგნით გრძივი კედლები ერთსაფეხურიანი პილასტრით არის გაყოფილი. პილასტრებს ეყრდნობა კამარის საბჯენი თაღი. ეკლესიის კედლები შელესილ-შეთეთრებულია. ადგილობრივი მცხოვრებთა გადმოცემით, ეკლესია XIX საუკუნის ბოლოს გადაუკეთებია მოწვეულ ბერძენ ოსტატს. სავარაუდოდ, ამ პერიოდში უნდა იყოს ამოკაწრული არქიტრავის ქვაზე ჯვარი და სხვა უძნიშვნელო ცვლილელები, მათ შორის აღსანიშნავია, გადაღებილი ბათქაში. ტაძრის ეზოს გარს უგლიდა გალავანი, რომლის ნაშთებიღაა შემორჩენილი. შენობის ქვედა ნაწილში ჩაყოლებული დიდი ზომის ქვები და გალავანი ყველა-

ზე ადრინდელი ფენა უნდა იყოს. პროპორციები, სარკმელთა გაფორმება, დაქვეითებული სამშენებლო ხელოვნება კი XVI-XVIII საუკუნეების სასარგებლოდ მეტყველებს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- დ. ბერძენიშვილი, მ. გიორგიძე, ც. ჩაჩხუნაშვილი და გ. ჭანიშვილი, არქიტექტურულ-ისტორიული გზამკვლევი „გუჯარეთი“, თბილისი 1987 წელი
- ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბილისი 1957 წელი

სოფელ ოდეთის ეკლესია

სოფ. გუჯარეთიდან ოდეთში სამანქანო გზით შეიძლება მოხვედრა. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნულ სოფელს ედოთს უწოდებს. სოფლის ზევით, მრავალწლიანი ფიჭვის ხეებში ჩაფლულია დარბაზული ეკლესიის ნანგრევები, რომლის კედლები მხოლოდ ერთი მეტრის სიმაღლეზეა შერჩენილი. ტაძრის სამშენებლო მასალად გამოყენებულია დაუმუშავებელი დიდი ლოდები. კედლის წყობის ხასიათის მიხედვით, ეკლესიას VIII-IX საუკუნეების ხუროთმოძღვრულ ძეგლად მიიჩნევენ. ნოემბერში აქ გიორგობას დღესასწაულობენ, თუმცა ტაძარს ღმრთისმშობლის სახელით მოიხსენიებენ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- დ. ბერძენიშვილი, მ. გიორგიძე, ც. ჩაჩხუნაშვილი და გ. ჭანიშვილი, არქიტექტურულ-ისტორიული გზამკვლევი „გუჯარეთი“, თბილისი 1987 წელი

2. ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბილისი 1957 წელი
3. ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1973 წელი

სოფელ ღინტურის ეკლესია

სოფ. ოდეთის პირდაპირ, მდ. გუჯარულას გაღმა სოფელი ღინტურია. აქ მისასვლელად საჭიროა მდინარის გადალახვა. სოფ. ღინტურში, გზის პირას უხერშად გათლილი, რუხი ფერის ქვებით ნაგები დარბაზული ეკლესია (სურ. 37) დგას. მისი საკურთხეველი ბრტყელია, თითქმის სწორკუთხედს მიახლოებული. კამარა ჩამოქცეულია. იგი ეყრდნობოდა ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე არსებულ, კრონშტეინებზე გადაყვანილ საბჯენ თაღს. ტაძარს შესასვლელი დასავლეთიდან აქვს. სარკმლებიდან არცერთი არ არის შემორჩენილი. ძეგლის ნანგრევები შესასვლელთან არის თავმოყრილი.

ეკლესიის ორგვლივ შეიმჩნევა ნაგებობათა ნაშთები, აქვე ახლაც მოქმედი სასაფლაო. სწავლული ბატონიშვილი გუჯარულას მარცხენა ნაპირზე ღინტურის სახელით ორ სოფელს ასახელებს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. დ. ბერძენიშვილი, მ. გიორგიძე, ც. ჩაჩეუნაშვილი და გ. ჭანიშვილი, არქიტექტურულ-ისტორიული გზამკვლევი „გუჯარეთი“, თბილისი 1987 წელი
2. ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბილისი 1957 წელი

3. ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1973 წელი

სოფელ თონეთის ეკლესია

სოფ. ღინტურის გავლით, ზევით ნასოფლარი თონეთია. სამანქანო გზასთან, ხევის პირას დგას დარბაზული ტიპის ეკლესია სამხრეთის მინაშენით. ძეგლს სახურავი ჩამონვრეული აქვს. აღგილზეა აღმოსავლეთი ფასადის სახურავის სამხრეთი ქანობი კარნიზით, ხოლო დასავლეთ ფასადზე – კეხი და კარნიზის ერთი ქვა. შენობის ირგვლივ შემორჩენილია ძველი ნასახლარის კედლები და გელაზის დიდი ქვა.

ეკლესია საშუალო ზომისაა (7.5×7 მ), ნაგებია დამუშავებული რუხი და ღვინისფერი ქვით, კირ-ხსნარის დუღაბზე. ეკლესიას აქვს მინაშენი, რომელიც საკმაოდ განიერია და თითქმის ეკლესიის სიგანეს უტოლდება. აღსანიშნავია, რომ ეკლესია ნაწილობრივ მიწით არის დაფარული. ეკლესიის ფასადები სადაა. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს დასავლეთით, ვიწრო სარკმლის ზევით გამოსახული რელიეფური ჯვარი. ეკლესიის მინაშენი იმდენად არის ჩახერგილი, რომ მის შიდა სივრცეზე რაიმეს თქმა ძნელია. მინაშენის სწორკუთხა, მაღალი შესასვლელი გარედან გადახურულია სადა და ვიწრო ზედანის ქვით. ეკლესიაში ვხვდებით სამხრეთ ფასადზე გაჭრილი კარით, რომლის თავზე დევს მუზარადისებრი ფორმის მოზრდილი არქიტრავის ქვა. თონეთის ეკლესიის აშენებას, არქიტექტურული მონაცემების საფუძველზე – XIV-XV საუკუნეებით ათარიღებენ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. დ. ბერძენიშვილი, მ. გიორგიძე, ც. ჩახჩუნაშვილი და გ. ჭანიშვილი, არქიტექტურულ-ისტორიული გზამკვლევი „გუჯარეთი“, თბილისი 1987 წელი
2. ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბილისი 1957 წელი

სოფელ დიდი თონეთის ეკლესია

სოფელ დიდი თონეთის ეკლესია ნასოფლარი დიდი თონეთია, სადაც ფერმები, გარედან მიწით დაფარული ადრეფეოდალური ხანის ნაეკლესიარია შემორჩენილი. აქედან წალვრის არქეოლოგიურ ბაზაში ჩამოტანილია სწორკუთხა ფორმის ქვა ($130 \times 70 \times 36$ სმ), რომლის ერთი მხარე რელიეფური კომპოზიციით არის შემკული; ზევიდან კი ჯვრის ჩასადგმელი ფოსო (25×20 სმ) აქვს. აღნიშნულ ქვა სერგი მაკალათიას კანკელის ნაწილად მიაჩნდა და მას XVI-XVII საუკუნეებით ათარიღებდა. ნაეკლესიარში კი აღნიშნული ქვა იდო კანკელის ხაზზე, ჩრდილოეთ კედელთან. მის რელიეფზე გამოსახულია ორი მამაკაცის ფიგურა და მათ შორის აღმართულია მაღალი ჯვარი. ორივეს ერთნაირი, წელში შევიწროვებული და ბოლოგანიერი, სადა კაბა აცვია. თავზე დაბალი ქუდები ახურავთ. თავებთან დაქარაგმებული სახლები იკითხება: გრ და თე, ე. ი. „გაბრიელ“ და „თევდორე“. დიდი თონეთის რელიეფს XIII საუკუნის II ნახევრით ათარიღებენ.

თაღის ქუსლებსა და ქვედა კუთხებში დასმულ კვადრატებზე არსებული ნუსხანარევი ასომთავრული წარწერა გვამცნობს: „აღიდოს ღმერთმან სოლი ოქრო (პირ) ისი (ან ოქროისი). ჩვენ მისთა ძმათა თევდორე და გაბრიელ ესე ბარზიმი ვამსახორეთ წმინდასა გიორგის ყოდევისასა, ამინ“. დიდი თონეთის რელიეფს XIII საუკუნის II ნახევრით ათარიღებენ.

როგორც წარწერიდან ირკვევა, თევდორესა და გაბრიელს წმიდა გიორგის ეკლესიისათვის ბარძიმი მიუციათ სახმარად თავიანთი ძმის, ოქროს ან ოქროპირის სულის საოხად. წარწერის ბოლოს მოხსენიებულია ყუდევის წმიდა გიორგი. დ. ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ ეკლესია, სადაც ეს ქვა დაუდგამთ და ბარძიმი უმსახურებიათ, წმიდა გიორგის სახელობისა იყო, ხოლო სოფელს მაშინ ყუდევი რქმევია. ეს ტოპონიმი საყაოდ ძველი ჩანს, დროთა განმავლობაში იგი დაკარგულა, არსად იხსენიება და მხოლოდ წარწერამ შემოგვინახა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
- დ. ბერძენიშვილი, მ. გიორგიძე, ც. ჩაჩეუნაშვილი და გ. ჭანიშვილი, არქიტექტურულ-ისტორიული გზამკვლევი „გუჯარეთი“, თბილისი 1987 წელი
- დ. ბერძენიშვილი, ქვაჯვარი გუჯარეთის თონეთიდან, კრებულში: ნარკვევები, რედ. გიორგი ჭეიშვილი და ნიკოლოზ ვაჩევიშვილი, გამოცემლობა „სამკალი“, თბილისი 2005 წელი
- ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბილისი 1957 წელი

სოფელ ღმრთისმშობლის ეკლესია

სოფელი ღმრთისმშობელი მთის ფერდობზე შეფენილი პატარა სოფელია და მდ. გუჯარულას მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. იგი ხევით შუაზე არის გაყოფილი.

სოფლის განაპირას, დაბლობ ადგილზე დგას მოზრდილი ეკლესია, რომელიც ასევე ღმრთისმშობლის სახელობისაა (სურ. 38). ეკლესიის ირგვლივ სასაფლაო ყოფილა, ხოლო მის სამხრეთით ნასოფლარია. ადგილობრივთა გადმოცემით, შემთხვევითი გათხრების დროს ყავრისხევზე, თიხის მიღები უპოვნიათ, საიდანაც ნასოფლარში წყალი ჩადიოდა. სერგი მაკალათია აღნიშნულ თიხის მიღებს XII საუკუნით ათარი-ღებს. ვახუშტი ბატონიშვილს თავის შედგენილ რუკაზე ედოთის შემდეგ დასმული აქვს სოფელი კოწათუბანი. აქედან გამომდინარე, დევი ბერძენიშვილი სწორედ კოწათუბანი უნდა ყოფილიყო ღმრთისმშობლის ძეველი სახელწოდება.

ეკლესია დარბაზულ ტიპისაა, რომელსაც აქვს სამხრეთის მინაშენი. ხუროთმოძღვრული ძეგლი ძალიან დაზიანებულია. ჩამოქცეულია კამარა და კონქი. დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლები 2-3 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. მინაშენის კედლები კი 1 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. ტაძარს შესასვლელი ორი მხრიდან – სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან აქვს.

სამხრეთი შესასვლელი შიგნიდან თაღოვანია. მისგან აღმოსავლეთით, კედლის წყობაში, მოზრდილი სწორკუთხაა ქვაა, რომელშიც ასეთივე მოხაზულობის ჩაღრმავებაა. ეკლესიას შემორჩენილი აქვს ორი სარკმელი: ერთი საკურთხეველშია გაჭრილი, ხოლო მეორე – სამხრეთი კედლის აღმოსასვლეთ მონაკვეთში. გარედან შესასვლელში არქიტრავის ქვაზე ამოკვეთილია წრეში ჩახატული ტოლძკლავიანი ჯვარი. ძეგლის კედლებზე ალაგ-ალაგ შემორჩენილია ბათქაში, ზოგან კი საღებავის სუსტი კვალიც, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ეკლესია თავის დროზე მოხატული იყო.

ტაძარს არქიტექტურული მონაცემების საფუძველზე – X საუკუნით ათარიღებენ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. დ. ბერძენიშვილი, მ. გიორგიძე, ც. ჩაჩეუნაშვილი და გ. ჭანიშვილი, არქიტექტურულ-ისტორიული გზამკვლევი „გუჯარეთი“, თბილისი 1987 წელი
2. ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბილისი 1957 წელი

სოფელ გვერდისუბნის „ღმრთისმშობლის“ სახელობის ეკლესია

სოფელ ღმრთისმშობლის შემდეგ მოდის სოფელი გვერდისუბანი, რომელიც სოფ. გუჯარეთის შემდეგ მეორე დიდი დასახლებაა. სოფლის ჩრდილო-დასავლეთ განაპირას, ბორცვის კალთაზე, ფიჭვებით შემოსაზღვრული ეკლესიის ნანგრევებია. ადგლობრივი მოსახლეობა აღნიშნულ ტაძრის ნანგრევებს „ღვთისმშობლის“ სახელით მოიხსენიებს (ზომები მინაშენის ჩათვლით: 7×8 მ) ეკლესია დარბაზული ტიპისაა, ჩრდილოეთის მცირე მინაშენით. კედლები მხოლოდ 1.5-2 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. ეკლესიის ასაგებად გამოყენებულია უხეშად გათლილი, დიდორონი, რუხი ფერის ქვები. ტაძრის შიგნით ნალესობა არ შეიმჩნევა. ძეგლს ერთადერთი შესასვლელი სამხრეთიდან აქვს, რომელსაც უხეშად გათლილი მოზრდილი არქიტრაგის ქვა ასრულებს. აღნიშნული ტაძრის აგებას ხუროთმოძღვრული მონაცემების საფუძველზე, ფართო ქრონოლოგიური მონაკვეთით – VIII-X საუკუნის დასაწყისით ათარიღებენ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- დ. ბერძენიშვილი, მ. გიორგიძე, ც. ჩაჩენაშვილი და გ. ჭანიშვილი, არქიტექტურულ-ისტორიული გზამკვლევი „გუჯარეთი“, თბილისი 1987 წელი
- ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბილისი 1957 წელი

სოფელ ვარდევანის ეკლესია

სოფელი გვერდისუბანის პირდაპირ მდინარეზე დაკიდებული ხიდის მეშვეობით უკავშირდებით გუჯარეთის ხეობის კიდევ ერთ სოფელ ვარდევანს. დ. ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ ვარდევანი ამ სოფლის ახალი სახელია. მისი ძველი სახელი შესაძლოა ყოფილიყო ვახუშტისთან მოხსნიერული სოფელი ლელისუბანი.

სოფლის სამხრეთით, რამდენიმე ასეულ მეტრში, შემაღლებულ ადგილას შემორჩენილია დარბაზული ეკლესიის ნანგრევები. იქვეა სოფლის სასაფლაოც.

ეკლესია საკმაოდ მოზრდილი უნდა ყოფილიყო (6×9 მ). კედლები მხოლოდ 1.5 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. სამშენებლო მასალად გამოყენებულია გათლილი, მოვარდისფრო ტუფის მოზრდილი კვადრები. ეკლესიას სამხრეთიდან აქვს შესასვლელი, სადაც კარგად დამუშავებული არქიტრავის ვარდისფერი ქვა გდია. აღნიშნულ ქვაზე ორი ლილვით შექმნილ წრეში ჩასმული ტოლმკლავიანი და ბოლოებგაშლილი ჯვარია გამოსახული.

ძეგლი არქიტექტურული მონაცემების გათვალისწინებით, VIII-X საუკუნის შუა წლებით არის დათარიღებული.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- დ. ბერძენიშვილი, მ. გიორგიძე, ც. ჩაჩეუნაშვილი და გ. ჭანიშვილი, არქიტექტურულ-ისტორიული გზამკვლევი „გუჯარეთი“, თბილისი 1987 წელი
- ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბილისი 1957 წელი

სოფელ ტყემლოვანის ეკლესია

სოფელ ვარდეგნიდან დასავლეთის მიმართულებით ტყეში, 2-3 კილომეტრის მოშორებით ნასოფლარი ტყემლოვანია. აღნიშნულ ნასოფლარში ხეებით მჭიდრო შემოჯარულ და დაბურულ ეკლესიას ვნახავთ, რომელიც მხოლოდ მასთან ახლოს მისვლის შემდეგ იზიდვება. ტაძრის ირგვლივ ძველი სასაფლაოა მორღვეული გალავნით.

ეკლესია საშუალო ზომის დარბაზული ტიპის ხუროთ-მოძღვრულ ძეგლს წარმოადგენს სამხრეთის მინაშენით. ტაძარი ნაშენია ბაზალტის ფერადოვანი ქვით, რაც მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. სამხრეთ ფასადზე, შესასვლელის ზევით ვიწრო თაღოვანი სარკმლის თავსართის ფილას გასდევს ერთსტრიქონიანი დაქარაგმებული მხედრული წარწერა: „ქო შლინი ქე გი შე წე. ვალერი სილოგავა ამ სავედრებელ წარწერას შემდეგი სახით კითხულობს: „ქ (უფალო), შ(ვი)ლინი!“ კ(ურიკ)ე, გ(იორგ)ი, შე(ი)წ(ყალ)ე“. ამავე სამხრეთ კედლის ზედა ფილაზე გამოსახულია მცირე ზომის რელიეფური ჯვარი.

ეკლესიაში შესასვლელად სამხრეთიდან გაჭრილი ერთადერთი კარით ჯერ მინაშენში, ხოლო შემდგომ მთავარ ტაძარში ვხვდებით. ეკლესის აღმოსავლეთ სარკმელის თავ-სართის ქვები ძირს არის ჩამოვარდნილი. აღნიშნული ფილე-

ბიდან ერთ-ერთზე შემორჩენილია ფიგურის გამოსახულება, რომლის მარცხნივ ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა, რომელიც სრულად არ იკითხება: „ეკ... წმინდაღ“ დ. ბერძენიშვილი აღნიშნულ წარწერას შემდეგი სახით კითხულობს: „ეკ(ლესია) წმინდაღ“ ან „(ეკატერინე) წმინდაღ“ მეორე, სრულიად შემონახულ ფილაზე ორი საერო პირის მიერჯვრის აღმართვის სცენაა გამოსახული. კომპოზიციის ცენტრში ფართომკლავებიანი ჯვარია ამართული. ჯვრის მკლავებთან ფრონტალურად ერთმანეთის მსგავსი ფიგურები დგანან. ორივეს ცალი ხელი დოინჯით აქვს წელზე შემოდებული. მეორე ხელით კი ჯვრის ტარი უჭირავთ. დ. ბერძენიშვილი აქ გამოსახულ საერო პირებში სამხრეთ სარკმლის წარწერაში მოხსენიებულ კვირიკესა და გიორგის მოაზრებს.

აღნიშნული ეკლესია, ხუროთმოძღვრული მონაცემებიდან გამომდინარე, X საუკუნით თარიღდება.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- დ. ბერძენიშვილი, მ. გიორგიძე, ც. ჩაჩხუნაშვილი და გ. ჭანიშვილი, არქიტექტურულ-ისტორიული გზამკვლევი „გუჯარეთი“, თბილისი 1987 წელი
- ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბილისი 1957 წელი

აღეწის ციხე

გვერდისუბნის გავლით, ცენტრალური ხაზიდან ჩრდილო-დასავლეთით გზა უხვევს, გაივლის სოფელ წინუბანს, სულ ზევით აღეწის ციხისაკენ მიემართება. აქედან გადასავლელებია: ხცისის გავლით – ხაშურისკენ და ძამის ხეობის

გავლით – ქარელში. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ ციხეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა პქონდა.

სწავლული ბატონიშვილი აღეწის ციხის შესახებ წერს: „არს ციხე აღეწისა, მაგარი და მჟურეტი ქართლ-იმერეთისა“.

ციხე აშენებულია ვიწრო თხემზე. ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მხარეს ფრიალო კლდეა. დასავლეთისა და სამხრეთის ფერდობები ნაკლებად დამრეცია, საიდანაც სიმაგრე მაღალი კედლებითაა შემოზღუდული. კედლები ბევრ ადგილას წაქცეულია. წაგრძელებულ მხარეებს ორი მრგვალი ბურჯი ასრულებს. აღმოსავლეთის ბურჯის მხოლოდ ფუძეა შემორჩენილი, დასავლეთისა – კვალი ჩანს. ციხეს სამხრეთი მხრიდან სამზერი ხვრელი აქვს დატანებული, რომელიც წინუბნიდან მომავალ გზას აკონტროლებს. მას განვითარებული გვიანი შუა საუკუნეებით ათარიღებენ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- დ. ბერძენიშვილი, მ. გიორგიძე, ც. ჩაჩეუნაშვილი და გ. ჭანიშვილი, არქიტექტურულ-ისტორიული გზამკვლევი „გუჯარეთი“, თბილისი 1987 წელი
- ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი
- ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკეევი), თბილისი 1957 წელი
- ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1973 წელი

მაჭარწყლის ეკლესია

სოფელ წინუბნის შემდეგ სოფელი მაჭარწყალია. სოფლის განაპირას, შემაღლებულ ფერდობზე ეკლესია (სურ. 39) ძლებარეობს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ახლო ეკლესიას უწოდებს. ეკლესიას ერთადერთი შესასვლელი აქვს სამხრეთი მხრიდან. სწორედ აღნიშნული შესასვლელის არქიტრავის ქვაზე ამოკაწრული ასომთავრული წარწერის რამდენიმე გრაფემა – „ნიკლზ“ საკმარის არგუმენტად ჩათვალა სერგი მაკლათიამ, რომ აღნიშნული ტაძარი წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიად მიეჩნია. თუმცა დევი ბერძენიშვილმა გამოთქვა ვარაუდი, რომ აქ მოხსენიებული ნიკოლოზი შეიძლება საერო პირი იყოს.

ეკლესია დარბაზული ტიპის ნაგებობაა (5×8.5 მ). იგი ძალიან დაზიანებულია, კერძოდ, კამარა ჩაქცეული აქვს, თითქმის მთლიანად დანგრეულია აღმოსავლეთ ფასადი. ეკლესია აგებულია რუხი ფერის უხეშად გათლივლი საშუალო ზომის ქვებით. ალაგ-ალაგ ჩატანებულია წითელი ფერის ქვები. ეს განსაკუთრებით შეინიშნება ეკლესიის დასავლეთ ფასადზე, რაც მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

ეკლესიას გალავანი ჰქონია, რომლის შიგნით სასაფლაოა. ერთ-ერთი საფლავის ქვად ოთხივე მხრივ დამუშავებული სტელის ნაწილი გამოუყენებიათ, რომელსაც ზემოდან ფოსო აქვს ამოკვეთილი ჯვრის ჩასასმელად. საფლავის ქვის სამ გვერდზე გამოსახულია თითო აღმიანის ფიგურა, ხოლო მეოთხეზე ორი ფიგურა. ამჟამად სტელის ეს ნაწილი ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ჩვენც მოვინახულეთ აღნიშნული ეკლესია და საგულდაგულოდ დავათვალიერეთ მისი როგორც ინტერიერი, ასევე ექსტერიერი. ეკლესიის დათვალიერების დროს ჩვენი ყურადღება მიიპყრო ტაძრის ინტერიერში დასავლეთ ფასადზე მომწვანო ფერის ქვაზე

ამოკაწრულმა XI საუკუნის მხედრულმა წარწერამ (სურ. 40), რომელიც დღემდე უცნობი იყო ქართული ისტორიოგ-რაფიისათვის. წარწერიანი ქვა ამობრუნებულია. ის, რო-გორც ჩანს, შემდეგ გამოიყენეს სამშენებლო მასალად. წარ-წერა სავედროებელი ხასიათისაა და შემდეგი სახით იკითხება: „ქ(რისტ)ე შეიწყალე იოანე ცოდვილი...“, ამის შემდეგ მოდის რამდენიმე გრაფემა, რომელიც კირით არის დაფარული. ჩვენ ვაპირებთ უახლოეს მომავალში აღნიშნული ტაძრის კვლავ მონახულებას ამ წარწერის ბოლო ნაწილის გასრუ-ლების მიზნით.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- დ. ბერძენიშვილი, მ. გიორგიძე, ც. ჩაჩეუნაშვილი და გ-ჭანიშვილი, არქიტექტურულ-ისტორიული გზამკვლევი „გუ-ჯარეთი“, თბილისი 1987 წელი
- ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფი-ული ნარკვევი), თბილისი 1957 წელი

სახდელის ხევის სამების ეკლესია

სოფელ მაჭარწყვლიდან, დაახლოებით 1.5 კილომეტრის შემდეგ, გზის მარჯვენა მხარეს, სახდელის ხევის სამების სახელობის დარბაზული ეკლესია (5.40×3.90 მ). ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით ნასახლარის კვალი შეინიშნება, ხო-ლო აღმოსავლეთით პატარა ბორცვზე კოშკი მცირე ნაშთი და გალავნის (10 მ სიმაღლის) ნაწილია შემორჩენილი. აქე-დან ძველი გზა მიდიოდა სარბიელასა და ალეწის ციხისაკენ.

ეკლესიის საშენ მასალად გამოყენებულია უხეშად და-მუშავებული უსწორო სხვადასხვა ზომის ქვები. ტაძრს ერ-თადერთი შესავლელი სამხრეთიდან აქვს. ძეგლს ორი სარ-

კმელი აქვს: ერთი თაღოვანი მოხაზულობის სარკმელი აღმო-სავლეთითაა გაჭრილია, მეორე კი დასავლეთ კედელშია. ტა-ძარში ალაგ-ალაგ შემორჩენილია შელესილობის კვალი, რის საფუძველზეც დევი ბერძნიშვილი ფიქრობდა, რომ ეკლესის ინტერიერი მთლიანად მოხატული უნდა ყოფილიყო. ნაგებო-ბის საერთო იერიდან გამომდინარე, ეკლესიას ადრეფეოდა-ლური ხანის ხუროთმოძღვრულ ძეგლთა რიცხვს მიაკუთვნე-ბენ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- დ. ბერძნიშვილი, მ. გიორგიძე, ც. ჩაჩეუნაშვილი და გ. ჭანიშვილი, არქიტექტურულ-ისტორიული გზამკვლევი „გუ-ჯარეთი“, თბილისი 1987 წელი
- ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფი-ული ნარკვევი), თბილისი 1957 წელი

მომწვარას ციხე

სახდელის ხევის სამების ეკლესიდან 2-3 კილომეტ-რის გავლის შემდეგ, სამანქანო გზით მოხვდებით მომწვარას ციხესთან. ციხე მაღალ კლდოვან თხემზე მდებარეობს.

დევი ბერძნიშვილი ფიქრობს, რომ აღნიშნული ციხის სახელწოდება უნდა უკავშირდებოდეს ტყის ხანძარს. სწავ-ლული ბატონიშვილი აღნიშნული სიმაგრის შესახებ წერს: „არს ციხე მომწვარას, და ეკლესია მცირე და შენობანი დიღნი“.

დღეისათვის ციხე თითქმის დანგრეულია. იგი შემორჩე-ნილია მხოლოდ გალავნის არასრული სიმაღლითა და მის შიგნით არსებული ნაგებობის ნაშთით. ციხესთან ყველაზე ადვილი მისადგომი არის აღმოსავლეთის მხრიდან. სიმაგრის

ფართი, რომელიც კლდოვანი თხემის მთელ ზედაპირს მოიკავს (დაახლ. 50×30 მ) მოზღუდულია. ციხე მოზრდილი ქვებითაა ნაგები. ციხის აღმოსავლეთ ნაწილში არასრული სიმაღლის (5 მ-მდე) სწორკუთხა კოშკი დგას. ციხის გალავანს ჩრდილოეთის მხრიდან წრიული ბურჯი ახლავს. სიმაგრეში შეიმჩნევა მრგვალი წყალსაცავის ნაშთი. ციხეში ეკლესიის გეგმა აღარ იკითხება. მომწვარას ციხე თავისი სტრატეგიული მდებარეობის გამო, გუჯარუთის ორივე სანაპიროს სოფლებს უზნარიანის საციხისთავომდე გადასწვდებოდა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- დ. ბერძენიშვილი, მ. გიორგიძე, ც. ჩაჩხუნაშვილი და გ. ჭანიშვილი, არქიტექტურულ-ისტორიული გზამკვლევი „გუჯარუთი“, თბილისი 1987 წელი
- ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი
- ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბილისი 1957 წელი
- ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1973 წელი

სარბიელას ციხე

სახდელის ხევის ზემო წელზე მდებარეობს სარბიელას ციხე-სიმაგრე (სურ. 41). ციხე მაღალ მთაზეა წამომართული. იგი გზიდანვე იპყრობს მნახველის ყურადღებას. მისი შიდა ტერიტორია დაახლოებით 30×10 მეტრია, რომლის აღმოსავლეთი და დასავლეთი მხრიდან მოზრდილი ლოდებით

ნაგები კოშკები დგას. ციხის კედლების სისქე 1-1.5 მეტრია. სამხრეთი კოშკი დაახლოებით 8 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი, რომელიც ე.წ. „ზურგიანი კოშკების“ რიცხვს მიეკუთვნება. ციხის ჩრდილოეთი მხარე ძალზედ დაზიანებულია.

ციხეს ორი მხრიდან – აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან აქვს შესასვლელი. ციხის ტერიტორიაზე არის ვეება სარო, მარნის და სხვ. ციხის გალავნის გარეთ, აღმოსავლეთ კედლთან მოზრდილი წყალსაცავია.

ვახუშტი ბატონიშვილი სარბიელას ციხის შესახებ მოგვითხრობს, რომ „არს კუალად, სარბიელას ზეით, ციხე, სარბიელას ჭევის თავს“. დევი ბერძენიშვილის აზრით, ეს ციხე არა მხოლოდ მეციხოვნეთა მუდმივი სადგომი უნდა ყოფილიყო, არამედ ფეოდალის გამაგრებულ რეზიდენციასაც წარმოადგენდა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- დ. ბერძენიშვილი, მ. გიორგიძე, ც. ჩაჩხუნაშვილი და გ. ჭანიშვილი, არქიტექტურულ-ისტორიული გზამკვლევი „გუჯარეთი“, თბილისი 1987 წელი
- ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი
- ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბილისი 1957 წელი
- ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1973 წელი

დიდი მიტარბის წმიდა გიორგის ეკლესია

სოფელ დიდი მიტარბში შეიძლება მოხვედრა როგორც პატარა მიტარბის გავლით, ასევე ბაკურიანადაც. სოფლის განაპირას, სამხრეთ-დასავლეთით დგას წმიდა გიორგის დარბაზული ეკლესია.

ტაძარს სახურავი არ აქვს, ჩამოშლილია. ძეგლი ნაგებია გათლილი რუხი-მოღვინისფრო ქვის სხვადასხვა ზომის კვადრებით. სარკმელთაგან შემორჩენილია აღმოსავლეთი სარკმლის ქვედა ნაწილი. მთავარი შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. გარდა ამისა, ეკლესიას აფსიდის მხართან, ჩრდილოეთით აქვს მეორე შესასვლელი, რომლის თავზეც დევს დიდი გლუვი არქიტრავის ქვა. მიტარბის ტაძარში კედლები დანაწევრებულია პილასტრებითა და თაღებით. მიტარბის ეკლესიას ხუროთმოძღვრული მონაცემების საფუძველზე, X საუკუნით ათარიღებენ. სოფლის ქვემო უბანში, ამჟამად მოქმედ სასაფლაოზე ღმრთისმშობლის ეკლესის ნანგრევებია. დიდი მიტარბიდან ტაბაწყურისაკენ მიმავალ გზაზე, კიდევ ერთი მაცხოვრის ნაეკლესიარია.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- დ. ბერძენიშვილი, მ. გიორგიძე, ც. ჩაჩეუნაშვილი და გ. ჭანიშვილი, არქიტექტურულ-ისტორიული გზამკვლევი „გუჯარეთი“, თბილისი 1987 წელი
- ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბილისი 1957 წელი

თელოვანის წმიდა ელიას სახელობის ეკლესია

სოფელ მიტარბის გავლით, სამხრეთ-აღმოსავლეთის მი-
მართულებით, დაახლოებით 2-3 კილომეტრის მანძილზე ნა-
სოფლარი თელოვანია. ნასოფლართან, მაღალი ბორცვის მოგა-
კებულ ადგილზე, ხეებში ჩაძირული ელიას სახელობის მცირე
ეკლესია დგას. ტაძარს ირგვლივ ძველი სასაფლაო აკრაგს.

წმიდა ელიას ეკლესია დარბაზული ტიპისაა. ეკლესიას
სამხრეთის მინაშენი მთელ სიგრძეზე მოუყვება, რომელიც მი-
წის დონემდეა დანგრეული. ეკლესიას ერთადერთი შესასვლე-
ლი სამხრეთიდან აქვს. ხუროთმოძღვრულ ძეგლს ორი სარ-
კმელი აქვს: ერთი საკურთხევლისა და მეორე დასავლეთის
მხრიდან. ტაძრის კედლებსა და კამარებზე მოხატულობის
მცირე კვალი შეიმჩნევა. გარედან სადა ნაგებობას ერთადერ-
თი სამკაული აქვს აღმოსავლეთ სარკმლის მორთულობის
სახით. სარკმლის ღიობის თავზე აღმართულია მოგრძო ჯვა-
რი და მის განაპირა არებზე, ცენტრისაკენ მიმართული მოძ-
რაობით გამოსახული ორი ერთნაირი ფრინველი. ფილის
მარჯვენა ზედა მარჯვენა კუთხეში უფრო მომცრო ზომის
ასეთივე ფრინველის გამოსახულებაა. ჯვრის მკვლავების ქვე-
ვით ერთსტრიქონიანი დაქარაგმებული ასომთავრული წარწე-
რაა მოთავსებული: „ქრისტე შეიწყალე თევდორე“.

დევი ბერძენიშვილი წარწერაში მოხსენიებულ თევდო-
რეს ტაძრის ქტიტორის ან ამშენებელი ოსტატის სახელად
მიიჩნევს. ტაძარს არქიტექტურული მონაცემების საფუძველ-
ზე X საუკუნის I ნახევრით ათარიღებენ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- დ. ბერძენიშვილი, მ. გიორგიძე, ც. ჩაჩეუნაშვილი და გ.
ჭანიშვილი, არქიტექტურულ-ისტორიული გზამკვლევი „გუ-
ჯარეთი“, თბილისი 1987 წელი

ტიმოთესუბნის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია

ტიმოთესუბნის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია (სურ. 42) გვირგვინის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდ. გუჯარეთისწყლის მარჯვენა მხარეს, ბორჯომიდან 17 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს.

ტიმოთესუბნის ეკლესია სოფლის ბოლოს მდებარეობს და აგებულია აგურით XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე. იგი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია, რომლის ფერწერაც 1205-1215 წლებს განეკუთვნება და ქართული მონუმენტური ფერწერის საეტაპო ნიმუშს წარმოადგენს.

ტაძარი ცენტრალურ-გუმბათოვან ნაგებობათა რიცხვს მიეკუთვნება. გუმბათი ეყრდნობა აფსიდის კუთხეებს და ორ თავისუფლად მდგომ ბურჯს. ტაძრის შიდა სივრცე ხალვათია და ზეაზიდული. დასავლეთ მკლავში ერთი მოზრდილი სარკმელია გაჭრილი. დანარჩენ მხარეებში კი – სამ-სამი სარკმელია გაჭრილი. შესასვლელები ეკლესიას სამხრეთიდან და დასავლეთიდან აქვს, რომელთა წინ კარიბჭეებია. დასავლეთის კარიბჭე აგურისაა, სამხრეთისა – თლილი ქვით ნაგები. კარიბჭეები მოგვინო პერიოდისაა და გვიან არის მთავარ ტაძარზე მიღებული. ტაძრის ფასადები სადაა. გუმბათის ყელი საგანგებოდ არის მორთული. სწორკუთხა ჩარჩოში მოქცეულ სარკმლებს გარს უვლის სვეტებზე დაყრდნობილი თაღები. თაღების შიგნით, სარკმლის თავზე მოჭიქული ცის-ფერი ფიალებისგან აწყობილი ჯვრებია გამოსახული. კარიზის ქვევით ასეთივე ფერის ფიალებია ჩასმული. ტაძარი, რომ თავიდანვე დიდ სამონასტრო კომპლექსს წარმოადგენდა, ამაზე მეტყველებს ეკლესიის სიახლოვეს მდებარე გამოქვაბულები, რომელსაც როგორც ჩანს, როგორც თავდაცვითი, ასევე სენაკების ფუნქციაც ჰქონდა.

ტიმოთესუბნის მოხატულობამ საკმაოდ დაზიანებული სახით მოღწია ჩვენამდე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თითქმის მთლიანად შეიძლება მისი იკონოგრაფიული პროგრამის აღ-დგენა. ტიმოთესუბნის მცირე წმიდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის (სურ. 43) დასავლეთ ფასადზე, სარკმლის ზედა ნაწილზე მოიპოვება ასომთავრული წარწერა: „ქრისტე შეიწ-ყალე სულითა შალვა ერისთავთ ერისთავი“ (სურ. 44). იმავე სარკმლის ქვედა ნაწილს ამთავრებს თავდაყირა ჩასმული ქვა. როგორც ჩანს, რემონტის დროს ის თავქვე ჩაუყოლებიათ, სადაც შესრულებულია იმავე ხელით ასომთავრული წარწე-რა, რომლისგანაც ახლა მხოლოდ ოთხი გრაფემა განირჩება „სლთა“ანუ სულითა.

მეცნიერთა ერთი ნაწილი აღნიშნულ წარწერებს – XI-XI საუკუნეებით ათარიღებენ, ხოლო მეორე ნაწილი აღნიშ-ნულ წარწერათა ქრონოლოგიას კი – XII-XIII საუკუნეებით განსაზღვრავენ. პირველ წარწერაში მოხსენიებულ ერისთავთ ერისთავ შალვას XIII საუკუნის ცნობილ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწესთან – შალვა თორელ-ახალციხელთან აიგივებენ და აღნიშნულ ტაძარს მისი ფეოდალური სახლის საგვარეულო მონასტრად მიიჩნევენ.

XVI საუკუნეში ტიმოთესუბანი სადგერის წმიდა გიორ-გის ეკლესიას ექვემდებარებოდა. 1595 წლის „გურჯაისტანის ვილაიეთის დავთრის“ მიხედვით, სოფელი ტიმოთესუბანი აღ-ნიშნულია ორკომლიან სოფლად, რომელსაც შეწერილი აქვს 11950 ახჩა გადასახად.

ვახუშტი ბატონიშვილი ტიმოთესუბნის ეკლესიის შესა-ხებ წერს: „თორის-წყლის აღმოსავლით, არს კიმოთისმანს მონასტერი გუმბათიანი, კეთილნაშენი, შუენიერს ადგილს. ზის წინამდღუარი“. XIX საუკუნეში მონასტერი პრაქტიკუ-ლად განადგურების პირას მივიდა. აღნიშნულ ეკლესიაში 1925 წლამდე მოღვაწეობდა მღვდელმონაზონი პახუმი (ფა-ფერაშვილი), რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო, როგორც სა-

მონასტრო ცხოვრების აღორძინებას, ასევე მრევლში დიდ საგანმანათლებლო საქმიანობას.

1957 წელს მოხდა აღნიშნული ხუროთმოძღვრული ძეგლის გამაგრება, კერძოდ, ტაძარი ახლად გადახურეს. 1960-იანი წლების დასასრულს საქართველოს კულტურის სამინისტროსთან არსებულ სპეციალურ სამეცნიერო სახელოსნოს რესტავრატორთა მცირე ჯგუფი კარლო ბაკურაძისა და გურამ ჭეიშვილის ხელმძღვანელობით, სამი წლის განმავლობაში მუშაობდა ტაძარზე და მის მოხატულობაზე.

1972-1976 წლებში მოხატულობის გაწმენდაზე და შესწავლაზე მუშაობდა რესტავრატორთა ჯგუფი ეკატერინე პრივალოვას ხელმძღვანელობით. აღნიშნული სამუშაოების დროს მოხდა ფრესკების გაწმენდა და წმინდანთა გამოსახულებების იდენტიფიკაცია. 1994-1996 წლებში აქ ცირკა-ლოცვას აღავლენდა იღუმენი საბა (გიგიბერია), ხოლო 1998 წელს ბორჯომ-ბაკურიანის მიტროპოლიტის მეუფე სერაფიმეს (ჯოჯუა) ლოცვა-კურთხევით აღდგა სამონასტრო ცხოვრება და წინამდღვრად განწესებულ იქნა იღუმენი (ამჟამად არქიმანდრიტი) იერომიელი (ფილიშვილი).

2004 წლის საქართველოს ხელოვნების კულტურის ფონდის განაცხადის მიხედვით, ტიმოთესუბნის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია შეყვანილია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო პროგრამაში, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ტაძრის ფრესკების კონსერვაცია. პროექტის ფინანსური მხარდაჭერა განახორციელა „World Monuments Fund/S, Kress Fundation“-მა, საერთაშორისო კონსულტანტები – „Conservazione Beni Culturali“ (იტალია).

2006 წელს ტიმოთესუბანი ოვისი ხუროთმოძღვრებით, კედლის მხატვრობის უნიკალურობით დაჯილდოვდა ევროპის კულტურული მემკვიდრეობის კომისიის მედლით –

„PRIX EUROPA NOSTRA“. ტაძარი შესულია „UNESCO“-ს კულტურული მემკვიდრეობის საგანძურში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბილისი 1974 წელი
2. 6. ბერძნიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 1, თბილისი 1964 წელი
3. დ. ბერძნიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი 1985 წელი
4. დ. ბერძნიშვილი, მ. გიორგიძე, ც. ჩაჩეუნაშვილი და გ. ჭანიშვილი, არქიტექტურულ-ისტორიული გზამკვლევი „გუჯარეთი“, თბილისი 1987 წელი
5. დ. ბორჯომი. ძველი ტაძარი, გაზ. ცნობის ფურცელი, 15 მარტი, № 143
6. ც. გაბაშვილი, ვარძია: გზამკვლევი, თბილისი 1945 წელი
7. გ. გაგლოშვილი, ტიმოთესუბნის მონასტერი, გაზ. ბორჯომი, 1973 წელი, 14 აგვისტო
8. ე. გელევანიშვილი, პირი დმრთისა ტიმოთესუბნის მოხატულობაში, საქართველოს სიმელენი, თბილისი 2002 წელი, №1
9. ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი
- 10.გ. გზირიშვილი, მივწედოთ ბორჯომს, მის მდებარეობას, ომეგა 2001 წელი, № 9
11. მ. გიტინსი, ქართული კედლის მხატვრობის სამი ნიმუშის კონსერვაციისადმი მეთოდოლოგიური და პრაქტიკული მიოდგომა, ქართული ხელოვნება ევროპისა და აზიის კულტურათა კონტექსტში, ვ. ბერიძის სახელობის საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბილისი 2008 წელი

12. გორდევე ვ, ტიმოთესუბანი საბჭოთა ხელოვნება, 1940 წელი, №4
13. ირ. გუნია, საქართველოს მონასტრები: ენციკლოპედიური ცნობარი, თბილისი 2005 წელი
14. პ. ზაქარაია, შეუ საუკუნეების ქართული გუმბათოვანი არქიტექტურის ზოგიერთი საკითხისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXII-b, 1961 წელი
15. პ. ზაქარაია „ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა. XII-XIII სს.“, წიგნი მეორე, თბილისი, 1978 წელი
16. თაგვითიელი, ბორჯომის არე-მარე. შავი წყლის ხეობა, გაზ. დროება, 1876 წელი, 22 აგვისტო, № 9
17. პ. თევზაძე, თეატრალური მოტივები ტომოთესუბნის კომპიზიციაში, ქრისტეს განკიცხვა, ჟურნალი „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1980 წელი, № 3
18. პ. კანდელაკი, ტიმოთესუბანი, თბილისი 1964 წელი
19. ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა, თბილისი 1957 წელი
20. ე. პრივალოვა, ტიმეთესუბნის ახლად გახსნილი მოხატულობა, საბჭოთა ხელოვნება, 1975 წელი, № 6.
21. ე. პრივალოვა, „არს კიმოთისმანს მიონასტერი გუმბათოვანი“, ძეგლის მეგობარი, 1975 წელი, №38
22. ლ. რჩეულიშვილი, „ძველი ნასოფლარები ბორჯომ-ბაკურიანის მიდამოებში“, „ნარკვეები...“), 1994 წელი
23. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო პროგრამა, თბილისი 2004-2005 წელი
24. ტიმოთესუბანი, წიგნში: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IX, თბილისი 1985 წელი
25. ტიმოთესუბანი, წიგნში: საქართველოს სულიერი საგანმური, წიგნი I, თბილისი 2005 წელი
26. ტიმოთესუბნის მონასტერი, თბილისი 2013 წელი

27. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1973 წელი
28. ვ. შუბითიძე, ქართული ციხესიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები, თბილისი 2012 წელი
29. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბილისი 1951 წელი
30. თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, თბილისი 2004 წელი.
31. ვ. ჯანგიძე, ტიმოთესუბანი, გაზ. სამგორი (გარდაბანი), 1975 წელი, 14 იანვარი
32. ს. ჯიქა, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, გამოკვლევა, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობა“, თბილისი 1958 წელი
33. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Sd საბუთთა კოლექცია, №479
34. Бакрадзе Д, „Кавказ в древних памятниках христианства“, Записки Общества Любителей кавказской археологии, кн. 1, Тиф., 1875 г.
35. Беридзе В, „Некоторые аспекты грузинской купольной архитектуры со второй половины X века по конец XIII века“, Тб., 1976
36. Гагарин г, Собрание византийских грузинских и древнерусских орнаментов и памятников архитектуры, вып.1, СПБ, 1897 г
37. Кондаков Н, „Древняя архитектура Грузии“ (М., 1876)
38. Мшвениерадзе Д, „Строительное дело в древней Грузии“ (Тб., 1952)
39. Письмо им Ахалкалаки. „Закавказский Вестник“, 1852, № 20.
40. Привалова У, Роспись Тимотесубани, Исследование по истории грузинской средневековой монументальной живописи, Тб 1980 г

41. Beridze V, L'architecture ḡorgienne coupole de la seconde moitī du X sīcle 6 la fin du XIII^e, Atti del Primo Simposo
42. Brosset M., „Inscriptions recullies par M. Dimitri M̄ȳgwineth-Koutz̄sischwilī“ (M̄ylanges asiatiques, t. 1, livr. 1, St. Petersbourg, 1849)
43. „Lettres de M. Bartholomaei, relatives aux antiquit̄s ḡorgiennes; envoy de M. le colonel Khodzko; inscriptions d'Achal-Kalak, par M. Perevalenko
44. Sherwinski M, „Die Baukunst in Georgien“ („Allgemeine Bauzeitung“, 1891, № 3-4)

უზნარიანის ციხე

დაბა წალვერთან, მდ. გუჯარულას მარცხენა ნაპირის მაღალ ქარაფზე უზნარიანის ციხეა (სურ. 45) აღმართული. სერგი მაკალათია ამ ტოპონიმს უზნაძეთა გვარს უკავშირებს, რასაც არ იზიარებს ნიკო ბერძენიშვილი. მეცნიერის აზრით, აღნიშული ციხის სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს მცენარის – „უზანის“ სახელიდან.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: „კიმოთისმანს ქვეით არს ციხე, თორისწყლის აღმოსავლეთის კიდესა ზედა, უზნარიანისა, ფრიად მაგარი“. 1911 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა სპილენძ-ბრინჯაოს ხანის სამაროვანი.

სიმაგრე კლდესთან არის შეზრდილი. იგი სამი მხრიდან თითქმის მიუვალია. ციხის მთავარი ნაწილია მძლავრი ზურგიანი კოშკი და მასზე მიჯრით მიშენებული გალავანი. ზურგიანი კოშკი 8 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი, რომელიც ნაგებია საგანგებოდ შერჩეული ფლეთილი ქვით კირის სქელ ხსნარზე. რაც შეეხება ციხის გალავანს, ჩვენამდე ფრაგმენტულად მოაღწია. იგი ზღუდავს დაახლოებით 16×10 მ. ფარ-

თობის ტერიტორიას. ერთადერთი ვიწრო შესასვლელი აქვს სამხრეთიდან. ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია სხვა ნაგებობათა კვალიც.

უზნარიანის ციხე სტრატეგიულად მოხერხებულ ადგილზე არის აგებული. როგორც დევი ბერძენიშვილი ფიქრობს, მის საციხისთავო ერთეულში უნდა ყოფილიყო წალვერი და მისი მიდამოები სადგერამდე, მზეთამზის ზეგანი თავისი ნასოფლარებით, კიმოთისმანი და მისი გარემომცველი სოფლები.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 1, თბილისი 1964 წელი
2. დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
3. დ. ბერძენიშვილი, მ. გიორგიძე, ც. ჩაჩეუნაშვილი და გ. ჭანიშვილი, არქიტექტურულ-ისტორიული გზამგლევი „გუჯარეთი“, თბილისი 1987 წელი
4. ბ. გელაშვილი, თორის ხეობის თავდაცვითი ნაგებობები ისტორიისათვის, ახალაციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გულანი, № 10, ახალციხე 2011 წელი
5. ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი
6. ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა, თბილისი 1957 წელი
7. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1973 წელი
8. ო. ღამბაშიძე, თ. ჭატიშვილი, მასალები თორის წინაფეოდალური ხანის ისტორიული გეოგრაფიისათვის, საქართვე-

ლოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VI, თბილისი
1982 წელი

9. Макалатия С, Боржомское ущелье, Тб. 1958 г

**მზეთამზეს წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია; ძველი
ღმრთისმშობლის ნაეკლესიარი**

უზნარიანის ციხის ძირში, ხიდის მეშვეობით შეიძლება
სოფელ მზეთამზეში მოხვედრა. აღნიშნულ სოფელს შეიძლე-
ბა ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ტყის გავლითაც მიუდ-
გე.

სოფლის ცენტრში, სასაფლაოს ტერიტორიაზე მდება-
რეობს წმიდა გიორგის ეკლესია (სურ. 46), რომელიც 1901
წელს არის აგებული. ტაძარი სწორკუთხა ზომის ეკლესიაა
(12×8.5 მ), ნაშენებია ფლეთილი ქვით კირ-ხსნარზე. კედლე-
ბი შიგნიდან და გარედან შებათქაშებულია. აღმოსავლეთის,
ჩრდილოეთისა და სამხრეთის ფასადების შებათქაშებულ კედ-
ლებზე თითო თაღოვანი სარკმელია. ეკლესია გადახურულია
ორქანობიანი თუნექის სახურავით. ტაძარს შესასვლელი და-
სავლეთიდან აქვს. გუჯარეთის ხეობაში მზეთამზეს ეკლესია
გვიანი ხანის ერთადერთი ძეგლია.

ქვემო მზეთამზეს ძველ ნაეკლესიარად ღმრთისმშობლის
ტაძრის ნანგრევები მიიჩნევა. რომელშიც მოჩანს თანაბარი
ზომის ლოდების მწერივები. დარბაზული ეკლესიის ზომები
ყოფილა 2.35 მეტრი, რომლის ცენტრში, მოზრდილი ორსა-
ფეხურიანი ბაზისში 70 სმ სიმაღლის ოთხკუთხა სვეტია
ჩასმული. მის ერთ სიბრტყეზე, შუაში რელიეფური ჯვარია
გამოსახული. ეკლესიაში დევს ასევე ქვა ზედ გამოსახული
„ბოლნური მედალიონით“. ხუროთმოძღვრულ ძეგლს შესას-

ვლელი სამხრეთიდან აქვს და გალავანიც ჰქონია შემორტყმული.

1916 წელს ვონოგრადოვნიკიტინმა აქედან ბორჯომის მუზეუმში გადაიტანა ორი სტელა თავისი ბაზისებით, რომელიც აღწერა და ფოტოებიც დაურთო გიორგი ჩუბინაშვილმა. მეცნიერმა აღნიშნული სტელები კატაულასა (VII ს.) და უსანეთის (VIII ს.) ძეგლებზე გვიანდედად ჩათვალა. მზეთამზეს სტელათა გვერდით, ბორჯომის პარკში ყოფილა გამოფენილი ტიმპანი რელიეფით. აღნიშნული რელიეფი XX საუკუნის 20-იან წლებში, წყალდიდობის დროს განადგურებულა და ჩვენამდე შემორჩა მხოლოდ შავ-თეთრი ნეგატივი და ფოტოსურათი.

ტიმპანის ფართობი შევსებულია სიმეტრიული კომპოზიციით: ცენტრში გამოსახულია მჯდომარე ქრისტე. მას უკავია ტიმპანის მთელი სიმაღლე და სიდიდით აჭარბებს სხვა ფიგურებს. ქრისტეს ორივე მხარეს, ვედრების პოზაში დგანან ორი საერო ტანსაცმელში გამოწყობილი ისტორიული პირები. მარცხნივ მდგომ საერო პირს აშკარად ეტყობა წვერ-ულვაში, რაც მარჯვენა საერო პირს არა აქვს. მარცხენა ფიგურის ორივე მხარეს შეიმჩნევა დაქარაგმებული ასომთავრული გრაფემები, რომელიც ასე იკითხება: „ქრისტე შეიწყალე მიქელ“, ხოლო მარჯვენა ფიგურას აქვს შემდეგი წარწერა: „ქრისტე შეიწყალე ჯაფარ“. ფოტოს მიხედვით, რელიეფი შესწავლილია და მას IX საუკუნით ათარიღებენ. დევი ბერძენიშვილის აზრით, ადვილად მოსალოდნელია ეს ტიმპანიც მზეთამზეს, რუისის, ან გუჯარეთის ხეობის რომელიმე სოფლიდან ყოფილიყო ჩამოტანილი.

დევი ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ სამძივისხევი, სამზიოსხევი, ზეამზია, მზეთამზე — ასე იცვლებოდა ამ სოფლის სახელწოდება. სწორედ აღნიშნულ გეოგრაფიულ ტოპონიმის მოხერხებული გზები და უზნარიანის ციხე წარმოადგენდა

სამძიგართა ფეოდალური სახლის წინსვლის ძირითად დასაყრდებს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ბ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 1, თბილისი 1964 წელი
2. დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
3. დ. ბერძენიშვილი, მ. გიორგიძე, ც. ჩაჩეუნაშვილი და გ. ჭანიშვილი, არქიტექტურულ-ისტორიული გზამკვლევი „გუ-ჯარეთი“, თბილისი 1987 წელი
4. გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, ტფილისი 1936 წელი
5. Н. Аладашвили, Монументальная скульптура Грузии, М 1977

სოფელ რუისების ნაეკლესიარი

ზემო მზეთამზიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 2.5 კილომეტრზე ნასოფლარია, რომელსაც რუისებს უწოდებენ. ნასოფლარის ჩრდილოეთ ნაპირზე ეკლესიის ნანგრევებია.

ტაძარი აგებულია საშუალო ზომის ნაგლეჯი ქვებით. ძეგლის ფართობია 2.2×5 მ. საკურთხეველში ორი კვადრატული თახჩა და მცირე სატრაპეზო ლოდია. ნაეკლესიარში შესასვლელი სამხრეთიდან არის. გარეთ ქვაჯვარის ცილინდრული ბაზისი აგდია. ვახუშტი ბატონიშვილი ამ სოფელს ასევე რუისს უწოდებს.

დევი ბერძენიშვილი ფიქრობს, რომ მაწყვერელის საეპისკოპოსო სამწყოში შედიოდა სადგერის ხეობა და მათ შორის აღნიშნული სოფელიც და აქედან გამომდინარე ეწოდება სახელი რუისი. აღნიშნული ნასოფლარიდან შეიძლება გადასვლა პატარა მიტარბში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
2. დ. ბერძენიშვილი, მ. გიორგიძე, ც. ჩაჩეუნაშვილი და გ. ჭანიშვილი, არქიტექტურულ-ისტორიული გზამკვლევი „გუჯარეთი“, თბილისი 1987 წელი
3. ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბილისი 1957 წელი

დაბის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია

დაბის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია (სურ. 47) მდ. გუჯარეთისწყლის მარჯვენა მხარეს, ბორჯომ-ბაკურიანის საავტომობილო და სარკინიგზო ხაზზე მდებარეობს. ეკლესიას ადგილობრივი მოსახლეობა „ჩრდილოეთის წმ. გიორგის“ სახელით იხსენიებს.

ეკლესია (7 მ×11 მ) წიწვოვანი ტყით დაფარულ ფერდის მცირე ბაქანზე დგას, რომელიც სამხრეთი მხრიდან თითქმის პირდაპირ კლდეზეა მიღებული. იგი დარბაზული ტიპის ეკლესიას წარმოადგენს, ორფერდა სახურავითაა გადახურული. ნაგებია კარგად გათლილი მონაცისფრო, თანაბრად ნაწყობი კვადრებით. კამარით დახურული დარბაზი აღმოსავლეთით ნახევარწრიული საკურთხევლით მთავრდება, რომ-

ლის ცენტრში სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს თითო მაღალი ვიწრო ნიშაა. აღმოსავლეთი სარკმელის გარდა, ინტერიერი განათებულია დასავლეთი და ჩრდილოეთი თითო სარკმელით. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს – დასავლეთისა და სამხრეთის მხრიდან. დასავლეთის ფასადი მორთულია მდიდრულად ორნამენტირებული მართკუთხა პორტალითა და უშუალოდ მის ზემოთ მდებარე სარკმლის, ასევე ორნამენტირებული, თაღოვანი ჩარჩობით. ეკლესიის სიახლოეს ბუნებრივი გამოქვაბულებია.

ეკლესიის დასავლეთის შესასვლელის თავზე მოთავსებულია ლამაზი ასომთავრულით შესრულებული სამშენებლო წარწერა (სურ. 48), რომლის შინაარსი შემდეგი სახისაა: „ინდიკტიონსა მეფეთა მეფისა გიორგისა, ძისა დიმიტრისა, მეცხრამეტესა სიტკსა ღმრთისა წორცოშესხმისა მიზეზო, აღვაშენე ტაძარი ესე უამსა მეფეთ მეფისა გიორგისა მე მათმან მოლარეთუხუცესმან... ქორონიკონსა კა“.

როგორც წარწერიდან ვიგებთ, აღნიშნული ეკლესია 1333 წელს აშენდა გიორგი ბრწყინვალის (1318-1346 წწ.) მოლარეთუხუცესის დაკვეთით, რომლის სახელიც სამწუხა-როდ წარწერაში გადაშლილია და შესაბამისად არ იკითხება.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
- დ. ბერძენიშვილი, მ. გიორგიძე, ც. ჩაჩეუნაშვილი და გ. ჭანიშვილი, არქიტექტურულ-ისტორიული გზამკვლევი „გუ-ჯარეთი“, თბილისი 1987 წელი
- ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 1, თბილისი 1964 წელი

4. ბ. გელაშვილი, ავალიშვილთა სათავადოს წარმოქმნა და მათი მამულები (პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა I სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბილისი 2011 წელი
5. ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი
6. გ. გზირიშვილი, მიგხედოთ ბორჯომს, მის მდებარეობას, ომება 2001 წელი, № 9
7. 6. ვაჩევიშვილი, დარბაზულ ეკლესიათა შიდა სივრცის გადაწყვეტის რამდენიმე თავისებურება, ძეგლის მეგობარი, 1992 წელი, № 1 (96)
8. ე. თაყაიშვილი, „ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი“, ნახაზები შესრულებულია ხუროთმოძღვართა და მხატვართა ებრალიძისა, კალაშნიკოვისა, კალგინისა, კერნისა, კოუნესა, რიაბოვისა და სევეროვის მიერ, ტფილისი 1924 წელი
9. პ. ინგოროვა, გიორგი მერჩულე, თბილისი 1954 წელი
10. ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა, თბილისი 1957 წელი
11. თ. უორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. უორდანის მიერ, წიგნი მეორე (1213 წლიდან 1700 წლამდე), ტფილისი 1897 წელი
12. სანგანიძე, სოფ. დაბის ძველი ტაძარი, სახალხო გაზეთი, 1914 წელი, №73
13. ვ. შებითიძე, ქართული ციხესიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები, თბილისი 2012 წელი
14. გ. ჩუბინაშვილი, ბორჯომის რაიონის სოფელ დაბის მახლობლად მდებარე ეკლესის წარწერის საკითხისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVII, 1956 წელი, №9
15. გ. ხუჯაძე, ბორჯომის ხეობა, თბილისი 1969 წელი
16. გაბაშვილი ც, ვარძია, თბ 1966 გ

17. Гагарин г, Собрание византийских грузинских и древнерусских орнаментов и помятников архитектуры, СПБ, 1897
18. Кондаков Н, „Древняя архитектура Грузии“ (М., 1876)
19. Путеводитель к выставке древне-грузинской архитектуры, Тбл 1935 г
20. Шмерлинг Р, Построика Моларет-Ухуцеса царя Георгия блистательного в. сел Даба, Боржомского района, Ars Georgia, Тб. 1948 г
21. Brosset M, Rapports sur un voyage archeologique dans la Geogie et dans l'Armenie execute en 1847-1848, Livr. 2, 1850
22. Brosset M, S ASLATIQVES, l'Academie imperial des Sciences St. Peterburge, t. II, 1854.

სადგერის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია

სადგერის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია (სურ. 49) ბორჯომიდან 7 კილომეტრის მოშორებით, მდინარე ბორჯომულას მარჯვნა ნაპირზე მდებარეობს. ეკლესია დარბაზული ტიპისაა და XIV-XV საუკუნეების ხუროთმოძღვრების ნიმუშს წარმოადგენს.

სადგერის წმიდა გიორგისთანაა დაკავშირებული ცნობილი ჯვრის ისტორია, რომელსაც მოჰყვა შემდგომ შოთაშვილების ოდა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ეს ჯვარი ჯერ ყორანთას ყოფილა ქვემო ქართლში, მერე სამცხეში, შემდეგ ატოცსა და ჩხარში. ხატი მოუჭრდია მემნა ოქრომჭედელს XVI საუკუნეში, რის შემდეგაც იგი ქვდით შეუმკია. XVI საუკუნეში სადგერის წმიდა გიორგის დეკანოზს – სვიმონ შოთასძეს თავის ძმა ბასილთან ერთად ეკლესიისათვის ორ წელიწადში მიუშენებია კარიბჭე, აღუდგენია ძველი ხატი წმიდა გიორგისა და ვერცხლით შეუჭრდია ჯვარი მისივე სახელობისა, რაზედაც ხელოსნებს 3 წელიწადი უმუშავიათ.

აღნიშნული სამუშაოების განხორციელებაში სვიმეონ შოთას-ძეს მატერიალურ დახმარებას უწევდა სამცხის პატრონი ყვარყვარე III (1515-1535 წწ.) და მსხვილი ფეოდალი სფი-რიდონ ბერნაშვილი.

სადგერთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა 1569-1578 წლებით დათარიღებული ქართლის მეფის – დავით XI-ის (1569-1578 წწ.) მფარველობის სიგელი სადგერის წმიდა გიორგის დეკანოზ გიორგისადმი, სადაც ვკითხულობთ: „... მე, ნეფეთ ნეფისა შვილმანავა <ა>, ბატონისა ლუარსაფისა ძემანავა <ა>ნ – ბატონავა <ა>მანავა <ა>მანავა <ა> ესე წიგნი და სიგელი ასერე და ამა პირისა ზედან <ა> მოგეც შენავა, დიდი <ი>სა შვიდწილ უძლეველსა, დიდავა <ა>სა ცათა-მობაძვის დიდი <ი>სა წმიდასა გიორგისა დეკანოზს – გი-ორგისა და შენავათა შვილთა ელი <ი>სა და მისთა ძმათა და მომავალთა სახლისა თქავეგნისათა ...

ასრე, რომე სადაც ჩემსა საბატონოში და საბატონისა-საბრძანებლონში დიდისა წმიდას გიორგისა მამულს მისისა მარა ატავდა არა შეცოდოს-რა ჯვარი, რომე არავინ იმას <ა> ქვავა <ე>შეთ <ა> შავარშეთს <ს>ა ზედან <ა> საკოჭავსა, ციხისჯვარსა, ყურისავალსა და კი-მოთი <ი>ს <ა>მანავა <ა>სა და სულთა დიდისა წმიდასა გიორ-გისა შესავალსა და მამულს“.

როგორც საბუთიდან ვიგებთ, სადგერის წმიდა გიორგის მამულისათვის არავის უნდა შეეცოდა. ამის შემდეგ ქართლის მეფე ხანავს სადგერის ეკლესიის შესავალსა და მამულებს, რომლებიც შავარშეთის მთიდან მოყოლებული იგულისმება და მოცავს შემდეგ სოფლებს: საკოჭავს, ციხისჯვარს, ყური-საველსა და ტიმოთესუბანს.

როგორც „მესხური მატიანე“ გვაუწყებს, 1578 წელს მუსტაფა-ლალა ფაშას ლაშქარი სადგერს დამდგარა, ამოუწყეტიდათ სადგერი და წმიდა გიორგის განძი წაუხდენიათ.

1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დაკორი“-ს მიხედვით, სადგერში ცხოვრობდა ექვსი კომლი, აქედან ოთხი მღვდლის ოჯახი. სოფელ ჰქონია შეწერილი გადასახადის სახით – 30000 ახა.

1644 წელს ქართლის მეფე როსტომი (1633-1658 წწ.) სადგერის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიას შეწირულების წიგნს აძლევს. აღნიშნულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქ. ჩვენ, მეფეთ მეფემან ...როსტომ ... შევსწირეთ და მოვახსენეთ ... თქვენ, დიდსა წმიდას გიორგის სადგრისასა.

ასრე, რომე წმიდის გიორგის წყალობა დაგმართებოდა, მოვახსენეთ და შემოგწირეთ ტინისტიდსა მამიჯანაშვილი მისი ხიზანა და სეხნია...“.

აღნიშნულ წყალობას სადგერის ეკლესიას უმტკიცებს შედგომში ქართლის მეფეები – გიორგი XI და ვახტანგ VI (1703-1724 წწ.).

1647-1650 წლების საბუთის მიხედვით, პაატა გოგი-ბაშვილმა მისი მკვიდრი მამული სადგერი, სასახლე და სა-საფლაო და გარშემო სოფლები ნასყიდობის სახით მისცა ქაიხოსრო ციციშვილს, რადგან მას და მის მეუღლეს ეღვნეს ძე არ ჰყავდათ. 1675 წელს ვახტანგ V-ის (1658-1675 წწ.) გარდაცვალების შემდეგ, მისი ვაჟი არჩილი სადგერიდან ჩავიდან ქართლში.

1689 წელს ერეკლე I ნაზარალიხანმა ფირან ჩოლო-ფაშვილსა და მის ძმას ფარსადანს უბობა გოგიბაშვილის ნაქონი სადგერის მამული, სასაფლაო, სასახლე და აზნაურიშვილები.

ქართლის მეფეს ვახტანგ VI-ს სადგერის წმიდა გიორგის ეკლესიის კამარა შეუკეთებია. გივი თუმანიშვილის მიერ 1737 წელს ვახტანგ მეფის ეპიტაფიაში ვკითხულობთ: „ოთხ წელ ვქმენ მცხეთა, ურბნისი, სადგრის კამარა გებული, ტფილის სიონი ხელახლად შევძერწე ქანდაკებული“.

სწავლული ბატონიშვილი სადგერის ეკლესიის შესახებ წერს, რომ უერთდება „...მტკუარს თორის-წყალი სამჭრიდან. ამ შესართავს სამჭრით არს სადგერს ეკლესია წმიდის გიორგისა. ... არამედ სადგერი არს მაგარი და შეუალი, ეკლესია შემუსრვილი აღაშენა და შეამკო ხატი მისი ჟდ (94) მეფემან ვახტანგ“.

XVIII საუკუნიდან ბორჯომის ხეობის და შესაბამისად, სადგერის მებატონებად კვლავ ავალიშვილთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები ჩანან. სეხნია ჩხეიძის ცნობით, 1732 წელს ლეკთა მარბიელი ლაშქარი შემოადგა ქვიშხეთს, შემოვიდნენ ხეობაში, ააოხრეს დვირი, ასპინძა, ოშორა და სხვა სოფლები, გადმოიარეს ციხისჯვარი და სადგერს მოადგნენ. ავალიშვილებმა შემოჭრილი ლეკთა მარბიელი ლაშქარი სასტიკად დაამარცხა.

1770 წელს ასპინძის ბრძოლის წინ ერეკლე II და ტოტლებენი სადგერის ციხეში მისულან. ტოტლებენს აქ დაუტოვებდა 400 კაცი თავისი ბარგით და 6 ზარბაზანი, თავად კი თორის გავლით საკირის ციხესთან შეხვედრია ერეკლე მეფეს.

1911 წელს ახალციხელი ფოსტალიონი ვასილ ტაგანაშვილი წერს ექვთიმე თაყაიშვილს ბორჯომის ხეობის ძეგლების, კერძოდ, სადგერისა და ჩითახევის მონასტრების სავალალო მდგომარეობის შესახებ. მისი თქმით, ბორჯომის მმართველს მოსკოვიდან ჩამოუყვანია ვინმე არქეოლოგი და წაუყვანია სადგერში, სადაც მათ გაუთხრიათ წინაპართა (იგულისხმება ავალიშვილთა ფეოდალური სახლის წევრთა – თ.გ.) საფლავები. მათ წამოუღიათ საფლავის ჩუქურთმები და გარდაცვალებულთა ძვლები. ამ წერილის საფუძველზე, შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ 1911 წლამდე სადგერის ეკლესიის ეზოში მიმობნეული იყო ავალიშვილთა ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელთა საფლავის ქვები, ხოლო

1911 წელს ისინი წამოუდიათ სადგერიდან და ბორჯომის პარკში ჩამოუტანიათ.

აქედან გამომდინარე, სრულიად ნათელია თუ დღეისათვის რატომ არ იხილვება სადგერის ეკლესიის ეზოში არცერთი ავალიშვილის საფლავის ქვა და მხოლოდ XIX-XX საუკუნეში აქ მოღვაწე სასულიერო პირების საფლავებია შემორჩენილი (იხ. დანართი №3).

დღესდღეობით სადგერის წმიდა გიორგის ეკლესია მოქმედია და დედათა მონასტერს წარმოადგენს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

- დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი 1985 წელი
- დ. ბერძენიშვილი, მ. გიორგიძე, ც. ჩაჩერნაშვილი და გ. ჭანიშვილი, არქიტექტურულ-ისტორიულ გზამკვლევი „გუჯარეთი“, თბილისი 1987 წელი
6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 1, თბილისი 1964 წელი
- ბ. გელაშვილი, ავალიშვილთა სათავადოს წარმოქმნა და მათი მამულები (პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა I სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბილისი 2011 წელი
- ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი
- გახტანგ VI, ლექსები და პოემები, თბილისი 1975 წელი
3. ზაქარაია, თბილისი. ბორჯომი. ვარძია, თბილისი 1977 წელი
- ექ. თაყაიშვილი, ჩხარის სიძველეთა შესახებ, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, ტ. XV, თბილისი 1948 წელი

9. ს. კაკაბაძე, შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბილისი 1966 წელი
- 10.ს. მაკალათია, ბორჯომის ზეობა, თბილისი 1957 წელი
11. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ჭ. IV, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1973 წელი
- 12.ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, თბილისი 1961 წელი
- 13.ვ. შუბითიძე, ქართული ციხე-სიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები, თბილისი 2012 წელი
- 14.ა. ჩხარტიშვილი, მამნე ოქრომჭედელი, თბილისი 1978 წელი
- 15.ს. ჩხეიძე, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის რედაქციით, თბილისი 1913 წელი
- 16.ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი 1958 წელი
- 17.ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ექვთიმე თაყაიშვილის პირადი არქივი, საქმე №1983
- 18.ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd საბუთთა კოლექცია, №9690
19. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Qd საბუთთა კოლექცია, №2880
20. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Sd საბუთთა კოლექცია, №479
- 21.ვ. ხუჯაძე, ბორჯომის ზეობა, თბილისი 1969 წელი
- 22.Шмерлинг Р, Построика Моларет-Ухуцеса царя Георгия блистательного в. сел Даба, Боржомского района, Ars Georgia, Тб. 1948 г
23. Цагарели А. А. Грамоты и другие исторические документы, т.II , вып.I, Спб

ციხისჯვრის ეკლესია და ციხე-სიმაგრე

ციხისჯვარი წარმოაგენდა თორელთა ფეოდალური სახლის მეორე ცენტრს, რომელიც ისტორიული თორიდან (ახლანდელი ბაკურიანიდან) 9 კილომეტრით არის მოშორებული. ციხისჯვარი თორელების უმთავრესი სიმაგრე იყო და აქედან გამომდინარე იწოდებოდნენ ისინი ციხისჯვარ-თორელებად.

ტოპონიმი ციხისჯვარი ქართულ ნარატიულ წყაროებში XI საუკუნიდან იხსენიება. „მატიანე ქართლისაღ“-ს ავტორი მოგვითხრობს რა კლდეკარის ერისთავის – ლიპარიტ ბალვაშის განდგომის ამბავს, იქვე დასძენს: „გამოიტყუვნა ანისით დედოფლისაგან აბუსერ, ერისთავი არტანუჯისაღ, და ხიხათა და ციხისჯუარისა და აწყურის ციხის პატრონი“. ამავე წყაროში მემატიანე გვაუწყებს რა სულა კალმახელის მიერ დლივში ლიპარიტ ბალვაშის შეპყრობასა და მისი ბაგრატ IV-სათვის გადაცემას, ამბობს: „მოვიდა ბაგრატ და ამის სამსახურის ნაცვლად მეფემან უბოძა სულას მამულობით ციხისჯუარი და ოძრჭე ბოდკლდითა და სხუაიცა მრავალი საქონელი...“.

როგორც ვხედავთ, თავდაპირველად ციხისჯვარი აბუსერ ერისთავის ოურისდიქციაში იყო მოქცეული. მან ბაგრატ მეფისა და კლდეკარის ერისთავის – ლიპარიტ ბალვაშის დაპირისპირებაში ამ უკანასკნელის მხარე დაიჭირა. როცა მესხმა ფეოდალმა – სულა კალმახელმა ლიპარიტ ბალვაში შეიძყრო, საქართველოს მეფემ აბუსერ ერისთავს ციხისჯვარი წაართვა და ერთგული სამსახურის სანაცვლოდ სულა კალმახელს გადასცა. სწორედ აქედან ჩაეყარა საფუძველი ციხისჯვარელთა ფეოდალურ სახლს.

1261 წელს მონღოლთა სარდალი არღუნი სამცხეს შემოესია და ციხისჯვრის ციხეს შემოადგა (სურ. 50). უამთა-აღმწერლის მიხედვით: არღუნი „მოადგა ციხისჯუარსა, და-

უწყო ბრძოლა ძლიერად, რამეთუ არა ზღუდითა მტკიცითა განსრულებულ იყო. ხოლო ციხეს მყოფნი ძლიერად ბრძოდეს და მრავალი კაცი მოკლეს, და დიდად ავნებდეს გარეთ მყოფთა, დღისით და ღამით განვიდიან და აღგილ-აღგილად მოსწყვდიან. და ვითარ იხილა სიმტკიცე ციხისჯუარისა, რომელ არს ჯუარის ციხე, აიყარა და წარვიდა“.

როგორც ისტორიკოსი მოგვითხრობს, არღუნმა დაუწყო ბრძოლა ციხისჯვრის ციხე-სიმაგრეს, რომელსაც გარშემოვლებული კედელი დასრულებული არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ქართველების თავდადებამ აიძულა მონღოლები უკან გაბრუნებულიყვნენ. აქ ერთ ფრიად საყურადღებო ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას მემატიანე, რომ ციხისჯვრის ციხე ეკლესის ციხეს წარმოადგენდა.

გვიან შუასუკუნეებში ციხისჯვარი ავალიშვილთა ფეო-დალური ოჯახის ხელშია. XVI საუკუნეში, როცა ოსმალები სამცხეს-საათაბაგოს თანადათანობით იპყრობენ, ციხისჯვარი გოგორიშვილთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელმა – ბეჭან გოგორიშვილმა წაართვა მათ და ოსმალთა ფაშას გადასცა. ბერი ეგნატაშვილის ცნობით: „გოგორიშვილმან ბეჭან ციხისჯვარი უკუ იჭირა და მოსცა ფაშასა“.

ვახუშტი ბატონიშვილი ციხისჯვრის ციხის შესახებ აღნიშნავს: „საღვერს ზეით, დასავლით, არს დაბა თორი, მას ზეით ციხისჯვარი, და ციხე მისი შავ-წყალსა ზედა“.

ციხისჯვარის ციხე-დარბაზი აგებულია მდ. შავწყალას სათავეებთან, მის მარჯვენა ნაპირზე, უფრო კონკრეტულად, ამოზიდულ კლდოვან ბორცვზე. ამჟამად ციხე ნანგრევს წარმოადგენს და მნელია მისი პირვანდელი სახის დადგენა. როგორც უამთააღმწერლიდან გავიგოთ, ციხე-სიმაგრეში ყოფილა ეკლესია, რომელიც დაუნგრევიათ და ახალი ტაძრის ასაგებ მასალად გამოუყენებიათ.

1873 წელს ძველი ქართული მართმადიდებლური ეკლესიის საძირკველზე ბერძნული მართმადიდებლური ტაძრი აა-

გეს. სერგი მაკალათიას დროს ბერძნული ეკლესიის შესასვლელი კარის მარცხენა მხარეს, ქვემოთ ჩატანებული იყო ნუსხურ წარწერიანი და ორნამენტირებული რუხი ფერის ქვა. ახლად ამენებული ტაძრის თავზე ჩასმული მარმარილოს ქვა გვაუწყებს, რომ: „ეს საყდარი წმ. თეოდორე ტირონელი-სა, აგებულია მცხოვრებთა საკუთარი სახსარით 1873 წ., გადმოსახლებული ტრაპიზონის ვილაიეთიდან 1861 წელს, იმპერატორი ალექსანდრე ნიკოლოზის ძის დროს“.

1879 წელს ციხისჯვრის ნაციხარზე სამრეკლოც დაუშენებიათ, რაც ამნელებს წარმოვიდგინოთ ციხის ადრინდელი გეგმა.

ციხისჯვრის ციხე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო – სამცხის, ჯავახეთის, სადგერის ხეობისა და გუჯარეთის ხეობის შესაყარზე.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ვ. აბულაძე, ბორჯომის ხეობის წარსული და აწმყო, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1983 წელი
2. დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
3. დ. ბერძენიშვილი, ციხისჯვარი, წიგნ: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. XI, თბილისი 1987 წელი
4. ბ. გელაშვილი, ბორჯომის ხეობა XI-XIII საუკუნეებში, თბილისი 2013 წელი
5. ექ. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა (ქართლის მოქცევის, სუმბატისა ბაგრატიონების შესახებ და მესხური დავითისა) ტფილისი 1890 წელი
6. დ. კლდიაშვილი, ჯაყელ-ბოცოსძეთა საგვარეულოს ისტორიისათვის (XI-XII სს.), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, №3, თბილისი 1979 წელი

7. ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა, თბილისი 1957 წელი
8. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, გამომცემლობა „სახელგამი“, 1959 წელი
9. ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1973 წელი
10. ქართლის ცხოვრება, ტექსტები გამოსაც. მოამზადეს: მიხეილ ქავთარია და სხვ.; ბიბლიოგრ. შემდგ. ვალერი სილოგავა; საბ. შემდგ. ნესტან ბაგაური; მხატვ. შოთა ნიორაძე; ილ. ბუბა კუდავა, თბილისი გამომცემლობა „მერიდიანი“ „არტანუჯი“, 2008 წელი

თორის ნადარბაზევის კომპლექსი; წმიდა გიორგის ეკლესია

თორის ნადარბაზევში იგულისხმება არა ისტორიული თორი, არამედ დაბა თორი, რომელიც დაბა ანდეზიტიდან 4-5 კილომეტრითაა დაშორებული. ვახუშტი ბატონიშვილი თორის შესახებ გვამცნის: „სადგერს ზეთ, ღასავლით, არს დაბა თორი“. დევი ბერძნიშვილი ფიქრობს, რომ ნადარბაზევი შესაძლოა სწავლულ ბატონიშვილთან მოხსენიებული ნადაბური იყოს.

დღეისათვის თორის ნადარბაზევი ულრან ტყეშია ჩაძირული. ნადარბაზევის კომპლექსი რამოდენიმე შენობისაგან შედგება. კომპლექსში სამი-ოთხი ოთახი გამოიყოფა. შენობა ოცამდე სათავსოსაგან შედგება. კომპლექსის გარშემო დაახლოებით 30 მეტრის მანძილზე გალავნის ნაშთებია შემორჩენილი. მთელი კომპლექსი მშრალად ნაგები დიდი ზომის უხეშად დამუშავებული ქვით არის ნაგები. გადახურვის კვალი

არსად არ არის შემორჩენილი, გარდა წრიულგეგმიანი სათავ-სისა, რომელზედაც დაახლოებით 3.5 მ. ცრუგუმბათი არის ამოყვანილი.

ნადარბაზევის კომპლექსის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სამიოდე კილომეტრიც მოშორებით წმიდა გიორგის დარბა-ზული ეკლესია (სურ. 51) მდებარეობს, რომელიც თლილი ქვითა და დუღაბითაა ნაგები. ტაძარმა ჩვენამდე მეტ-ნაკლები დაზიანებით მოაღწია: ჩამონგრეულია კამარა, სამხრეთის ფა-სადზე პერანგია ჩამოშლილი, მათ შორის არქიტრავის ქვა და დასავლეთ ფასადზე სარკმლის თავსართი, რელიეფური გამოსახულებით.

ეკლესია საკმაოდ დიდი ზომისაა (7×5.5 მ), რომელსაც აღმოსავლეთიდან აქვს მცირე მინაშენი, რომლის კონსტრუქ-ცია მთავარი ეკლესის ანალოგიურია და შეიძლება ითქვას, რომ მის ასლს წარმოადგენს. მთავარ ეკლესიას აღმოსავლე-თის, დასავლეთისა და სამხრეთის მხრიდან გაჭრილი აქვს ვიწრო ზომის სარკმლები. ეკლესია შემკულია ჯვრის სამი გამოსახულებით. ერთ-ერთი მათგანი აფსიდის ცენტრში კე-დელთან მდგარ, ტრაპეზის ქვაზე გამოსახული. ჯვრის სამი მკლავი სწორია, ხოლო მეოთხე ვერტიკალური მკლავი გაგა-ნიერებულია. თვითონ ჯვარი ორმაგი ლილვის რკალითაა შე-მოსაზღვრული. ჯვრის მეორე გამოსახულება მოთავსებულია ტაძრის სამხრეთის კედელში გაჭრილ ერთადერთი კარის არქიტრავის ქვაზე. ეს არის წრეხაზში ჩახაზული ტოლ-მკლავა ჯვრის გამოსახულება. მესამე რელიეფი მოთავსებუ-ლი იყო დასავლეთის ფასადზე და სარკმლის თავსართს წარმოადგენდა.

ტაძარს, მისი ხუროთმოძღვრული მონაცემების საფუძ-ველზე, X საუკუნის II ნახევრით ათარიღებენ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 1, თბილისი 1964 წელი
2. დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი
3. დ. ბერძენიშვილი, თორი, წიგნ: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IV, თბილისი 1979 წელი
4. ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა, თბილისი 1957 წელი
5. ლ. რჩეულიშვილი, „ძველი ნასოფლარები ბორჯომ-ბაკუ-რიანის მიდამოებში“, წიგნში: „ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკვევები“), 1994 წელი.
6. ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1973 წელი
7. დ. ცხადაძე, წმ. გიორგის ეკლესია თორის ნადარბაზევის კომპლექსში, ძეგლის მეგობარი, 1997 წელი, №1

დანართები



დანართი №1

თამაზ გოგოლაძე, ორაკელი გელაშვილი, ნინო ხარშილაძე

ფოთოლეთის ეკლესიის ნაკაწრი წარწერები და
მათი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი

ფოთოლეთის მონასტერი ბორჯომის რაიონში, სოფელ
ახალდაბიდან სამხრეთით 5 კილომეტრის მანძილზე, მთის
ოდნავ გავაკებულ ფერდზე მდებარეობს. დღემდე ტაძარს
გრიგოლ ხანძთელის ერთ-ერთი მოწაფის – ქრისტეფორეს
მიერ აგებულ კვირიკეწმიდად მიიჩნევდნენ და შესაბამისად,
მისი აშენების ქრონოლოგიას IX საუკუნის 40-იანი წლებით
განსაზღვრავდნენ.

1939 წელს ფოთოლეთის ეკლესიის შენობაში სიძვე-
ლეთა კომიტეტის მიერ ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები,
რომელსაც ხელმძღვანელობდნენ რ. მეფისაშვილი და ზ. მაი-
სურაძე. ამ დროს გამოვლინდა ტაძარში X საუკუნის კანკე-
ლი³ და კარნიზის დეკორატიული მორთულობისათვის გან-
კუთვნილი სამკუთხედის ფორმის ბოლოების მქონე კრამიტე-
ბი, რომელთა ჩაღრმავებულ სამკუთხედებში მოქცეულია ერ-
თმანეთის პირისპირ მდგომი ირმების რელიეფური გამოსახუ-
ლებები. ფოთოლეთის ეკლესიის ძველი კანკელის ფრაგმენ-
ტები ამჟამად შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართვე-

³ აღნიშნული კანკელის თარიღს პირველად ქართულ სამეცნიერო ლიტე-
რატურაში გვაძლევს რენე შმერლინგი იხ. რ. შმერლინგი, ქართული ხუ-
როთმოძღვრული ორნამენტი, ტექსტი, მასალის შერჩევა და ნახატები
რენე შმერლინგისა, ტაბულები შეადგინა ა. კრავჩენკომ, „სახელმწიფო
გამომცემლობა“, თბილისი 1954 წელი გვ. 46; იხ. აგრეთვე: Шмерлинг
Р., Малые формы в архитектуре средне вековой Грузии, Тб., 1962 г,
გვ. 53-54.

ლოს ხელოვნების მუზეუმში ინახება,⁴ რომლის მარცხნა
ბოძის სიგრძეზე მოთავსებულია ნაკაწრი წარწერები.⁵

⁴ ფოთოლეთის კანკელის შავ-თეთრი ფოტოები იხ. Mepisachwili R, V. Zinzadze, Die Kunst des alten Georgien, Leipzig, 1977, გვ. 240-241.

⁵ აღნიშნული წარწერების შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა ხელოვნებათ-მცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორმა – დავით ხოშტარიამ, რისოფისისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ. მეცნიერმა ამასთან ურთად გვაცნობა, რომ აღნიშნული წარწერების წაკითხვაში მას დახმარება გაუწია ხელოვ-ნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორმა – გიორგი გაგოშიძემ. ფოთო-ლეთის ეკლესიის კანკელის წარწერების ნაწილი მეცნიერს მოტნილი აქვს თავის საკანდიტატო დისერტაციაში „IX-X საუკუნის ხუროთმოძ-ლვრული ძეგლები ბორჯომის ხეობაში“. ავტორი საუბრობს რა ფოთო-ლეთის ეკლესიის X საუკუნით დათარიღებული კანკელის შესახებ, ამის შედეგ შენიშვნის სახით გააქვს შემდეგი: „ფოთოლეთის კანკელზე საინ-ტერესოა წვრილი ნუსხური ასოებით შესრულებული წარწერები. ისინი შესრულებულია აღსავლის კარების ჩრდილოეთ წირთხლზე. სულ შემოი-ნახა შეიდი წარწერა. მოგვყავს ქარაგმების გახსნით:

1. გაკეთებულია ძირიდან დაახლოებით 80 სმ-ზე: „ხატო ღვთაებისაო შეიწყალე დამიანე ბდე...“ (ბოლო სამი გრაფემა აღარ იყითხება. უკანასკნელი „ენ“-ის თავზე ქარაგმა).
 2. პირველი წარწერიდან ცოტა ქვემოთ უფრო გაკრული ხელით ორ სტრიქნად ამოკვეთილია ქართული ანბანი: ა ბ გ დ ე ვ ... და ა. შ.
 3. ძირიდან 50-იოდე სმ-ზე: „ხატო ღვთაებისაო შემიწყალე“
 4. ზედ წინა წარწერის ქვეშ: „ხატო ღვთაებისაო () შეიწყალე ბასი-ლი კახი“.
 5. ძირიდან დაახლოებით 20 სმ-ზე: „ქრისტე კვირიკე (ან კონსტანტინე) შეიწყალე“.
 6. სულ ქვემოთ, თითქმის ზედ იატაკთან: „ხატი მოვიდა“. ეს წარწერა განსაკუთრებით საყურადღებოდ გვეჩვენება. ეტყობა ის ებმაურება რომე-ლიოდაც ცნობილი ხატის გადმოსევენებას ფოთოლეთის ეკლესიაში.
 7. იმავე სვეტის პირითა წახნაგზე მიახლოებით მეზუთე წარწერის დო-ნეზე ორნამენტებს შორის ამოკვეთილია ორი ასო ქარაგმით – კე ე. ი. ისევ კვირიკე ან კონსტანტინე.
- ფოთოლეთის კანკელის წარწერები დღემდე შესწავლილი და გამოცემუ-ლი არ არის. წინასწარული შეფასებით ისინი შეიძლება X-XII საუკუ-ნებს მიეკუთვნოს“ (დ. ხოშტარია, „IX-X საუკუნების ხუროთმოძღვრუ-ლი ძეგლები ბორჯომის ხეობაში“, საკანდიდატო დისერტაცია და ავტო-

2007-2008 წლებში ფოთოლეთის ეკლესიაში რესტავრაციის საპროექტო სამუშაოებისათვის აუცილებელი არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა. 2007 წელს აქეოლოგიურ გათხრებს ხელმძღვანელობდა რ. დავლიანიძე, ხოლო 2008 წელს კი რ. ხვისტანი. სწორედ 2008 წლის არქეოლოგიური გათხრების ფარგლებში ეკლესიის ჩრდილო გარშემოსავლელში, უფრო კონკრეტულად, სამკვეთლოს დასავლეთით, კედლის ძირში გამოვლენილ იქნა აკლდამა. აკლდამის სახურავ ქვის ფილაზე შესრულებულია შერეული ნუსხური და მხედრული ნაკაწრი წარწერები.⁶

ამჟამად აღნიშნული წარწერიანი ქვის ფილა ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება. იგი საკმაოდ დიდი ზომის (101×178.5 სმ) მოყავისფრო ფერის ქვის ფილაა, რომელიც დაზიანებულია: ფილა სამ ნაწილად არის გატეხილი. ამა წლის გაზაფხულ-ზაფხულზე ჩვენ აღნიშნული ქვის ნაკაწრი წარწერები შესწავლის მიზნით რამდენგზის მოვინახულეთ, ადგილზე წავიკითხეთ წარწერის ტექსტები, დავამზადეთ მათი პალეოგრაფიული პირები და მოვახდინეთ მათი ფოტოფიქსაცია. წარწერების ადგილზე შესწავლამ აჩვენა, რომ ისინი შინაარსობრივი თვალსაზრისით სავედრებელ წარწერათა ჯგუფს მიეკუთვნებიან, რომელთა ქრონოლოგიასაც პალეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე, XI საუკუნით განვსაზღვრავთ.

რეფერატი, თბილისი, 1987 წელი, გვ. 108-109). ჩვენ ამა წლის ზაფხულში მოვინახულეთ აღნიშნული კანკელის ქვა და მისი წარწერები, ამოვიკითხეთ კანკელის ქვის სვეტზე შესრულებული ნაკაწრი წარწერები, მოვახდინეთ მათი ფოტოფიქსაცია. ფოთოლეთის კანკელის წარწერების ჩექნეული წაკითხვები და ჩვენს მიერ ჩატარებული ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი სულ მალე ცნობილი გახდება ფართო სამცნიერო წრეებისათვის.

⁶ რ. ხვისტანი, მასალები საქართველოს ქრისტიანული არქეოლოგიისათვის, თბილისი 2009 წელი, გვ. 98.

1. ნაკაწრი წარწერები, მათი ტექნიკური აღწერილობა და
პალეოგრაფიული დახასიათება

I ნიკოლოზის სავალრებელი წარწერა (XI ს.)

წარწერა მოთავსებულია დაზიანებული ქვის პირველი
ფილის ზედა შსარქს; გარდამავალი მხედრული; 1 სტრიქონი;
ამოკაწრულია დაბალი კვეთით, თუმცა წარწერის ბოლო
გრაფემა „ზენ“-ი ქვის დაზიანებულ ნაწილშია მოთავსებული
და ფრაგმენტულად ჩანს; წარწერის ფართობი: 11.7×27.5 ;
ყველაზე დიდი გრაფემის „კალი“ ზომა: 11.7×2.5 ; ყველაზე
პატარა გრაფემის „ნარი“ ზომა: 2×0.5 ; განკვეთილობის ნიშ-
ნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია სწორი
განივი ხაზი.

ჭ-უ უ-უ ნიკოლოზ

ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ნი-
კოლოზ



პალეოგრაფიული დახასიათება: წარწერის ასოები გან-
ლაგებულია ოთხსაზოვან ბადეში. იგი შესრულებულია გარ-
დამავალი მხედრულით. კერძოდ, ნუსხურია „შინი“. წარწერა-
ში გრაფემა „ენი“ დასტურდება ორჯერ და ორივე შემთხვე-
ვაში გადმოცემულია გარდამავალი მხედრულის ტიპიური მო-
ხაზულობით – დაკუთხული, ორკბილა ზედა განივი ხაზით
და გრძელი, ოდანავ მარცხნივ შეღუნული ვერტიკალური ხა-
ზით. ასეთი „ენი“ დამახასიათებელია XI საუკუნის გარდამა-
ვალი მხედრულით შესრულებული წარწერებისათვის. პარა-
ლელის სახით შეიძლება დასახელდეს სვანეთის XI საუკუ-

ნის წარწერა-გრაფიტები. (მაგ. ბერდო ამროლაისძის, გიორგი ტბელაის და ოვანეს II წარწერა, აცის მთავარანგელოზის ეკლესიიდან. გეორგეს წარწერა, თეკალის მაცხოვრის ეკლესიიდან. ოვანეს III წარწერა, იელის მაცხოვრის ეკლესიიდან.)⁷ განსაკუთრებით აღსანიშნავია წარწერის მესამე გრაფების ნუსხური „შინი“ მოხაზულობა, სახელდობრ, ასოს ზედა და ნაწილი მომრგვალებულია, რაც იმის მანიშნებელია, რომ ნელ-ნელა ის ემსგავსება მხედრულის „შინი“. გარდამავალი მხედრულის ასოები ერთმანეთზეა გადაბმული, გამონაკლისია, სახელ „ნიკოლოზი“-ის პირველი გრაფება „ნარი“, მეოთხე გრაფება „ონი“ და ბოლო გრაფება „ზენი“.

ტექსტის ანალიზი: ტექსტი შედგება სამი სიტყვისაგან. იგი ვინმე ნიკოლოზის მოსახსენებელია. წარწერა იწყება ტრაფარეტული ფორმულით ქრისტე შეიწყალე, რომელიც, ტრადიციულად შუაკვეცილობითი დაქარაგმებითაა წარმოდგენილი.

II შალვას სავედრებელი წარწერა (XI ს.)

წარწერა მოთავსებულია დაზიანებული ქვის მეორე და მესამე ფილის ზედა მხარეს; ეპიგრაფიკული ნუსხური გარდამავალი მხედრული ასოების შერევით; 1 სტრიქონი; ამოკაწრულია დაბალი კვეთით, თუმცა ზოგ ადგილას აღნიშნება დაზიანების ნიშნებიც; წარწერაში გრაფება „უნი“ გადმოცემულია ასოს „ონი“ მეშვეობით; წარწერის ფართობი: 5.1×76.4; ყველაზე დიდი გრაფების „ქანი“ ზომაა: 5×1; ყველაზე პატარა გრაფების „ინი“ ზომაა: 0.3×0.3; განკვეთილო-

⁷ სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტომი II ეპიგრაფიკული ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოაზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1988 წელი, გვ. 238-239; 243; 245; 251; 260-262; 278.

ბის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია სწორი განივი ხაზი.

† ოფციუმ უკავებელი სამართლის უკავებელი უკავებელი
† ოფციუმ უკავებელი სამართლის უკავებელი
ლორმურ უკავებელი სამართლის უკავებელი

ქ. უფალო, შ(ეიწყალ)ე საწყალობელ{ი} სული შალვა-
სი, ლოცვა ყავთ ღ{მრ}თისათუ{ი}ს ღ(მრ)თისა მოყვარენო

პალეოგრაფიული დახასიათება: წარწერის ასოები გან-
ლაგებულია ოთხხაზოვან ბადეში. იგი შესრულებულია სწო-
რი ეპიგრაფიკული ნუსხური და გარდამავალი მხედრული
დამწერლობით. კერძოდ, ნუსხურია: ქანი, ფანი, ანი, შინი,
ენი, ანი, წილი, ყარი, ანი, სანი, შინი, ანი, ვინი, ანი, სანი,
ინი, ცინი, ვინი, ანი, ყარი, ანი, ვინი, სანი, ანი, ონი, სანი,
სანი, ანი, მანი, ონი, ყარი, ანი, რაე, ხოლო გარდამავალი
მხედრულია: ონი, ლასი, ონი, სანი, ლასი, ონი, ბანი, ენი,
ლასი, ონი, ლასი, ინი, ლასი, ლასი, ონი, თანი, ლარი, თანი,
თანი, ლანი, თანი, ენი, ნარი, ონი. განსაკუთრებით აღსანიშნა-
ვია წარწერის მესამე გრაფემის ნუსხური „შინი“ მოხაზუ-
ლობა, სახელდობრ, ასოს ზედა ნაწილი მომრგვალებულია,
რაც იმის მანიშნებელია, რომ ნელ-ნელა ის ემსგავსება მხედ-
რულის „შინი“-ს. ტექსტის დასაწყისში ასო „ქანი“ ამოკაწ-
რული სწორი ეპიგრაფიკული ნუსხურით, ამის შემდეგ ყურ-
დაღებას იქცევს გრაფემა „ონი“-ს მოხაზულობა, რომელიც
წარწერაში რვაჯერ არის გადმოცემული. პირველ ექვს შემ-
თხვევაში გარდამავალი მხედრულითაა მოცემული და დიდ
მსგავსებას ამჟღავნებს აცის (იელის) მთავარენგელოზთა ეპ-

ლესიის ბერდო ამროლაისძის XI საუკუნის წარწერაში⁸ გამოყენებულ გრაფემებთან. გარდა ამისა, გრაფემის „ონი“ მეშვეობით გადმოცემულია გრაფემა „უნი“. ასევე ყურადღებას იქცევს წარწერაში ექვსჯერ გამოყენებული „ლასი“ მოხაზულობა, რომელიც შემდგომში მდგომარეობს: იგი მხოლოდ გარდამავალი მხედრულისათვის დამახასიათებელი სამი კბილის სახითაა წარმოდგენილი და ქვედა ხაზი არ აქვს. ასეთივე ლანი გვხვდება აცის (იულის) მთავარენგელოზთა ეკლესიის გიორგი ჯავაიანის XI საუკუნის ნაკაწრ წარწერაში.⁹ ასეთივეა იფრარის მთავარანგელოზის ეკლესიის XI საუკუნის ქავთარის მოსახსენებელ წარწერაში მოცემული ლანის მოხაზულობა.¹⁰ ჩვენთვის საინტერესო წარწერის ტექსტში გრაფემა „თანი“ სამჯერ არის მოცემული და დიდ მსგავსებას ამჟღავნებს იფრარის მთავარანგელოზის ეკლესიის XI საუკუნის იოვანეს სავედრებელ წარწერაში გამოყენებულ „თან“-თან. რაც შეეხება ასო „ფანი“ დიდ მსგავსებას ამჟღავნებს იფარის წმიდა გიორგის ეკლესიის XI საუკუნის მეფოველთა სახელით ცნობილ წარწერაში¹¹ დაფიქსირებულ „ფანი“-თან. ძალიან საინტერესო მოხაზულობა აქვს ასოს „ბანი“, კერძოდ, თავი აქვს წარწერის შუა ნაწილში, ხოლო მისი დიდი მუცელი შეკრული აქვს წარწერის ქვედა ნაწილში, დაახლოებით ასეთივე „ბანი“ გვხვდება ლამარიას ღმრთისმშობლის ეკლესიის XI საუკუნის იოვანეს სავედრებელ ნაკაწრ წარწერაში.¹² ასევე გასათვალისწინებელია მუჟალის მთავარანგე-

⁸ სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტომი II ეპიგრაფიკული ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მომზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთოვ ვალერი სილოგავამ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1988 წელი, გვ. 238-239.

⁹ სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტომი II გვ. 240-241.

¹⁰ სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტომი II..., გვ. 267.

¹¹ სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტომი II გვ. 333.

¹² სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტომი II გვ. 352.

ლოზთა ეკლესიის X-XI საუკუნეების ხარებას წარწერის¹³ „ბანი“, რომელიც მოხაზულობათა დახვეწილობით საგრძნობლად ჩამოუვარდება ჩვენთვის საინტერესო წარწერის „ბანი“ მოხაზულობას. ზუსტად ანალოგიური „ბანი“ ამოკვეთილია ლიხნის ტაძრის აღმოსავლეთ ქორედზე მოთავსებულ ორ ძღივან-მწიგნობრულ წარწერათა ფრაგმენტებში.¹⁴ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღნიშნული წარწერას XI საუკუნით ვათარიღებთ.

ტექსტის ანალიზი: ტექსტი შედგება თერთმეტი სიტყვისაგან. იგი ვინმე შალვას მოსახსენებელ ტექსტს წარმოადგენს. წარწერა იწყება ტრაფარეტული ფორმულით უფალო შეიწყალე, რომლის პირველი სიტყვა უფალო დაქარაგმების გარეშე არის მოცემული, ხოლო მეორე სიტყვა შეიწყალე, ტრადიციულად შუაკვეცილობითი და ქარაგმებითაა წარმოდგენილი. ამის შემდეგ მოდის შემდეგი სიტყვები საწყალობელ სული შალვასი ანუ მოხსენებულია ის პიროვნება ვისი სულის მეონებასაც შესთხოვენ უფალს, რასაც მოსდევს ლოცვითი ნაწილი: ლოცვა ყავთ ღმრთისათვის ღმრთისა მოყვარენო.

III იოვანეს სავედრებელი წარწერა (XI ს.)

წარწერა ამოკვეთილია დაზიანებული ქვის პირველ ფოლაზე; სწორი ეპიგრაფიუკული ნუსხური; 1 სტრიქონი; ამოკაწრულია დაბალი კვეთით; წარწერის მეორე და მესამე გრაფეტები ფრაგმენტულად იკითხება; წარწერის ფართობი: 9.5×12 ; ყველაზე დიდი გრაფეტის „ქანი“ ზომა: 9.5×0.8 ; ყველაზე პატარა გრაფეტის „ინი“ ზომა: 0.3×0.4 ; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია სწორი განივი ხაზი.

¹³ სვნეთის წერილობითი ძეგლები, ტომი II გვ. 369.

¹⁴ ვ. სილოგავა, სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი 2004 წელი, გვ. 214-215

ჭ-უ-კ-ი უ-მ-ე-ბ-ი

ქ(რისტ)ე შ{ეიწყალ}ე ო{ო}ვანე



პალეოგრაფიული დახასიათება: წარწერის ასოები განლაგებულია ოთხსაზოვან ბადეში. იგი შესრულებულია სწორი ეპიგრაფიკული ნუსხურით. განსაკუთრებით აღსანიშნავია წარწერის პირველი გრაფემის „ქანი“ მოხაზულობა, რომელსაც მარცხენა მხარეს ზედა ნაწილი ზევით აქვს მიმართული, ხოლო მარჯვენა მკლავი ქვევით აქვს მიმართული. გრაფემა „ენი“ ტექსტში დასტურდება სამჯერ, პირველ ორ შემთხვევაში გადმოცემულია სწორი მოხაზულობით, ხოლო მესამედ სწორ ეპიგრაფიკული ნუსხურითაა გადმოცემული, თუმცა პირიზონტალური ხაზები დახრილია მარჯვნიდან მარცხნივ. ასევე აღნიშვნის ლირსია, გრაფემების „შინი“ და „ვინი“ მოხაზულობა, კერძოდ, ორივე ასო სხვა ასოებთან (მხედველობაში გვაქვს გრაფემები: „ქანი“, „ენი“ შედარებით მცირე ზომისაა, თუმცა სწორი ეპიგრაფიკული ნუსხურით არიან გადმოცემულნი. ასევე ყურადღებას იქცევს გრაფემის „ნარი“ მოხაზულობა, რომლის ზედა ნაწილს ჩამოუდის სწორი ხაზი ქვემთ, ასეთივე ანალოგიას ვპოულობთ გარუჯის მრავალწყაროს XI საუკუნის გიორგი ლავრელის წარწერაში¹⁵ მოყვანილ „ნარ“-თან, რომელსაც ზედა ნაწილის ხაზი ქვევით ჩამოუდის, თუმცა ჩვენთვის საინტერესო „ნარი“-გან განსხვავებით ზედა ნაწილი მომრგვალებული აქვს და გამზღვდრულებისაგენ არის მიმართული. ზუსტად ასეთივე „ნარი“ არის იფარის წმიდა გიორგის ეკლესიის XI საუკუნის მეფოველთა


¹⁵ ვ. სილოგავა, წარწერები გარუჯის მრავალწყაროდან (IX-XIII ს.ს.), პალეოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი 1999 წელი, გვ. 149.

სახელით ცნობილ წარწერაში ამოკაწრული.¹⁶ წარწერის მეორე და მესამე გრაფემები „ენი“ და „შინი“ დაზიანებულია: აღარ იყითხება ენის კბილები და შინის ზედა ნაწილი. გრაფემა შინი ოთხსაზოვან ბადის ზედა რეგისტრშია წარმოლგენილი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღნიშნული წარწერას XI საუკუნით ვათარილებთ.

ტექსტის ანალიზი: ტექსტი შედგება სამი სიტყვისაგან. იგი ვინმე იოვანეს მოსახსენებულია. წარწერა იწყება ტრაფარეტული ფორმულით ქრისტე შეიწყალე, რომელიც, ტრადიციულად შუაკვეცილობითი დაქარაგმებით არ არის წარმოდგენილი.

IV მნათეს სავედრებელი წარწერა (XI ს.)

წარწერა ამოკვეთილია დაზიანებული ქვის შუა წელზე, სამივე ფილაზე; სწორი ეპიგრაფიკული ნუსხური; 2 სტრიქონი; ამოკაწრულია დაბალი კვეთით, ზოგ ადგილას აღენიშნება მცირე დაზიანებები; წარწერის ფართობი: 8×98.3 ; ყველაზე დიდი გრაფემის „ცინი“ ზომა: 4.7×2 ; ყველაზე პატარა გრაფემის „ინი“ ზომა: 1.1×1 ; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია სწორი განივი ხაზი.


თუმაში ჩაჲ ყარაგულის კარაგული შარის გრაფემები
კარაგულის კარაგულის გრაფემები
კარაგულის კარაგულის გრაფემები

თუმაში ჩაჲ ყარაგულის კარაგული შარის გრაფემები | მთა
კარაგულის კარაგულის გრაფემები |

ღ(მერ)თმ(ა)ნ ნუ შეუდნეს ცოდვანი მნ{ა}თესა, | რ{ომე}ლ
ცხოარ არს

¹⁶ სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტომი II, გვ. 333.

პალეოგრაფიული დახასიათება: წარწერის ასოები განლაგებულია ოთხხაზოვან ბადეში. იგი შესრულებულია სწორი ეპიგრაფიკული ნუსხურით, რომელშიც შერეულია ასომთავრული გრაფეტები: დარი, შინი, ღონი, ანი და რაე. აღსაღნიშნავია, რომ თანი პირველ შემთხვევაში გადმოცემულია სწორი ეპიგრაფიკული ნუსხურით, ხოლო მეორე შემთხვევაში ასომთავრულით. ასო „მანი“ წარწერაში ორჯერ არის მოცემული. გრაფემის „მანი“ ზედა ნაწილი ზევით არის მიმართული, რომელსაც მუცელი მომრგვალებული აქვს, კერძოდ, პირველ შემთხვევაში შეუკრავი, ხოლო მეორე შემთხვევაში შეკრული სახით. გრაფემა „უნი“ წარწერაში ორჯერ გვხვდება. პირველ შემთხვევაში სამი კბილით, რომელსაც ჩამოუდის ოდნავ დახრილი სწორი ხაზი, ხოლო მეორე შემთხვევაში ორი კბილი ასვე ოდნავ დახრილი სწორი ხაზით. წარწერაში გრაფემა „დონი“ ორჯერ გვხვდება და ოთხხაზოვანი ბადის ქვედა რეგისტრშია წარმოდგენილი, უფრო კონკრეტულად, დონი მართალია ასომთავრულია, მაგრამ მისი მუცელი მოკლე ყელთან დაკავშირებისას (თითქმის არ ჩანს ყელი) მარცხნივ გახსნილია და ამით გარდამავალი მხედრული „დონი“ მოხაზულობისაკენ მიღრეკილებით არის გამოცემული. „დონი“ წარწერაში ორჯერ გვხდება და ორივეჯერ ერთიდა იგივე მოხაზულობით. მსგავსი მოხაზულობის დონი გვხდება XI საუკუნის სხვა ეპიგრაფიკულ ძეგლებში: დარკვეთის ეკლესიის¹⁷ და მრავალძალის კეთილად მოღუაწეთა¹⁸ წარწერებში. ასო „ონი“ წარწერაში ორგზის არის მოყვანილი და ორი დახრილი კბილით არის წარმოდგენილი. ასევე „რაე“ მარ-

¹⁷ დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1980 წელი, გვ. 76; 79; 80.

¹⁸ დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1980 წელი, გვ. 95.

ცხენა მკლავი არსად არ უერთდება მთავარ ხაზს, რაც აღნიშნული წარწერის ერთ-ერთ მთავარ თავისებურებას წარმოადგენს. წარწერაში ცინი და ხარის ფეხი მორკალულია და ჩამოდის ოთხხაზოვანი ბადის ქვედა რეგისტრში. წარწერაში მხოლოდ ერთი სიტყვა „ლ(მერ)თმ(ა)ნ“ არის დაქარაგმებული და აღნიშნულ სიტყვას ქარაგმა (სწორი განივი, მარცხნიდა მარჯვნივ ზევით აწეული ხაზი) უზის გრაფემების „მანი“-სა და „ნარ“-ს შორის. აღნიშნული პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, აღნიშნული წარწერა XI საუკუნით უნდა დათარიღდეს.


ტექსტის ანალიზი: ტექსტი შედგება რვა სიტყვისაგან. იგი ვინმე მნათეს ანუ სტიქაროსანის მოსახსენებელია. წარწერა არ იწყება ტრაფარეტული ფორმულით: ქრისტე შეიწყალე ან უფალო შეიწყალე, პირიქით, აქ არის მიმართვა ღმრთისადმი, რომ არ შეუნდოს ცოდვანი მნათესა, რომელიც წარწერისავე შინაარსის მიხედვით, ცხუარია. ჩვენი აზრით, ამ წარწერიდან ჩანს დიდი სულიერება მნათესი, რომელიც იძლენად უდირსად თვლის თავის თავს უფლის წინაშე, რომ თავდამბლობის ნიშნად ცოდვების არ შენდობას თხოვს, თუმცა წარწერის ბოლოს დასხენს, რომ ის უფლის ცხვარია მისი ქრისტიანობის დადასტურების ნიშნად. აღნიშნულ წარწერის ანალოგიას წარმოადგენს ბეთანიის ტაძრის ერთ-ერთი მხატვრის – სოფრომის წარწერა, რომელიც შემდგომი შინაარსისაა: „უფალო ნუ შეუნდობ სოფრომს“.¹⁹ ასევე განძის წმიდა ოვანეს ეკლესიის XIII-XIV საუკუნეების ასომთავრული წარწერა: „უ(ფალ)ო არ შ(ეიწყალ)ე“.²⁰

¹⁹ არქმანდრიტი ლაშარე, ივერიის ბეთანია, თბილისი 1994 წელი, გვ. 18.

²⁰ ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტოპონიმია, საღვთისმეტყველო ლიტერატურული ცენტრები, გამოსაცემად მოამზადეს და გამოკლევები დაურთეს გალერი სილოგავმ, ლია ახალაზემ, მერაბ ბერიძემ, ხესტან სულავამ და როინ ყავრელიშვილმა, თბილისი 2012 წელი, გვ. 42.

V შარიაქას სავედრებელი წარწერა (XI ს.)

წარწერა ამოკვეთილია დაზიანებული ქვის პირველ ფო-
ლაზე; სწორი ეპიგრაფიკული ნუსხური; 5 სტრიქონი; ამო-
კაწრულია დაბალი კვეთით; ზოგ ადგილას აღენიშნება და-
ზიანებები, განსაკუთრებით — წარწერის მეოთხე და მეხუთე
სტრიქონებზე; წარწერის ბოლო ნაწილი გადაშლილია და
შესაბამისად აღარ იკითხება; წარწერის ფართობი: 13.5×22 ;
ყველაზე დიდი გრაფემის „წილი“ ზომაა: 2.8×1 ; ყველაზე პა-
ტარა გრაფემის „ანი“ ზომაა: 0.3×0.3 ; განკვეთილობის ნიშ-
ნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია სწორი
განივი ხაზი.



ჭ რმუმთ უ- კურთული ჭამის კურთული
გ რუსული ჭამი ჭ რკუ არსა უ-
რა მუ რუსუს ჩუარი ბუ უ-
ჭ რმუ მუარუსუ უ- არსა უ-
ჭ რმუ უ- უ- უ-

ჭ რმუმთ უ- კურთული ჭამის კურთული
გ რუსული ჭამი ჭ რკუ არსა უ-
რა მუ რუსუს ჩუარი ბუ უ-
ჭ რმუ მუარუსუ უ- არსა უ-
ჭ რმუ უ- უ- უ-

ჭ რმუმთ უ- კურთული ჭამის კურთული
გ რუსული ჭამი ჭ რკუ არსა უ-
რა მუ რუსუს ჩუარი ბუ უ-
ჭ რმუ მუარუსუ უ- არსა უ-
ჭ რმუ უ- უ- უ-

ჭ რმუმთ უ- კურთული ჭამის კურთული
გ რუსული ჭამი ჭ რკუ არსა უ-
რა მუ რუსუს ჩუარი ბუ უ-
ჭ რმუ მუარუსუ უ- არსა უ-
ჭ რმუ უ- უ- უ-

ჭ რმუმთ უ- კურთული ჭამის კურთული
გ რუსული ჭამი ჭ რკუ არსა უ-
რა მუ რუსუს ჩუარი ბუ უ-
ჭ რმუ მუარუსუ უ- არსა უ-
ჭ რმუ უ- უ- უ-

ჭ რმუმთ უ- კურთული ჭამის კურთული
გ რუსული ჭამი ჭ რკუ არსა უ-
რა მუ რუსუს ჩუარი ბუ უ-
ჭ რმუ მუარუსუ უ- არსა უ-
ჭ რმუ უ- უ- უ-

ჭ რმუმთ უ- კურთული ჭამის კურთული
გ რუსული ჭამი ჭ რკუ არსა უ-
რა მუ რუსუს ჩუარი ბუ უ-
ჭ რმუ მუარუსუ უ- არსა უ-
ჭ რმუ უ- უ- უ-

ჭ რმუმთ უ- კურთული ჭამის კურთული
გ რუსული ჭამი ჭ რკუ არსა უ-
რა მუ რუსუს ჩუარი ბუ უ-
ჭ რმუ მუარუსუ უ- არსა უ-
ჭ რმუ უ- უ- უ-

ქ. წმიდა გ(იორგ)ი შეიწყალე მონაი შენი შარიაქა და
შეუნდვენ | ცოდვანი და სხუანი ზრახვიენ | რაიმე, გრქოა
შენ, გონიერო ხეო, | [უ]ფალო, შუენიერო სამყარო, სა...

პალეოგრაფიული დახასიათება: წარწერა შესრულებულია მაღალი და წვრილი ასოებით. გრაფემები განლაგებულია ოთხხაზოვან საწერ ბადეში. პირველ სამ სტრიქონში დაცულია ჰორიზონტალურობა, ხოლო მეოთხე და მეხუთე სტრიქონები ამოკაწრულია ოდნავ გასწვრივ. წარწერაში მოცემული ნუსხური ასოების უმეტესობა (ქანი, წილი, ინი, ენი, ყარი, რაე, სანი...) გადმოცემულია სწორი და არა გვერდზე გადახრილი მუხაზულობით. აქედან გამომდინარე, წარწერის დამწერლობა შეიძლება ჩაითვალოს როგორც სწორი ეპიგრაფიკული ნუსხური, თუმცა შერეულია ასომთავრული „ანი“. სწორი ტანგამართული ნუსხური დამწერლობა დამახასიათებელია XI ს.-თვის, პარალელის სახით შეიძლება დასახელდეს როგორც ხელნაწერები (A-1769, H-1741, S-1276, A-996, A-844), ისე ეპიგრაფიკული ძეგლები (მრავალწყაროს XI ს.-ის წარწერები, ატენის X-XI სს. წარწერები).

გრაფემა ანი წარწერის ტექსტში თექვსმეტჯერ არის გამოყენებული. აქედან პირველ ექვს შემთხვევაში იგი გადმოცემულია ასომთავრული ანი-ს სახით, ხოლო დანარჩენ ათ შემთხვევაში ნუსხური დამწერლობითაა შესრულებული. გრაფემა „განი“ წარწერაში სამჯერ არის ამოკაწრული, რომელსაც მარჯვნივ გაზიდული მუცელი აქვს. მისი მუცლის ზედა ნაწილი საქმაოდ მკვეთრ რკალს აკეთებს. აგრეთვე, მკვეთრად არის გაზიდული მარჯვნივ, გრაფემა „შინის“ ქვედა ვერტიკალური ხაზებიც, რომლებიც დაკუთხული, ან მომრგვალებული ფორმითაა გადმოცემული, ხოლო მუცელი ღრმა რკალს ხაზავს. ასო „მანი“ წარწერაში ოთხჯერ არის მოცემული. გრაფემის „მანი“ ზედა ნაწილი ზევით არის მიმართული, რომელსაც მუცელი ორ შემთხვევაში მომრგვალებული აქვს, ხოლო დანარჩენ ორ შემთხვევაში ოთხკუთხედი ფორმის მუცელი აქვს. აღნიშვნის ღირსია გრაფემის „ქანი“ მოხაზულობა, რომელიც სამგზის არის ამოკაწრული. პირველ

შემთხვევაში იგი ქანწილის სახითაა მოცემული და შესრულებულია სწორი ეპიგრაფიკული ნუსხურით, ხოლო დანარჩენ ორ შემთხვევაში ასოს „ქანი“ მთავარი ხაზი მორკალული ფორმითაა წარმოდგენილი და მის ვერტიკალურ, განივხაზის დამატებითი მცირე ზომის ხაზები აქვს (მარჯვნა მხარეს დაბლა მიმართული, ხოლო მარცხნა ნაწილში ზევით აზიდული). ასო „უნი“ წარწერაში ორი კბილითაა შესრულებული. გრაფემის „კანი“ მთავარი ვერტიკალური ხაზი მკვეთრად არის გაზიდული მარჯვნივ. საინტერესოა გრაფემის „სანი“ მოხაზულობაც, იგი არ იკეთებს მუცლის რკალს და მცირე ზომის მარჯვნივ გაზიდული ჰორიზონტალური ხაზით არის გადმოცემული, რომელსაც ქვევით მიმართული მცირე, ვერტიკალური ხაზი აქვს. ასოს „ცინი“ ფეხი საკმაოდ გრძელია. წარწერაში მხოლოდ ერთი სიტყვა „გ(იორგ)ი“ არის დაქარაგმებული და აღნიშნულ სიტყვას ქარაგმა (სწორი განივი ხაზი) უზის გრაფემა „განი“-სა და „ინი“-ს შორის. ჩვენთვის საინტერესო წარწერა პალეოგრაფიული თვალსაზრისით დიდი მსაგვასებას ამჟღავნებს გარეჯის მრავალწყაროს XI საუკუნის დავითის წარწერასთან,²¹ და სხვ. აღნიშნული პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, აღნიშნული წარწერას XI საუკუნით უნდა დათარიღდეს.

ტექსტის ანალიზი: ტექსტი შედგება ოცდაორი სიტყვითა დაგან. იგი ვინმე შარიაქას სავედრებელ ტექსტს წარმოადგენს. წარწერის დასაწყის ნაწილში შარიაქა შეწყალებას სთხოვს წმიდა გიორგის და ცოდვებისა თუ სხვა ზრახვების შენდობას სთხოვს: „ქ. წმიდა გ(იორგ)ი შეიწყალე მონაი შენი შარიაქა და შეუნდვენ ცოდვანი და სხუანი ზრახვიენ რამე“. ამის შემდეგ მიმართვის ადრესატი არის თავად უფალი, რომელსაც მოიხსნიებს, როგორც გონიერ ხესა და მშვე-

²¹ ვ. სილოგავა, წარწერები გარეჯის მრავალწყაროდან (IX-XIII ს.ს.), პალეოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი 1999 წელი, გვ. 98-103.


ნიერ სამყაროს: „გრქოა შენ, გონიერო ხეო, [უ]ფალო, შუე-ნიერო სამყარო“. როგორც ცნობილია, ხე უძველესი დროი-დან სიცოცხლის ანუ ქრისტეს სიმბოლოა და აქედან გამომ-დინარეა, რომ წარწერის ამომკაწვრელი უფალს „გონიერი ხეო“-ს ეპიტეთით მოიხსენებს.

VI თორნიკეს სავედრებელი წარწერა (XI ს.)

წარწერა ამოკვეთილია დაზიანებული ქვის მეორე და მესამე ფილაზე; მდივან-მწიგნობრული მხედრული; 1 სტრი-ქნი; ამოკაწრულია მკაფიო კვეთით; წარწერის ფართობი: 11×30.5 ; ყველაზე დიდი გრაფემის „კალი“ ზომა: 9.7×1 ; ყვე-ლაზე პატარა გრაფემის „ონი“ ზომა: 0.3×2.2 ; განკვეთილო-ბის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია სწორი განივი ხაზი.

წო გი შე თორნიკ

წ(მიდა)ო გ(იორგ)ი შ(ეიწ-
ყალ)ე თორნიკ



პალეოგრაფიული დახასიათება: წარწერის ასოები გან-ლაგებულია ოთხსაზოვან ბადეში. იგი შესრულებულია მდი-ვან-მწიგნობრული მხედრულით. წარწერაში პირველი (წილი) და ბოლო (კალი) გრაფემები სხვა ასოებთნა შედარებით გრძელია. წარწერის პირველი გრაფემა „წილი“ გადმოცემუ-ლია სამი კბილის მეშვეობით. ასეთივე წილი შესრულებუ-ლია 1072/1073 წლების ვაჩე პროტოსპატარისა და იპატო-სის და პეტრიკ პატრიკისა და მწიგნობართუხუცესის სახე-

ლით ცნობილ წარწერაში,²² კერძოდ, წარწერის მეორე სტრიქონის დასაწყისს სიტყვა „შემეტიე“-სა და ამავე სტრიქონის სიტყვა „წინამიმდებარეთა“-ში. ასვე საინტერესო მოხაზულობით გამოირჩევა გრაფემა „კალი“, რომელსაც მუცელი არ ეკვრის. ასეთივე „კალი“ გვხვდება ლიხნის ტაძრის XI საუკუნის 60-იანი წლებით დათარიღებულ პეტრიკოპულის წარწერაში.²³ ჩვენთვის საინტერესო წარწერაში ამოკაწრული „განი“ და „შინი“ დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ლიხნის ტაძრის აღმოსავლეთ ქორედის XI საუკუნის წარწერის განთან და შინთან.²⁴ წარწერაში ასო „ონი“ ორჯერ არის ამოკაწრული. პირველ შემთხვევაში თანამედროვე „ონი“ მოხაზულობისაა, ხოლო მეორე შემთხვევაში უფრო გარდამავალი მხედრულის „რაე“ წააგავს. ასეთივე „ონი“ ამოკაწრულია XI საუკუნის ბერდო ამროლაისძის წარწერაშიც.²⁵ აღნიშნული პარალელებისა და პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, აღნიშნული წარწერა XI საუკუნით უნდა დათარიღდეს.

ტექსტის ანალიზი: ტექსტი შედგება ოთხი სიტყვისაგან. იგი ვინმე თორნიკეს სავედრებელ ტექსტს წარმოადგენს. თორნიკეს სავედრებელი მიმართულია შარიაქას სავედრებელი წარწერის მსგავსად წმიდა გიორგისადმი. სწორედ აღნიშნული წმიდანისაგან ითხოვს ჩვენთვის საინტერესო პირი შეწყალებას. წარწერა იწყება ფორმულით: წ(მიდა)ო გ(იორგ)ი შ(ეიწყალ)ე, რომელიც, ტრადიციულად შუაკვეცილობითი დაქარაგმებით არის წარმოდგენილი. ამის შემდეგ მოდის სახელი თორნიკე „თორნიკ“-ის ფორმით.

²² ვ. სილოგავა, სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი 2004 წელი, გვ. 208.

²³ ვ. სილოგავა, სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა, გვ. 202.

²⁴ ვ. სილოგავა, სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა, გვ. 219.

²⁵ სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტომი II, გვ. 238-239.

VII სავედრებელი წარწერის ფრაგმენტი (XI ს.)

წარწერა ამოკაწრულია დაზიანებული ქვის მეორე ფილაზე; გარდამავალი მხედრული; 1 სტრიქონი; ამოკაწრულია მყაფიო კვეთით; წარწერის ფართობი: 9×11.3 ; ყველაზე დიდი გრაფემის „ქანი“ ზომა: 8×2 ; ყველაზე პატარა გრაფემის „ღარი“ ზომა: 0.4×0.5 ; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია მაცხნიდან მარჯვნივ დახრილი სწორი განივი ხაზი.

ქ ღთო
ქ(რისტ)ე ღ(მერ)თო

პალეოგრაფიული დახასიათება: წარწერის ასოები განლაგებულია ოთხხაზოვნან ბადეში. შესრულებულია გარდამავალი მხედრულით. წარწერის პირველი გრაფემა „ქანი“ გადმოცემულია სწორი ვერტიკალური ხაზით და ჰორიზონტალური ხაზი კი აზიდულია მარცხნიდან მარჯვნივ. გრაფემა „ენი“ გადმოცემულია გარდამავალი მხედრულისათვის დამახასიათებელი დაკუთხებული, ორკბილა ზედა განივი ხაზით და გრძელი ოდნავ მარცხნივ შეღუნული ვერტიკალური ხაზით. ასეთივე „ენი“ ამოკაწრულია ნიკოლოზის სავედრებელ წარწერაში (იხ. ზემოთ: I წარწერა). შემდგომი სამი გრაფემა „ღარი“, „თანი“ და „ონი“ ამოკაწრულია გადაბმით.

ტექსტის ანალიზი: ტექსტი შედგება ორი სიტყვისაგან, რომლებიც გადმოცემულია შუაკვეცილობითი დაქარაგმებით და იკითხება შემდეგი სახით – „ქრისტე ღმერთო“. იგი ვინმე ანონიმის სავედრებელ ტექსტს წარმოადგენს და არ შეცავს არანაირ ინფორმაციას დამწერის ვინაობის შესახებ. მსგავსი ფორმულირებები გვხდება როგორც ადრეულ, X-XI

საუკუნეების (დაღეთის ეკლესიის წარწერა)²⁶, ასევე გვიან-დელ XVII-XVIII საუკუნეების ეპიგრაფიკულ ძეგლებში (უდაბნოს მონასტრის წარწერები).²⁷

1. ფოთოლეთის ნაკაწრ წარწერათა ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი

როგორც ცნობილია, IX საუკუნის 40-იან წლებში გრიგოლ ხანძთელის მოწაფეებმა – თეოდორემ და ქრისტეფორემ ქართლში, სამცხის მოსაზღვრე მხარეში დაარსეს ორი მონასტერი: ნეძვი და კვირიკეწმიდა.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების მიხედვით, გრიგოლი და მისი მოწაფეები – თეოდორე და ქრისტეფორე „წარვიდეს ზოგად სამცხისა და ქართლისა არეთა მათ უდაბნოთა, და პოვნეს ორნი ადგილნი სამონასტრედ და აღაშენეს სენაკები ორგანვე. და უწოდეს თევდორტს ვანსა ნეძვ, ხოლო ქრისტეფორტს სა კარიკე-წმიდად, და მოწაფენი დაუტევნეს“.²⁸

²⁶ ქართული წარწერების კორპუსი, ტომი I, (აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა 6. შოშიაშვილმა, გამომცემლობა „მერინიერება, თბილისი 1980 წელი, გვ. 246.

²⁷ გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, ტომი I, ნაკვეთი პირველი, წმ. დავითის ლავრა, უდაბნოს მონასტერი (XI-XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადეს დარეჯან კლდიაშვილმა და ზაზა სხირტლაძემ, თბილისი 1999 წელი, გვ. 124; 160; 339.

²⁸ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს იღ. აბულაძემ, 6. ათანგელიშვილმა, 6. გოგუაძემ, ლ. ქავაამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიურმა და ც. ჯლამაიამ, იღია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1963 წელი, გვ. 279, იხ. აგრეთვე: ძველი ქართული მოთხოვნა V-XII საუკუნეებში, შეადგინა, წინასიტყვაობა დაურთო და რედაქცია გაუკეთა რ. თვარაძემ, გამომცემლობა „საბჭოთა ხელოვნება“, თბილისი 1979 წელი, გვ. 230.

პირველი სავანის – ნებვის ადგილმდებარეობის საკითხი ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში გადაჭრილია და მას ახალდაბიდან 12 კილომეტრით დაშორებით მდებარე, თითქმის დანგრეულ სამონასტრო კომპლექსს – ნებვთან აიგივებებს,²⁹ რაც შეეხება კვირიკეტიშვილის ადგილმდებარეობის საკითხის ლოკალიზებას, მდგომარეობა აქ უფრო რთულადაა.³⁰

²⁹ რ. მეფისაშვილი, „გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა სააღმშენებლო მოღვაწეობა ქართლში“, საქ. სსრ მეცნ. აკად. სახს. განკ. მოამბე, 1963 წელი, № 4, გვ. 232-241.

³⁰ ქართულ ისტორიოგრაფიაში მეცნიერთა ერთი ნაწილი პავლე ინგოროვა (პავლე იგოროვება, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, ნარკევე ძელი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიადან, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბილისი 1954 წელი, გვ. 393-395); სერგი ჯიქა (ს. ჯიქა, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაგთარი, წიგნი III, გამოკვლევა, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, თბილისი 1958 წელი, გვ. 124-125) ქრონიკეფორეს მიერ აშენებულ კვირიკეტიშვილის მდებარეობას ბორჯომ-ახალციხის სასაზღვრო ზოლში, უფრო კონკრეტულად, სოფელ საყუნეთის სექტორში, სოფელ კოპაძესთან განსაზღვრავს, მეცნიერთა მეორე ნაწილი (რუსულან მეფისაშვილი) კვირიკეტიშვილას ჩითახვის ეკლესიასთან (დ. ხოშტარია, „ჩითახვის მონასტრის ეკლესია (IX საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი)“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, 1983 წელი, № 4) აღივებს (Меписашвили Р, Основные особенности трех церковных базилик Грузии, (Доклад на международном симпозиуме по грузинскому искусству), Тб. 1977 г, გვ. 6-7), მესამე ნაწილი (დავით ხოშტარია) ფოთოლეთის ეკლესიასთან აიგივებს, ხოლო მეორე ნაწილი ნიკო ბერძნიშვილი (ნ. ბერძნიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, ისტორიული გეოგრაფია, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, თბილისი 1964 წელი, გვ. 250); გიორგი ჩუბინაშვილი (გ. ჩუბინაშვილი, „ქვაბის-ხევის ხეობის ძელი ბაზილიკა“, სახელმწიფო უნივერსიტეტის მრომები, ტ. 34 ა-ბ, 1948 წელი, გვ. 396); სერგი მაკალათია, (ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკევი), გამომცემლობა „სახელგამი“, თბილისი 1957 წელი, გვ. 41-42; იხ. აგრეთვე: მაკალათია С, ბორჯომის უშელე (Историко-

ხელოვნებათმცოდნე დავით ხოშტარია ფოთოლეთის ეკლესიას ქრისტეფორეს მიერ დაარსებულ კვირიკეწმიდასთან აიგივებს. მეცნიერი თავის 1985 წელს ჟურნალ მაცნეს პირველ ნომერში გამოაქვეყნებულ წერილში „კვირიკეწმიდის ძღვანების საკითხისათვის“ აღნიშნავს, რომ კვირიკეწმიდის „ლოკალიზაციის საკითხი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის. ამ საკითხის გადაჭრა უკავშირდება მთელ რიგ პრობლემებს, ერთი მხრივ, ისტორიული გეოგრაფიის, ხოლო, მეორე მხრივ, არქეოლოგიურის ისტორიის სფეროებიდან“.³¹

ამის შემდეგ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოჰყავს ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებები კვირიკეწმიდის ლოკალიზაციის შესახებ.

მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს „გრიგოლ ხანცოელის“ ცხოვრებაში დაცულ ციტატაზე, რომლის მიხედვითაც ვიგებთ, რომ ნეძვი და კვირიკეწმიდა დაარსებულა „ზოგად სამცხისა და ქართლისა არეთა მათ უდაბნოთა... ქართლისა შინა“. ეს ფრაზა ავტორს აფიქრებინებს, რომ „აღნიშნული მონასტრები გაშენდა ერთიმეორის უშუალო სიახლოვეს“.³² ამის პარალელურად, მეცნიერი ითვალისწინებს იმ ფაქტსაც, რომ ქართლ-სამცხის სასაზღვრო პუნქტი მტკვარზე VIII-X

Этнографический очерк), Тб. 1958 г., გვ. 47-49); გორგი ზედგინიძე (გ. ზედგინიძე, სამხრეთ საქართველოს რამდენიმე ისტორიული პუნქტის ლოკალიზაციისათვის, მაცნე ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი 1972 წელი, № 3, გვ. 165-166), ვალერიან აბულაძე (ვ. აბულაძე, ბორჯომის ხეობის წარსული და აწმყო, გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1983 წელი, გვ. 23-27); კი კვირიკეწმიდაში ქვაბისხევის პირდაპირ მდებარე საკვირიკეს კომპლექსს მოიაზრებენ.

³¹ დ. ხოშტარია, „კვირიკეწმიდის ადგილმდებარეობის საკითხისათვის“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა დახელოვნების ისტორიის სერია“, 1985 წელი, № 1, გვ. 72.

³² დ. ხოშტარია, „კვირიკეწმიდის ადგილმდებარეობის საკითხისათვის“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, 1985 წელი, № 1, გვ. 75.

საუკუნეებში იყო ტაშისკართან, რაც სავსებით შეესაბამება ნეძვის ადგილმდებარეობას. იგი ასევე ითვალისწინებს იმ მო-საზრებასაც, რომ ქართლ-სამცხის საზღვარი VIII-X საუკუ-ნეებში სულ ტაშისკარზე არ გადიოდა და ის სოფელ დვირ-ზეც ინაცვლებდა ხოლმე. მისი აზრით, ამ შემთხვევაში კვი-რიკეწმინდა და ჩითახევის ეკლესია კი ჯდება სასაზღვრო ზოლში, მაგრამ ნეძვის ძალზე სცილდება მას. აქედან გა-მომდინარე, მას ნაკლებად დამაჯერელად მიაჩნია ქრისტეფო-რეს მიერ აშენებული ეკლესიის საკვირიკისა და ჩითახევის მონასტრებთან გაიგივების შესაძლებლობა. უფრო მეტიც, მას მიაჩნია, რომ კვირიკეწმინდა უნდა მდებარეობდეს ნეძვის მახ-ლობლად, ახალდაბის სექტორში.

აღნიშნულ სექტორში მას ყველაზე მეტად საყურადღე-ბოდ ფოთოლეთის მონასტერი მიაჩნია, რასაც მოსდევს ტაბ-რის მისეული დეტალური არქიტექტურული აღწერა და მი-დის შემდგომ დასკვნამდე, რომ „ფოთოლეთის ეკლესია, რო-მელსაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ზუსტად უდგება კვირიკეწ-მიდის მდებარეობის მერჩულესეული განსაზღვრა, არქიტექტუ-რითაც შეეფერება ქრისტეფორეს სავანის დაარსების ხანას და თანაც ძლიერ წააგავს ნეძვის ტაძარს. ამ მომენტების დამ-თხვევა, ვთიქრობთ, საფუძვლს გვაძლევს გავაიგივოთ კვირი-კეწმიდის მონასტერი დღეგანდელ ფოთოლეთთან. რა თქმა უნდა, იდენტიფიკაციის ეს ვერსია უეჭველი არ არის და ზო-გიერთ პირობითობასთანა დაკავშირებული, მაგრამ ჩვენი დღე-ვანდელი ცოდნის დონეზე, ყველა არსებული მონაცემის გათ-ვალისწინებით ის ყველაზე სარწმუნო უნდა იყოს“.³³

დ. ხოშტარიამ თავისი აზრის კვირიკეწმინდის ადგილ-მდებარების შესახებ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა თავის

³³ დ. ხოშტარია, „კვირიკეწმიდის ადგილმდებარეობის საკითხისათვის“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიი-სა და ხელოვნების ისტორიის სერია“, 1985 წელი, № 1, გვ. 80.

1986 წლის ნაშრომში „X საუკუნის სამონასტრო ეკლესიები ტაძრის-საკირის მიღამოებში“.

ავტორი სანამ უშეალოდ აღნიშნული მონასტრების ხუროთმოძღვრულ აღწერაზე გადავიდოდეს შესავალ ნაწილში ამბობს, რომ X საუკუნის 40-იან წლებში აგებული მონასტრების „უადრესი წარმომადგენლები ...არის თეოდორეს მიერ დაარსებული ნეძვის „დიდებული ლავრა“ და, ალბათ, ამჟამად ფოთოლეთის სახელით ცნობილი ნამონასტრალი, რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ქრისტეფორესეული კვირიკეწმიდის სავანე“.³⁴

ამის შემდეგ სქოლიოში უთითებს თავის სტატიას კვირიკეწმიდის ადგილმდებარეობის შესახებ, რომლის შემდეგაც დასძენს, რომ „ამ წერილის დაბეჭდვის შემდეგ გამოვიდა დ. ბერძენიშვილის ზემოთ დასახელებული ნაშრომი თორ-ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის შესახებ, რომელში შემოთავაზებულია ნაწილობრივ ახალი გეგმა გიორგი მერჩულეს ცნობებისა კვირიკეწმიდის მდებარეობის თაობაზე (გვ. 16). დ. ბერძენიშვილი სავსებით სწორად შენიშნავს, ფრაზაში „და წარვიდეს ზოგად ქართლისა და სამცხისა არეთა მათ უდაბნოთა და პოვნეს ორნი ადგილი სამონასტრედ...“ (ლაპარაკია თეოდორესა და ქრისტეფორეს წასვლაზე ხანძთიდან გრიგოლის თანხლებით ახალი მონასტრების დასაარსებლად) „ზოგად“ ვითარების გარემოებაა („წარვიდეს ზოგად“, ე.ი. ერთად) და არა განსაზღვრება („ზოგადი არე“, როგორც საზოგადო, სასაზღვრო არე – ასე ესმოდათ ეს ადგილი ი. ჯავახიშვილს, პ. ინგოროვესა და მათს კვალდაკვალ მთელ რიგ სხვა მკლევარებსაც, მათ შორის ჩვენც). ამით საფუძველი გამოეცალა მოსაზრებას, თითქოს კვირიკეწმიდა მაინცდამაინც ქართლ-სამ-

³⁴ დ. ხოშტარია, „X საუკუნის სამონასტრო ეკლესიები ტაძრის – საკირის მიდამოებში“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, 1986 წელი, № 3, გვ. 135.

ცხის საზღვრის მიდამოებში მდებარეობდეს, მაგრამ სხვა არგუმენტები ფოთოლეთ-კვირიკეწმიდის იგივეობის სასარგებლოდ რჩება და დღესდღეობით, ვფიქრობთ, ეს მაინც ყველაზე მისაღები ვერსია კვირიკეწმიდის ლოკალიზაციისა, სხვათა შორის, დ. ბერძენიშვილიც შენიშნავს, რომ ფოთოლეთი თეოდორეს თანამშრომელთა გაშენებული უნდა იყოს“.³⁵

მართალია, დ. ბერძენიშვილი შენიშნავს, რომ „ნეძვის მიდამოებში არის კიდევ ორი მონასტერი: ივანე ნათლისმცემლისა სარმანიშვილის ხევში და ფოთოლეთისა – ახალდაბის ციხის დასავლეთით. ორივე ძლიერ წააგავს ნეძვის მონასტერს და მისი თანადროული უნდა იყვნენ, შესაძლოა გრიგოლ ხანძთელის მოწაფის – თევდორეს თანამშრომელთა ღვაწლით ნაგებიც კი“.³⁶ თუმცა ის არ აკონკრეტებს იმ ფაქტს, რომ აღნიშნული ორი მონასტერი ქრისტეფორეს მიერ იყო აგებული. ჩერი აზრით, თევდორეს თანამშრომელთაში გულისხმობს მის სხვა დამხმარე პირებს და არა მაინცდამაინც ქრისტეფორეს, როგორც ეს აქვს გაგებული დავით ხოშტარიას. უფრო მეტიც, დ. ბერძენიშვილი იზიარებს იმ აზრს, რომ ქრისტეფორესეული კვირიკეწმიდა ქვაბისხევის პირდაპირ მდებარე საკვირიკეს სამონასტრო კომპლექსთან უნდა იქნეს გაიგივებული. ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ „...საკვირიკეს მიჩნევა კვირიკეწმიდად; სახელის სამონასტრო კომპლექსის, სოფლის არსებობის გარდა, ამას მხარს უჭერს

³⁵ დ. ხოშტარია, „X საუკუნის სამონასტრო ექლესიები ტაძრის – საკირის მიდამოებში“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, 1986 წელი, № 3, გვ. 135.

³⁶ დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი, გვ. 19.

მისი ქართლ-სამცხის საზღვარზე არსებობაც, რაც გადამ-წყვეტი მნიშვნელობისა ჩანს.“³⁷

1987 წელს დავით ხოშტარიას თავის საკანდიტატო დისერტაციაში „IX-X საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლები ბორჯომის ხეობაში“ იგივე აზრი აქვს გატარებული ფოთოლეთი ეკლესიის კვირიკეწმიდის მონასტერთან გაიგივების შესახებ.³⁸

როგორც ვნახეთ, დღემდე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კვირიკეწმიდის მონასტრის ლოგალიზაციის შესახებ რამოდენიმე მოსაზრება არსებობდა. მეცნიერთა ერთი ნაწილი (პ. ინგოროვა, ს. ჯიქია) ქრისტეფორეს მიერ დაარსებულ კვირიკეწმიდას სოფელ საყუნეთის სექტორში, სოფელ კოპაძესთან აკავშირებდა, მეორე ნაწილი (ნ. ბერძენიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ს. მაკალათია, გ. ზედვინიძე, დ. ბერძენიშვილი, ვ. აბულაძე,) აღნიშნულ მონასტერს სოფელ დვირთან მოიაზრებდნენ, მესამე ნაწილმა (რ. მეფისაშვილი) კვირიკეწმიდა არქიტეტურული მონაცემების საფუძველზე ჩითახევის მონასტერთან გააგივა, ხოლო მეოთხე ნაწილი (დ. ხოშტარია) კვირიკეწმიდას აიგივებს ფოთოლეთის ეკლესიასთან ისტორიულ-გეოგრაფიული და ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით.

მას შემდეგ, რაც გავეცანით ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებებს ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარშემო, ჩნდება ლოგიკური კითხვა – რამდენად შეესაბამება რეალობას ქრისტეფორეს მიერ დაარსებული კვირიკეწმიდის ფოთოლეთის ეკლესიასთან გაიგივება?

³⁷ დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი, გვ. 15.

³⁸ დ. ხოშტარია, „IX-X საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლები ბორჯომის ხეობაში“, საკანდიტატო დისერტაცია და ავტორეფერატი, თბილისი, 1987 წელი, გვ. 15-23.

აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნის კიდევ ერთხელ მოვიტანთ ფოთოლეთის ნაკაწრ წარწერათა ტექსტების ჩვენებულ წაკითხვებს:

- ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე ნიკოლოზ
- ქ. უფალო, შ(ეიწყალ)ე საწყალობელის სული შალვასი, ლოცვა ყავთ ღ{მრ}თისათურის ღ(მრ)თისა მოყვარენო
- ქ(რისტ)ე, შ{ეიწყალ}ე ი{ო}ვანე
- ღ(მერ)თმ(ა)ნ ნუ შეუდნეს ცოდვანი მნათესა, რომელ ცხოარ არს
- ქ. წმიდა გ(იორგ)ი, შეიწყალე მონაი შენი შარიაქა და შეუნდვენ ცოდვანი და სხუანი ზრახვიერ რაიმე, გრქოა შენ, გონიერო ხეო, {უ}ფალო, შეუნიერო სამყარო, სა...
- წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, შ(ეიწყალ)ე თორნიკ
- ქ(რისტ)ე ღ{მერ}თო

როგორც ვხედავთ, ზემოთმოყვანილი 7 წარწერიდან მეხუთე და მეექსე წარწერაში სავედრებელი მიმართულია წმიდა გიორგისადმი, რაც კიდევ ერთხელ დოკუმენტურად ეწინააღმდეგება ქართულ სამეცნიერო წრეებში ბოლო დროს დამკვიდრებულ მოსაზრებას კვირიკეწმიდის ფოთოლეთის მონასტერთან გაიგივებასთან (დ. ხოშტარია) დაკავშირებით. პირიქით, აღნიშნულ ორ წარწერაში პირდაპირ არის მითითებული, რომ ფოთოლეთის ეკლესია წმიდა გიორგის სახელობის მონასტერს წარმოადგენდა. წინააღმდეგ შემთხვევაში წარწერაში მოხსენიებული პირები სასოებას წმიდა კვირეკესაგან ითხოვდნენ, მაგრამ როგორც ზემოთ ვნახეთ, ეს ასე არ არის, პირიქით ისინი წმიდა გიორგისაგან ითხოვენ მეოხებას. ასევე სრულიად დაუჯერებელია IX-X საუკუნეებში აგებული მონასტრის სახელობა დავიწყებას მისცემოდა XI საუკუნეში.

მართალია, აღნიშნული წარწერიანი ქვა არქეოლოგიური გათხრების დროს სარკოფაგის თავზე იყო განთავსებული.

ლი, თუმცა ჩვენ ვფიქრობთ, რომ მან მეორადი გამოყენების ფუნქცია შეიძინა. ამას გვაფიქრებინეს ის, რომ სავსებით და-უჯერებელია საფლავის ქვაზე ნაკაწრი წარწერები შეესრულებინათ XI საუკუნეში და მას დღემდე ჩვენამდე მოეღწია. ამის პრაქტიკა ქართულ ეპიგრაფიკაში საერთოდ არ მოგვეპოვება. ამის საპირისპიროდ კი სავედრებელი წარწერები ეკლესია-მონასტერთა ექსტერიერში და ინტერიერში კი მრავლად გვხდება. ამ მიზნით ჩვენ მოვინახულეთ ფოთოლეთის ეკლესია და ტაძრის ექსტერიერში მრავლად მოიპოვება ამგვარი ტიპის ქვები, რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ თავდაპირველად ეს წარწერიანი ქვაც ტაძრის ექსტერიერში იყო განთავსებული.

ამრიგად, ფოთოლეთის ეკლესიის ნაკაწრ წარწერათა მეშვეობით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ბოლო დროს გაბატონებული მოსაზრება კვირიკეწმიდა-ფოთოლეთის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით (დ. ხოშტარია) გაბათილებულ იქნა. აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ ზემოთმოყვანილი სხვა დანარჩენი მოსაზრებების გაზიარება ან უარყოფა კვირიკეწმიდის ადგილმდებარების საკითხის შესახებ მომავალი კვლევის საგანს წარმოადგენს.

Appendix 1

Tamaz Gogoladze, Irakli Gelashvili, Nini Kharshiladze **Graffiti from the Potoleti Church and their Analysis by Means of Historical and Source Study Methods**

Summary

Several opinions have been circulating among Georgian scholars about location of the Kvirketsmida Monastery until now. Based on historical-geographical and architectural analysis, certain scholars (D. Khoshtaria) identified Kvirketsmida with Potoleti church.

In a course of archaeological excavations of the monastery in 2008, a cist was unearthed within the north cloister, to the west of the prothesis. Seven graffiti in mixed *nuskhuri* and *mkhedruli* scripts were found on the cist lead-tombstone. In spring and summer 2014 we have visited the site several times with the purpose of studying these inscriptions. We have made paleographic copies of the graffiti and have photographed them. In situ study of the graffiti has shown that by content they belong to supplication inscriptions. Based on paleographic peculiarities, we have dated the graffiti to the 11th century.

Supplications found in the fifth and sixth inscriptions out of the seven graffiti on the cist lead are addressed to St. George. This fact contradicts to identification of Kvirketsmida with Potoleti church (D. Khoshtaria) accepted by Georgian scholars lately. On the contrary, the both above-mentioned inscriptions indicate that the Potoleti church was a branch of St. George Monastery. Otherwise, individuals mentioned in the inscriptions would have asked for assistance from St. Kviri. But as we have noted above, their supplications are addressed

to St. George. It is hard to believe that the name of the monastery built in the 9th c. - first half of the 10th century, by the 11th century was already forgotten.

In spite of the fact that the unearthed slab with graffiti was used as a tombstone, we consider it a secondary use stone, because it is hard to believe that the 11th-century graffiti on a tombstone could have survived till now. We are not aware of such cases in the Georgian epigraphy. On the other hand, supplication inscriptions were often scratched on exterior and interior walls of churches. We have examined walls of the Potoleti church and found out that the stones similar to the tombstone under consideration are abundantly used in the masonry of the church interior. Based on this, we consider that initially the slab with graffiti was a part of the church interior decoration.

Thus, based on the analysis of graffiti from Potoleti church we have refuted consideration about identification of Kviriketsmida with Potoleti church (D. Khoshtaria) accepted by Georgian scholars lately.

დანართი №2

თამაზ გოგოლაძე

**ანტეფიქსის წარწერა წმიდა გიორგის მოხსენიებით
ჩითახევის ეკლესიდან (მწვანე მონასტრიდან) და მისი მნიშ-
ვნელობა „გრიგოლ ხანცოლის ცხოვრება“-ში მოხსენიებული
კვირიკეწმიდის ლოკალიზაციისათვის**

ჩითახევის ეკლესია („მწვანე მონასტერი“) მდებარეობს
ქალაქ ბორჯომიდან 15 კილომეტრის მანძილზე, ჩითახევის
ხეობაში, ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალის სამხრეთ-დასავ-
ლეთ ნაწილში. მონასტერი განლაგებულია ვიწრო ხეობის
ოდნავ გაფართოებულ მონაკვეთზე. ხუროთმოძღვრული ძეგ-
ლი სამეკლესიან ბაზილიკას წარმოადგენს და მისი აგების
ქრონოლოგიას – IX საუკუნის შუა ხანებით ან მის
მომდევნო III მეოთხედით განსაზღვრავენ.

2012 წელს მონასტრის ტერიტორიაზე გაწმენდითი სა-
მუშაოების დროს ადგილობრივი მოწესების მიერ ნაპოვნი
იქნა ანტეფიქსის ქვა (იხ. სურ. №16). აღნიშნული ანტეფიქ-
სის აღმოჩენისა და მასზე შესრულებული წარწერის შესახებ
ინფორმაცია მოგვაწოდა ისტორიკოსმა მზაა ქოზაშვილმა,
რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ. ამის შემდეგ
ვეწვით ჩითახევის ეკლესიას და აღნიშნული ქვა აღგილზე
მოვინახულეთ.

ანტეფიქსის ქვა (ზომა: 12×12 სმ; სისქე: 5 სმ) სამ-
კუთხედი ფორმისაა, რომლის ცენტრში გამოსახულია ჯვარი
(ზომა: 8×5 სმ), რომელიც, თავის მხრივ, კვარცხლბეჭეა
შემდგარი. ჯვრის მკლავის დაბოლოებები ოთხივე მხარეს
სამკუთხედი ფორმით არის შიგნით ჩაჭრილი, ეს განსაკუთ-
რებით უფრო მკაფიოდ გამოხატულია ჯვრის ქვედა ფეხზე.
ანტეფიქსის ქვა მის ქვედა ნაწილში ორივე მხარეს ზის წიწ-

ვების მსგავსი დეკორით არის გაფორმებული. ჯვრის ზედა მარჯვენა მხარეს გამოსახულია ოთხკუთხედი ფორმის ფიგურა, რომელსაც მარჯვენა და მარცხენა მხრიდან კვეთს ორი სწორი ხაზი. როგორც ცნობილია, ჯვართან წრის ფიგურის გამოსახვა ნიშნავს ცას³⁹, ხოლო კპალრატის გამოსახვა კი მიწას ნიშნავს.⁴⁰ როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ჩითხევის ანტეფიქსის ქვაზე კვადრატი გადახაზულია, რაც ჩვენი აზრით ნიშნავს, რომ მიწიერი ანუ ამქვეყნიური ცხოვრება უარყოფილია.

აღნიშნული ჯვრის ქვედა ორივე მხარესა და ზედა მარცხენა მხარეს მიუყვება ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რომელიც რელიეფური სახისაა. წარწერა გადმოცემულია ე.წ. „სარკისებური“ ანუ შებრუნებული მოხაზულობით. წარწერის ყველაზე დიდი გრაფემის „წილი“ ზომაა: 4.5×1 სმ; წარწერის ყველაზე დიდი გრაფემის „ინი“ ზომაა: 0.5×1 სმ; წარწერას განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ასევე წარწერაში ქანწილი არ არის გამოყენებული; წარწერას აღნიშნება დაზიანება: წარწერის მესამე გრაფემის „განი“ ზედა ნაწილი გაზიდულია; სწორედ ეს გაზიდული ხაზი ამოტეხილია, თუმცა აღნიშნული ხაზის ბოლო ნაწილი შემორჩენილია, რაც გვეხმარება იმის წარმოსადგენად, თუ როგორი იყო თავდაპირველად ასო „განი“.

გთავაზობთ წარწერის ტექსტს, მის შავ-თეთრ ფოტოსა და ჩვენეულ წაკითხვას:

³⁹ Sin. 16 ხელნაწერში სახარების თითოეული თავი მთავრდება ორნამენტირებული ჯვრით, რომელსაც მარჯვენა ზედა კუთხეში აქვს დასმული ასევე ორნამენტირებული წრე (ძ. კარანაძე, ქართული წიგნის ყდის ისტორია, თბილისი 2002 წელი, დამატება I, №12).

⁴⁰ ძ. კარანაძე, ქართული წიგნის ყდის ისტორია, თბილისი 2002 წელი, გვ. 12.

Վ(միջա)ւ ց(օորց)ո



ՌՕՂՈՐԾ ՏԵՐԱՊՈԽ ԼՈՒԺԵՐԱՑԻՄԱՆ ԱՐՈՍ ՎԵՆՈՑՈԼՈ, ՎՄԻՋԱ ԳՈՂՐԳՈՍ ԳԱՄՈՍԱԿՇԱԼԵՑՈՒԹ ՄԵՆԼՈՎ ՈՐՈ ԱՆՑԵՑՈՒՅՆ ՄՈՂՎԵՑՈՎԵԲԱ:

1. ՏԵՂԵԼ ՔՄԵՆՑԱՏ (ԱՏՎԱՆՑՈՒՅՆ ՌԱՊՈՆՈ) ԱՆՑԵՑՈՒՅՆ ԴԱԿ- ԼԵՑԻԱՆԵՍ ԳԱՆՑՈՒՅՆ ՎՄԻՋԱ ԳՈՂՐԳՈՍ ՌԵԼՈՒՅՆ ԳԱՄՈՍԱ- ԿՇԱԼԵՑՈՒԹ, ՌՈՄԼՈՍ ՔՎԵՄՈՒ ՇԵՏՌԱԼԵՑՈԼՈԱ ՌԵԼՈՒՅՆ ԱՏՎԱՆՑՈՒՅՆ ՎԱՐՆԵՐԱ: „Ջ(ՐՈՍՑ)Ե Ց(ԳՈՒ)ԿՐՈ“⁴¹

2. ՔՄԵՆՑԱՏ ՄԱՅԻՆ ԱՐԿԵԿՈԼՈՎԳՈՒՅՆ ՑՈՆԴՖՄՈ ԾԱՎՈՒԼՈ ԿԱԼՈՎՑԻՐՈՍ ԱՆՑԵՑՈՒՅՆ ՎՄԻՋԱ ԳՈՂՐԳՈՍ ԳԱՄՈՍԱԿՇԱԼԵՑՈՒԹ ՏԵՂԵԼ ՑԵՋԱ ՄԵՏԵՄՈՒԴԱՆ (ՎԿԱԼՑՈՒՅՆ ՌԱՊՈՆՈ).⁴²

ՌՕՂՈՐԾ ՎՆԱԿԵԴ, ԲԻՏԱԿԵՎՈՒՅՆ ԷԿԼԵԽԻՈՆ ԱՆՑԵՑՈՒՅՆ ՔՎԱ- ՑԵ ՇԵՏՌԱԼԵՑՈՒՅՆ ՎԱՐՆԵՐԱ ՎՄԻՋԱ ԳՈՂՐԳՈՍ ՄԵՏԵՄՈՒԴԱՆ ԱԼՆԻՄԵՆ ՎԱՐՆԵՐԱ ՀԵՐԱԿԵՐՈՎՈՒԹ ԱՐԴԱՎՈՐ ՄԱԳԱԼՈՒՏԸ

⁴¹ Հ. ՀՀԼԱՄԱԱ, ՏԱՄՄԵՆԵՑՈԼՈ ԿԵՐԱՄԻԿՈՍ ԵԿՈՂՐԱՑՈՒԿԱ ՇԵՐ ՏԱՄՄԵՆԵՑՈԼՈ ՏԱՐՏՎԵԼՈՎԱՆԻ, ՎԻԳՆՑԻ: ՏԱՄՄԵՆԵՑՈԼՈ ԿԵՐԱՄԻԿԱ ԾԵՐԸՆԱԼՈՒՐՈ ՆԱՆԻՆ ՏԱՅԱՐ- ՏՎԵԼՈՎԱՆԻ, ԳԱԼՈՎԱԿԵԼՈՎԱ, „ՄԵԿԵՆԵՐԵԲԱ“, ԹԸՆԼՈՎԱՆ 1980 ՎԵԼՈ, ՑՎ. 49- 50; ԱԳՐԵՄԱՆ: Յ. ՏՈԼՈՎԱՎԱ, ԱՆՑԵՑՈՒՅՆ ՆԱՑԵԽՈ ԱՏՎԱՆՑՈՒՅՆ ՎԱՐՆԵՐԱ ՎՐԱԳՄԵՐՑԻՈՒ ՎԱՐՆԵԼՈՍ ՄՈՒՋԱՄԵՅՑՈՍ ԵԿԼԵՏԵՈՒԴԱՆ, ՑԱԼԱՆ, 2008 ՎԵԼՈ, ՆԵ4, ՑՎ. 115-116.

⁴² Հ. ՏԵՐՄԵՆԻՄԵՅԼՈ, ՎՄԻՋԱ ԳՈՂՐԳՈՍ ԳԱՄՈՍԱԿՇԱԼԵՑՈՒԹ ԿԱԼՈՎՑԻՐՈՍ ԱՆ- ՑԵՑՈՒՅՆ ՑԵՋԱ ՄԵՏԵՄՈՒԴԱՆ, ՎԿԱԼՈՎԴԵԿՇԱԼՈ, ՔՄԵՆՑԱՏ 2011, ՆԵ3, ՑՎ. 27- 37.

წარმოადგენს წმიდა გიორგის მოხსენიებით ასეთი ტიპის ქვებზე.

ჩითახევის ანტეფიქსზე წმიდა გიორგის მოხსენიება მყარ არგუმენტს წარმოადგენს ეკლესიის მფარველი წმინდანის სახელის დასადგენად. აღნიშნული წარწერით შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ აღნიშნული ეკლესია IX საუკუნეში წმიდა გიორგის სახელზე აშენდა.

წარწერის პალეოგრაფიული დახასიათება: აღნიშნული ანტეფიქსი, რომ ტაძრის აგების თანადროულია, ამაზე მეტყველებს მისი პალეოგრაფიული მონაცემებიც.

წარწერა მოთავსებულია ოთხსაზოვან ბადეში. წარწერის პირველი გრაფემის „წილი“ ორივე, ზედა და ქვედა მუცელი შეკრულია. წარწერის მეორე გრაფემა „იოტა“ კრავს მუცელს და არ აქვს ზედა ხაზი. ასეთივე „იოტა“ გვხვდება IX-X საუკუნეების მსიხვეულის ანტეფიქსის წარწერაში.⁴³ მესამე გრაფემას „განი“ ზედა ნაწილი გაზიდული აქვს. როგორც ცნობილია, ასო „განი“ V-VIII საუკუნეების ქართულ ეპიგრაფიკაში იწერებოდა დამატებითი განივი ხაზის გარეშე. IX საუკუნიდან მათ უჩნდებათ ასეთი დამატებითი ხაზები. აღნიშნული გრაფემის ქუსლი დაკუთხული არ არის და ოდნავ მომრგვალებულია. იგივე შეიძლება ითქვას მეოთხე გრაფემას-თან „ინი“ დაკავშირებითაც, რომლის ქვედა ხაზი მომრგვალებისაკენ არის მიღრეკილი. აღნიშნული პალეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე, ჩითახევის ეკლესიის ანტეფიქსის წარწერა ზოგადი ქრონოლოგიური მონაკვეთით – IX საუკუნით უნდა დათარიღდეს.

⁴³ დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII ს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1980 წელი, გვ. 31.

ჩითაზევის (მწვანე) მონასტრის ანტეფიქსის წარწერის ისტორიულ-წყაროთმცოდნებითი ანალიზი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთ-ერთ გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს გრიგოლ ხანცოლის მოწაფის – ქრისტეფორეს მიერ აგებული კვირიკეწმიდის ლოგალიზაციის საკითხი.

თავდაპირველად სათანადო სისრულით მოვიტანთ ქართულ და უცხოურ ნარატიულ წყაროებში დაცულ ცნობებს კვირიკეწმიდის შესახებ. აქვე დავძენთ, რომ სულ სამიოდე ნარატიული წყარო მოგვეპოვება აღნიშნული ძეგლის შესახებ, რომელთაც ქვემოთ მოვიტანთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

პირველ წყაროს კვირიკეწმიდის შესახებ წარმოადგენს X საუკუნის გიორგი მერჩულეს მიერ შედგნილ ჰაგიოგრაფიული თხზულება „გრიგოლ ხანცოლის ცხოვრება“, სადაც კვირიკეწმიდის მონასტერი რამდენგზის არის მოხსენიებული.

პირველად, გიორგი მერჩულე აღწერს რა გრიგოლ ხანცოლის მღვდლად კურთხევის ამბავს, ამის შემდეგ მოგვითხრობს, რომ მან „პოვნა მოყვასნი კეთილნი შეწევნითა ქრისტეს მაღლისადთა: საბა, რომელსა ეწოდა საბან, დედის დისწული მისი, იშხნისა მეორედ მაშენებელი და ებისკოპოსი მისი, და თეოდორე, ნეძვისა მაშენებელი და მამავ, და ქრისტეფორე, კვირიკეთისა მაშენებელი და მამავ...“.⁴⁴

მეორედ, მემატიანე აღნიშნავს რა თეოდორესა და ქრისტეფორეს მიერ თავისი სამმოს თანხლებით ქართლის სანახებში წასკლის შესახებ, დასძენს, რომ „რამეთუ უფალი

⁴⁴ ქველი ქართული მოთხოვა V-XII საუკუნეებში, შეადგინა, წინასიტყვაობა დაურთო და რედაქცია გაუქმთა რევაზ თვარაძემ, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1979 წელი, გვ. 194.

უწოდდა მათ უხილავად ბრძანებით და აღაშენებდა წმიდათა მათ მონასტერთა მათ მიერ ნეძვსა და კვირიკე-წმიდისასა“.⁴⁵

ამის შემდეგ ავტორი აგრძელებს თხრობას და ამბობს, რომ გრიგოლს უფლისაგან უუწყა თეოდორესა და ქრისტეფორეს წასვლის ამბავი, წავიდა მათ საძებნელად, იპოვნა ისინი სამცხეში და ამხილა ფარულად გამოპარვაში. ხოლო მას შემდეგ, რაც მათ ამცნეს მათი განზრახვის შესახებ, გრიგოლმა მოუწონა თავის მოწაფეებს ჩანაფიქრი და „წარვიდეს ზოგად სამცხისა და ქართლისა, არეთა მათ უდაბნოთა, და პოვნეს ორნი ადგილნი სამონასტრედ და აღაშენეს სენაკები ორგანვე. და უწოდეს თევდორევს ვანსა ნეძვი. ხოლო ქრისტეფორევსა — კვირიკე-წმიდაო, და მოწაფენი დაუტევნეს“.⁴⁶

ამის შემდეგ, გრიგოლი და მისი მოწაფეები დაბრუნდნენ ხანძთაში, საიდანაც მათ წამოიყვანეს ბერები ახლად დაარსებულ მონასტრებში სამოღვაწეოდ. თეოდორე და ქრისტეფორე „წარუძღვეს მმათა მათ და კვალა მოიწიეს ნეძვს და კვირიკე-წმიდას“.⁴⁷

მეორედ, კვირიკეწმიდა XIV საუკუნის მემატიანის — ჟამთააღმწერელის თხზულებაში გვხდება. ისტორიკოსი აღნიშნავს რა პელაგუიანთა მეორე მმართველის აბალა ყაენის (1265-1282 წწ.) ბრძოლას ხორასანს ბარახა ყაენის წინააღმდეგ, დასძენს, რომ უფლისწული თეგუდარმა გამოაგზავნა სამი მხედართმთავარი. აღნიშნული მხედრობა დემოთის ციხის შესაყარში, ლომის მთაზე დადგა, საიდანაც არბევდა ჯავახეთს ფარავნამდე. მარბიელმა რაზმმა ერთ-ერთი ლაშქრობის დროს ეკერის ხევი ჩამოიარა, გადავიდა აწყურში მტკვარზე, აწყურის გავლით კი ჯავახეთში გადავიდა. მათ

⁴⁵ ძველი ქართული მოთხრობა V-XII საუკუნეებში, შეადგინა, წინასტყვაობა დაურთო და რედაქცია გაუკეთა რევაზ თვარაძემ, გვ. 230.

⁴⁶ ძველი ქართული მოთხრობა V-XII საუკუნეებში..., გვ. 230.

⁴⁷ ძველი ქართული მოთხრობა V-XII საუკუნეებში..., გვ. 231.

მოიტაცეს XIII საუკუნის 50-60-იანი წლების ქართველი დიდგვაროვანის – მეჭურჭლეთუხუცესის კახა თორელისა და მონღოლთა ასისთავის – ყურუმჩი-ბადურის ჯოგი. მარბიელთა რაზმი გამოემართა ლომის მთისაკენ, თუმცა მათ დაედევნათ კახა თორელისა და მონღოლთა ასისთავის ლაშქარი, რომელთა შორის შეტაკება მოხდა გურკელის ხეობაში. აღნიშნულ ბრძოლაში კახა თორელისა და მონღოლთა ასისთავის ჯარი დამარცხდა. გამარჯვებულები დამარცხებულთ დაედევნენ. კახა თორელმა, რომელსაც ცხენი მოუკლეს აღნიშნულ ბრძოლაში, ცურვით გადალახა მტკვარი და თავი აწყურის ციხეს შეაფარა. მონღოლი ასისთავი კი აშ ბრძოლაში მოკლულ იქნა. გადარჩენილმა რაზმა გზა გააგრძელა აღმოსავლეთის მიმართულებით, რომელნიც „შეივლტოდეს მთად რუგეთისა, აღმართსა ძნელსავალსა, რომელსა პქუან კპრიკეწმიდა.“⁴⁸

სულ ბოლო ნარატიული წყარო გახლავთ 1595 წელს შედგენილი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, სადაც ახალციხის ლივაში, კერძოდ, აწყურის ნაპიეში მეშვიდე სოფლად კვირიკეწმიდაა დასახელებული, ხოლო მეთვრამეტე სოფლად კი საკვირიკე.⁴⁹

მას შემდეგ, რაც გავეცანით ქართულ და უცხოურ ნარატიული წყაროების ცნობებს კვირიკეწმიდის შესახებ, გადავდივართ ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების განხილვაზე ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარშემო.

⁴⁸ ქართლის ცხოვრება, ტექსტები გამოსაც. მოამზადეს: მიხეილ ქავთარია და სხვ.; ბიბლიოგრ. შემდგ. ვალერი სილოგავა; საბ. შემდგ. ნესტან ბაგაური; მხატვ. შოთა ნიორაძე; ილ. ბუბა კუდავა, თბილისი გამომცემლობა „მერიდიანი“ „არტანუჯი“, 2008 წელი, გვ. 606.

⁴⁹ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, გამოკვლევა, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, თბილისი 1958 წელი, გვ. 124-125; 131-132.

პირველად, ქართულ სამეცნიერო წრეებში აღნიშნული პრობლების გადაჭრა პავლე ინგოროვაშ სცადა.

მეცნიერი პირველ რიგში ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ გიორგი მერჩულეს თხზულებაში ქრისტეფორეს მიერ დაარსებული კვირიკეწმიდა ორი სახით: კვირიკე-თისა და კვირიკეწმიდის სახელით არის მოხსენიებული. მას აღნიშნული პუნქტის გაიგივება ბორჯომის ხეობაში მდებარე საკვირიკეს სამონასტრო კომპლექსთან სრულიად დაუშვებლად მიაჩნია. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმისას იგი ემყარება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარს“, საიდანაც, როგორც თვითონ ფიქრობს, საკვირიკე სხვა პუნქტია, ხოლო კვირიკეთი (კვირიკეწმიდა) სხვა. ამის პარალელურად, მან „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარზე“ დაყრდნობით, სა-დაც კვირიკეწმიდა აწყურის ნაჰიეს სოფლების ნუსხაში არის მოხსენიებული, აღნიშნული პუნქტის დღევანდელი ადგილ-მდებარეობა დაახლოებით მოხაზა და ბორჯომ-ახალციხის სა-საზღვრო ზოლში, უფრო კონკრეტულად, სოფელ საყუნეთის სექტორში, სოფელ კოპაძესთან განსაზღვრა.

ავტორი „გურჯისტანის ვილაიეთის დავთრის“ გარდა ეყრდნობა უამთააღმწერლის თხზულებასაც, სადაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, მოთხოვთ მონაცემით ქართველთა და მონაცემთა ერთ-ერთი შეტაკების შესახებ. ავტორისათვის უამთააღმწერლის ეს ცნობა დამატებით არგუმენტს წარმოადგენს, რომ განსაზღვროს კვირკეწმიდის მდებარეობდა აწყურის მახლობ-ლად, რუგეთის მთის კალთებზე, საყუნეთის თემის ზონაში.⁵⁰

პავლე ინგოროვასაგან განსხვავებით, ნიკო ბერძენიშვილმა გამოთქვა ფრთხილი ვარაუდი ქრისტეფორეს მიერ და-არსებულ კვირიკეწმინდის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით

⁵⁰ პ. ინგოროვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, ნაკვეთი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სა-ხელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, თბილისი 1954 წელი, გვ. 393-395.

და მან თავის 1947 წლის ბორჯომში მოგზაურის დღიურში აღნიშნული მონასტრის ადგილმდებარება ბორჯომის ხეობაში, კერძოდ, სოფელ დვირთან მდებარე საკვირიკეს სამონასტრო კომპლექსთან გააგივა.⁵¹

აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა გიორგი ჩუბინაშვილმა თავის 1948 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „ქვაბის-ხევის ხეობის ძველი ბაზილიკა“.⁵²

ნიკო ბერძენიშვილისაგან ფრთხილი მოსაზრებისაგან განსხვავებით, სერგი მაკალათიამ ყოველგვარი არგუმენტების წარმოდგენის გარეშე ქროსტეფორესეული კვირიკეწმიდა ქვაბისხევის პირდაპირ მდებარე, საკვირიკეს სამონასტრო კომპლექსთან გააგივა.⁵³

პავლე ინგოროვას მოსაზრება კვირიკეწმიდის ლოკალიზაციის შესახებ სერგი ჯიქიამ გაიზიარა თავის 1958 წლის ნაშრომში „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“.

ისტორიკოსი ერთი მხრივ ანგარიშს უწევს აწყურის ნაჰიეს სოფლების (ორფოლა, ბლორძა, საყუნეო, ტყემლოვანი და სხვ.) გვერდით კვირიკეწმიდის მოხსენიებას, მეორე მხრივ, პავლე ინგოროვასაგან განსხვავებით, დამატებით ყურადღებას ამახვილებს XIX საუკუნის ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტზე, საიდანაც ჩანს, რომ ნასოფლარი კვირიკეწმიდა სოფ. კოპაძის მცხოვრებთა საკუთრებას წარმოადგენდა და ყოველივე აქედან გამომდინარე, იგი, პავლე ინგოროვას მსგავსად, „გრიგოლ

⁵¹ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, ისტორიული გეოგრაფია, „საქართველოს სირ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობა“, თბილისი 1964 წელი, გვ. 250.

⁵² გ. ჩუბინაშვილი, „ქვაბის-ხევის ხეობის ძველი ბაზილიკა“, სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 34 ა-ბ, 1948 წელი, გვ. 396.

⁵³ ს. მაკალათია, ბორჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), გამოცემლობა „სახელგამი“, თბილისი 1957 წელი, გვ. 41-42. იხ. აგრეთვე: მაკალათია C, ბორჯომის უშელე (Историко-Этнографический очерк), Тб. 1958 г., გვ. 47-49.

ხანცოლის ცხოვრება“-ში დასახელებულ კვირიკეწმიდის მდებარეობას სოფ. კოპაძესთან განსაზღვრავს.⁵⁴

პავლე ინგოროვასა და სერგი ჯიქიას მიერ გამოთქმული მოსაზრების გადამოწმების მიზნით, რუსუდან მეფისაშვილმა დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა საყუნეთისა და კოპეთის მიდამოებში, თუმცა იქ ვერავითარი ნამონასტრალის კვალს ვერ მიაკვლია.⁵⁵

მეცნიერმა თავის 1963 წელს გამოქვეყნებულ სტატია „გრიგოლ ხანძთელის მოწაფეების საამშენებლო მოღვაწეობა ქართლში“ გამოთქვა ვარაუდი ქრისტეფორეს მიერ აშენებული კვირიკეწმიდის სოფელ დვირის ახლოს მდებარე საკვირიკეს სამონასტრო ანსამბლთან გაიგივების შესახებ, თუმცა იქვე დასძენს, რომ „საკვირიკე ზომით ნებვზე თითქმის ორჯერ უფრო მცირეა, და ბოლოს იმის გათვალისწინებამაც, რომ დავთარში სოფ კვირიკეწმინდა და სოფ. საკვირიკე ერთდროულადაა მოხსენიებული, ეჭვი დაბადა საკვირიკესა და კვირიკეწმინდის შესაძლებელი გაიგივების შესახებ“.⁵⁶

რუსუდან მეფისაშვილის შემდეგ ჩვენთვის საინტერესო საკითხს შეეხო გიორგი ზედგინიძე თავის 1972 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „სამხრეთ საქართველოს რამდენიმე ისტორიული პუნქტის ლოკალიზაციისათვის“. მან თავის ნაშრომში ერთ-ერთი თავი მიუძღვნა კვირიკეწმიდის ლოკალიცაზის დადგენის საკითხს.

⁵⁴ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, გამოკვლევა, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, თბილისი 1958 წელი, გვ. 124-125.

⁵⁵ რ. მეფისაშვილი, „გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა სააღმშენებლო მოღვაწეობა ქართლში“, საქ. სსრ მეცნ. აკად. სახს. განკ. მოამბე, 1963 წელი, № 4, გვ. 233, (სქოლით 8).

⁵⁶ რ. მეფისაშვილი, „გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა სააღმშენებლო მოღვაწეობა ქართლში“, საქ. სსრ მეცნ. აკად. სახს. განკ. მოამბე, 1963 წელი, № 4, გვ. 234.

ავტორი თავისი მსჯელობისას ეყრდნობა რა „გურჯისტანის ვილაიეთის დავთარსა“ და უამთააღმწერლის ცნობას, ზემოთნახსენები მეცნიერთაგან განსხვავებით ყურადღებას ამახვილებს უამთააღმწერლის თხზულებში დაცულ ცნობაზე. მისი აზრით, პირველი ბრძოლა მონლოლ უფლისწულის რაზ-მსა და კახა თორელი-ყურუმჩი ბააღურის ლაშქარს შორის მოხდა გურკელის ხეობაში ანუ მტკვრის მარცხენა ნაპირას. ამის შემდეგ კახა თორელი მტკვარს ცურვით ლახავს და აწყურის ციხეში შედის, ხოლო ლაშქრის დანარჩენი ნაწილი აღმოსავლეთის მიმართულებით აგრძელებს სვლას და რუგეთის მთაზე მდებარე სოფ. კვირიკეწმიდას აფარებენ თავს. მკვლევრის აზრით, უამთააღმწერელთან არ არის დაკონკრეტული თუ როგორ მოხდენ ისინი აღნიშნულ მთაზე, თუმცა მიაჩნია, რომ მათ მტკვარი გადაცურეს ან ხიდი გადაღახეს და ამის შემდეგ მოხვდნენ აღნიშნულ სოფელში. გარდა ამისა, მას მოჰყავს ცნობა, რომ დღესაც რუგეთის მთას სოფ. ჭამრისის სამხრეთით მდებარე კოდიანის მთის გაგრძლებას უწოდებენ, რომლის ჩრდილოეთით მტკვრის მარჯვენა ნაპირას რუგეთის მთის პარალელურად კვირიკეწმიდის სერი მიუყვება. იგი აგრძლებს მსჯელობას და ამბობს, რომ კვირიკეწმიდის ჩრდილოეთ ფერდობზე სოფ. დვირთან მართლაც მდებარეობს სამონასტრო კომპლექსი, რომელსაც მოსახლეობა მტკიცედ კვირიკეწმიდის სახელით მოიხსენიებს.

ამგვარად, მკვლევარი „გურჯისტანის ვილაიეთის დავთარისა“ და უამთააღმწერლის ცნობების ურთიერთშეჯერების საფუძველზე მივიდა შემდგომ დასკვნამდე, რომ ქრისტეფორეს მიერ აგებული კვირიკეწმიდა უნდა იქნეს გაიგივებული სოფ. დვირთან მდებარე კვირიკეწმიდის სამონასტრო კომპლექსითან. გარდა ამისა, მან „გურჯისტანის ვილაიეთის დავთარში“ ერთმანეთის გვერდიგვერდ მოხსნიებულ ორ ტოპონიმს კვირიკეწმიდასა და საკვირიკესაც მოუძებნა ახსნა.

მისი თქმით, „როგორც გრიგოლ ზანცოელის ცხოვრებიდან ჩანს, თვით კვირიკეწმინდას ორგვარი სახელი დაარსებიდანვე უტარებია, „ცხოვრების“ ავტორი ერთგან გვაუწყებს, რომ გრიგოლმა „იპოვნა მოყუასნი კეთილნი ... თეოდორე, ნეძვსა მაშტნებელი და მამა, და ქრისტეფორე, კვირიკეთისა მაშტნებელი და მამავ“, ხოლო მეორეგან აღნიშნავს, „და უწოდეს თეოდორტს ვანსა ნეძვ, ხოლო ქრისტეფორტსა კპრიკეწმიდა“. „გურჯაისტანის ვილაითის დიდ დავთარშიც“, როგორც ს. ჯიქია შენიშნავს, სიაში კვირიკეა დასახელებული, აღწერაში კი კვირიკეწმინდა“.

საკვირიკე კვირიკეწმინდაზე უფრო გვიანდელი წარმოშობისა უნდა იყოს, იგი დაკავშირებულია, „კვირიკე“ ფუძესთან (წმ. კვირიკეს სახელთან) და მიუთითებს, რომ ეკუთვნის კვირიკეს (უნდა ვიგულისხმოთ, კვირიკეწმინდას). ე.ი სახელწოდება საკვირიკე იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ ეს სოფელი კვირიკეწმინდის მონასტერს ეკუთვნოდა“.⁵⁷

რუსულან მეფისაშვილმა 1963 წლისაგან განსხვავებით წამოაყენა ახალი ვარაუდი კვირიკეწმინდის ადგილმდებარების შესახებ თავის 1977 წლის ნაშრომში „Основные особенности трехцерковных базилик Грузии“.

მეცნიერის თქმით, ქრისტეფორეს მიერ დაარსებული კვირიკეწმინდა შეიძლება ყოფილიყო IX საუკუნით დათარიღებული ჩითახევის მონასტერი. მკვლევრის მთავარ ამოსავალ წერტილს თეოდორესა და ქრისტეფორეს მშენებლობის საკითხებისადმი საერთო მიდგომა და ამ ორი მონასტრის (იგულისხმება ნეძვი და ჩითახევის მონასტერი – თ. გ.) ხუროთმოძღვრული საერთო სტილი წარმოადგენდა. უფრო კონკრეტულად, მისი აზრით, თეოდორესა და ქრისტეფორეს ანალო-

⁵⁷ გ. ზედგინიძე, სამხრეთ საქართველოს რამდენიმე ისტორიული პუნქტის ლოკალიზაციისათვის, მაცნე ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი 1972 წელი, № 3, გვ. 165-166.

გიური აღქმა და მიდგომა უნდა ჰქონოდათ მშენებლობის საკითხების მიმართ. ხოლო რაკი ნეძვს – თეოდორეს პირშობის – ადგილის შერჩევით, ცალკეული ნიშნებითა და ხუროთმოძღვრების საერთო ხასიათით ბორჯომის ხეობის სამონასტრო ეკლესიებს შორის ყველაზე მეტად ჩითახევი უახლოვდება, სწორედ ის უნდა იყოსო ქრისტეფორეს მონასტერი, ყოფილი კვირიკეტმიდა, დაარსებული IX საუკუნის შუა ხანებში.⁵⁸

აღნიშნული მოსაზრება ჩითახევის ეკლესიის კვირიკეტ-მიდასთან გაიგივების შესახებ არ გაიზიარა დავით ხოშტარიამ თავის 1983 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში სახელწოდებით „ჩითახევის მონასტრის ეკლესია (IX საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი)“.⁵⁹

მეცნიერის თქმით, „სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ მოიპოვება დამატებითი არგუმენტები, რომლებიც ბოლომდე გაარკვევდა ამ საინტერესო საკითხს“.⁶⁰

ამის შემდეგ ავტორი სქოლიოს მეშვეობით უფრო ვრცლად განმარტავს და ამბობს: „ჩითახევთან ქრისტეფორე-სეული სავანის იდენტიფიკაციას ზელს უშლის ის ამბავი, რომ ჩითახევიც ტაშისკარის ზემოთ მდებარეობს, ე. ი. სამცხეში და არა ქართლში. თუმცა გამოთქმულია აზრი, რომ ქართლ-სამცხის საზღვარი VIII-X საუკუნეებში მუდამ ტაშისკარზე არ გადიოდა, ერთხანს მან თითქოს ბევრად ზემოთ,

⁵⁸ Меписашвили Р, Основные особенности трехцерковных базилик Грузии, (Доклад на международном симпозиуме по грузинскому искусства, Тб. 1977 г., გვ. 6-7.

⁵⁹ დ. ხოშტარია, „ჩითახევის მონასტრის ეკლესია (IX საუკუნის ქართულიხუროთმოძღვრების ძეგლი)“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, 1983 წელი, № 4, გვ. 141-157.

⁶⁰ დ. ხოშტარია, „ჩითახევის მონასტრის ეკლესია (IX საუკუნის ქართულიხუროთმოძღვრების ძეგლი)“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, 1983 წელი, № 4, გვ. 153-154.

დფირისკენ გადაინაცვლა, რის შედეგადაც მთელი ხეობა ქართლში მოექცა. ამ შემთხვევაში ჩითახევს მართლაც მიუდგებლა ის გეოგრაფიული განსაზღვრება, რომელსაც გიორგი მერჩულე აძლევს კვირიკეწმინდას. მაგრამ მაშინ იგივე განსაზღვრება აღარ მოუდგება ნებვს!“⁶¹

ნიკო ბერძენიშვილის გამოთქმული ფრთხილი მოსაზრება კვირიკეწმინდის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით სავსებით გაიზარა ვალერიან აბულაძე.⁶²

ამის შემდეგ დავით ხოშტარიამ 1985 წლის უურნალ მაცნეს პირველ ნომერში გამოაქვეყნა წერილი სახელწოდებით „კვირიკეწმინდის მდებარეობის საკითხისათვის“.

მეცნიერი სტატიის დასაწყის ნაწილში აღნიშნავს, რომ კვირიკეწმინდის „ლოკალიზაციის საკითხი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის. ამ საკითხის გადაჭრა უკავშირდება მთელ რიგ პრობლემებს, ერთი მხრივ, ისტორიული გეოგრაფიის, ხოლო, მეორე მხრივ, არქიტექტურის ისტორიის სფეროებიდან“.⁶³

ამის შემდეგ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოჰყავს ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებები კვირიკეწმინდის ლოკალიზაციის შესახებ.

მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს „გრიგოლ ხანცელის“ ცხოვრებაში დაცულ ციტატაზე, რომლის მიხედვითაც ვიგებთ, რომ ნებვი და კვირიკეწმინდა დაარსებულა „ზოგად სამცხისა და ქართლისა არეთა მათ უდაბნოთა... ქართლსა

⁶¹ დ. ხოშტარია, „ჩითახევის მონასტრის ეკლესია (IX საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი)“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, 1983 წელი, № 4, გვ. 154, (სქოლით 46).

⁶² ვ. აბულაძე, ბორჯომის ხეობის წარსული და აწმყო, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1983 წელი, გვ. 23-27.

⁶³ დ. ხოშტარია, „კვირიკეწმინდის ადგილმდებარეობის საკითხისათვის“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა დახელოვნების ისტორიის სერია“, 1985 წელი, № 1, გვ. 72.

შინა“. ეს ფრაზა ავტორს აფიქრებინებს, რომ „აღნიშნული მონასტრები გაშენდა ერთიმეორის უშუალო სიახლოვეს“.⁶⁴ ამის პარალელურად, მეცნიერი ითვალისწინებს იმ ფაქტსაც, რომ ქართლ-სამცხის სასაზღვრო პუნქტი მტკვარზე VIII-X საუკუნეებში იყო ტაშისკართან, რაც სავსებით შეესაბამება ნეძვის ადგილმდებარეობას. იგი ასევე ითვალისწინებს იმ მო-საზრებასაც, რომ ქართლ-სამცხის საზღვარი VIII-X საუკუნეებში სულ ტაშისკარზე არ გადიოდა და ის სოფელ დვირზეც ინაცვლებდა ხოლმე. მისი აზრით, ამ შემთხვევაში კვირიკეწმინდა და ჩითახევის ეკლესია კი ჯდება სასაზღვრო ზოლში, მაგრამ ნეძვი ძალზედ სცილდება მას. აქედან გამომდინარე, მას ნაკლებად დამაჯერებლად მიაჩნია ქრისტეფორეს მიერ აშენებული ეკლესის საკვირიკესა და ჩითახევის მონასტრებთან გაიგივების შესაძლებლობა. უფრო მეტიც, მას მიაჩნია, რომ კვირიკეწმინდა უნდა მდებარეობდეს ნეძვის მახლობლად, ახალდაბის სექტორში.

აღნიშნულ სექტორში მას ყველაზე მეტად საყურადღებოდ ფოთოლეთის მონასტერი მიაჩნია, რასაც მოსდევს ტაძრის მისეული დეტალური არქიტექტურული აღწერა და მიდის შემდგომ დასკვნამდე, რომ „ფოთოლეთის ეკლესია, რომელსაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ზუსტად უდგება კვირიკეწმიდის მდებარეობის მერჩულესული განსაზღვრა, არქიტექტურითაც შეეფერება ქრისტეფორეს სავანის დაარსების ხანას და თანაც ძლიერ წააგავს ნეძვის ტაძარს. ამ მომენტების დამთხვევა, ვფიქრობთ, საფუძველს გვაძლევს გავაიგივოთ კვირიკეწმიდის მონასტერი დღევანდელ ფოთოლეთთან. რა თქმა უნდა, იდენტიფიკაციის ეს ვერსია უეჭველი არ არის და ზოგიერთ პირობითობასთანაა დაკავშირებული, მაგრამ ჩვენი დღევანდელი ცოდნის დონეზე, ყველა არსებული

⁶⁴ დ. ხოშტარია, „კვირიკეწმიდის ადგილმდებარეობის საკითხისათვის“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, 1985 წელი, № 1, გვ. 75.

მონაცემის გათვალისწინებით ის ყველაზე სარწმუნო უნდა იყოს“.⁶⁵

დ. ხოშტარიამ თავის აზრს კვირიკეწმინდის ადგილმდებარების შესახებ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა თავის 1986 წლის ნაშრომში „X საუკუნის სამონასტრო ეკლესიები ტაძრის-საკირის მიღამოებში“.

ავტორი სანამ უშაულოდ აღნიშნული მონასტრების ხუროთმოძღვრულ აღწერაზე გადავიდოდეს შესავალ ნაწილში ამბობს, რომ X საუკუნის 40-იან წლებში აგებული მონასტრების „უადრესი წარმომადგენლები ...არის თეოდორეს მიერ დაარსებული ნებების „დიდებული ლავრა“ და, ალბათ, ამჟამად ფოთოლეთის სახელით ცნობილი ნამონასტრალი, რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ქრისტეფორესეული კვირიკეწმიდის სავანე“.⁶⁶

ამის შემდეგ სქოლიოში უთითებს თავის სტატიას კვირიკეწმიდის ადგილმდებარეობის შესახებ, რომლის შემდეგაც დასძხნს, რომ „ამ წერილის დაბეჭდვის შემდეგ გამოვიდა დ. ბერძენიშვილის ზემოთდასახელებული ნაშრომი თორ-ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის შესახებ, რომელშიც შემოთავაზებულია ნაწილობრივ ახალი გეგმა გიორგი მერჩულეს ცნობებისა კვირიკეწმიდის მდგებარეობის თაობაზე (გვ. 16). დ. ბერძენიშვილი სავსებითს სწორად შენიშნავს, ფრაზაში „და წარვიდეს ზოგად ქართლისა და სამცხისა არეთა მათ უდაბნოთა და პოვნეს ორნი ადგილი სამონასტრედ...“ (ლაპარაკია თეოდორესა და ქრისტეფორეს წასვლაზე ხანძთიდან გრიგო-

⁶⁵ დ. ხოშტარია, „კვირიკეწმიდის ადგილმდებარეობის საკითხისათვის“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოგნების ისტორიის სერია“, 1985 წელი, № 1, გვ. 80.

⁶⁶ დ. ხოშტარია, „X საუკუნის სამონასტრო ეკლესიები ტაძრის – საკირის მიღამოებში“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოგნების ისტორიის სერია“, 1986 წელი, № 3, გვ. 135.

ლის თანხლებით ახალი მონასტრების დასაარსებლად. „ზოგად“ ვითარების გარემოება („წარვიდეს ზოგად“, ე.ი. ერთად) და არა განსაზღვრება („ზოგადი არე“, როგორც საზოგადო, სასაზღვრო არე – ასე ესმოდათ ეს ადგილი. ივ. ჯავახიშვილს, პ. ინგოროვას და მათს კვალდაკვალ მთელ რიგ სხვა მკვლევარებსაც, მათ შორის ჩვენც). ამით საფუძველი გამოეცალა მოსაზრებას, თითქოს კვირიკეწმიდა მაინცდამაინც ქართლ-სამცხის საზღვრის მიდამოებში მდებარეობდეს, მაგრამ სხვა არგუმენტები ფოთოლეთ-კვირიკეწმიდის იგივეობის სასარგებლოდ რჩებადა დღესდღეობით, ვფიქრობთ, ეს მაინც ყველაზე მისაღები ვერსია კვირიკეწმიდის ლოკალიზაციისა, სხვათა შორის, დ. ბერძენიშვილიც შენიშნავს, რომ ფოთოლეთი თეოდორეს თანამშრომელთა გაშენებული უნდა იყოს“.⁶⁷

მართალია, დ. ბერძენიშვილი შენიშნავს, რომ „ნებვის მიდამოებში არის კიდევ ორი მონასტერი: ივანე ნათლისმცემლისა სარმანიშვილის ხევში და ფოთოლეთისა – ახალდაბის ციხის დასავლეთით. ორივე ძლიერ წააგავს ნებვის მონასტერს და მისი თანადროული უნდა იყვნენ, შესაძლოა გრიგოლ ხანძთელის მოწაფის – თევდორეს თანამშრომელთა ღვაწლით ნაგებიც კი“.⁶⁸ თუმცა ის არ აკონკრეტებს იმ ფაქტს, რომ აღნიშნული ორი მონასტერი ქრისტეფორეს მოერ იყო აგებული. ჩვენი აზრით, თეოდორეს თანამშრომელთაში გულისხმობს მის სხვა დამხმარე პირებს და არა მაინცდამაინც ქრისტეფორეს, როგორც ეს აქვს გაგებული დავით ხოშტარიას. უფრო მეტიც, დ. ბერძენიშვილი იზიარებს იმ

⁶⁷ დ. ხოშტარია, „X საუკუნის სამონასტრო ექლესიები ტაძრის – საკირის მიდამოებში“, „მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, 1986 წელი, № 3, გვ. 135.

⁶⁸ დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი, გვ. 19.

აზრს, რომ ქრისტეფორესეული კვირიკეწმიდა ქვაბისხევის პირდაპირ მდებარე საკვირიკეს სამონასტრო კომპლექსთან უნდა იქნეს გაიგივებული. ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ „...საკვირიკეს მიწნევა კვირიკეწმიდად; სახელის სამონასტრო კომპლექსის, სოფლის არსებობის გარდა, ამას მხარს უჭერს მისი ქართლ-სამცხის საზღვარზე არსებობაც, რაც გადამ-წყვეტი მნიშვნელობისა ჩანს.“⁶⁹

1987 წელს დავით ხოშტარიას თავის საკანდიტატო დისერტაციაში „IX-X საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლები ბორჯომის ხეობაში“ იგივე აზრი აქვს გატარებული ფოთოლეთი ეკლესიის კვირიკეწმიდის მონასტერთან გაიგივების შესახებ. გარდა ამისა, მეცნიერი საუბრობს რა საკვირიკეს სამონასტრო კომპლექსის შესახებ, დასძენს, რომ საკვირიკე არ შესაბამება კვირიკეწმიდის გიორგი მერჩულესულ განსაზღვრებას და მისი ხუროთმოძღვრული მონაცემები-დან გამომდინარე, აღნიშნულ სამონასტრო კომპლექსის აგების თარიღს – IX-X საუკუნეთა მიჯნით, უფრო კონკრეტულად, X საუკუნის I ათწლეულით განსაზღვრავს.⁷⁰

როგორც ვნახეთ, დღემდე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კვირიკეწმიდის მონასტრის ლოკალიზაციის შესახებ რამდენიმე მოსაზრება არსებობდა. მეცნიერთა ერთი ნაწილი (პ. ინგოროვება, ს. ჯიქია) ქრისტეფორეს მიერ დაარსებულ კვირიკეწმიდას სოფელ საყუნეთის სექტორში, სოფელ კოპაძესთან აკავშირებდა, მეორე ნაწილი (ნ. ბერძენიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ს. მაკალათია, გ. ზედვინიძე, დ. ბერძენიშვილი, ვ. აბულაძე,) აღნიშნულ მონასტერს სოფელ დვირთან

⁶⁹ დ. ბერძენიშვილი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი – ოორი, ჯავახეთი“, თბილისი, 1985 წელი, გვ. 15.

⁷⁰ დ. ხოშტარია, „IX-X საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლები ბორჯომის ხეობაში“, საკანდიტატო დისერტაცია და აკტორუფერატი, თბილისი, 1987 წელი, გვ. 15-23; 53-63.

მოიაზრებდნენ, მესამე ნაწილმა (რ. მეფისაშვილი) კვირიკეწმიდა არქიტეტურული მონაცემების საფუძველზე ჩითახევის მონასტერთან გააგივა, ხოლო მეოთხე ნაწილი (დ. ხოშტარია) კვირიკეწმიდას აიგივებს ფოთოლეთის ეკლესიასთან ისტორიულ-გეოგრაფიული და ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით.

როგორც ზემოთ ვნახეთ, პავლე ინგოროვას გამოთქმული მოსაზრება კვირიკეწმიდის გაიგივებისა საყუნეოს სექტორში გადამოწმდა რუსუდან მეფისაშვილის მიერ და არ დადასტურდა. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ ფოთოლეთის ნაკაწრ წარწერებზე აჩვენა, რომ ფოთოლეთის ეკლესია (IX-X სს.) წმიდა გიორგის სახელობაზე იყო აშენებული. ამით საფუძველი გამოეცალა დავით ხოშტარიას მიერ ბოლო დროს გამოთქმულ მოსაზრებას მის კვირიკეწმიდასთან გაიგივებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში რჩებოდა მეცნიერთა ორი ჯგუფის მოსაზრება, რომელთა ერთი ნაწილის მიხედვით ქრისტეფორეს მიერ აშენებული კვირიკეწმიდა ქვაბისხევის პირდაპირ მდებარე საკვირიკეს სამონასტრო კომპლექსთან უნდა გაიგივდეს, ხოლო მეორე ნაწილის მიხედვით (რუსუდან მეფისაშვილი) კი ქრისტეფორეს მიერ აშენებული კვირიკეწმიდა ჩითახევის ეკლესია უნდა ყოფილიყო.

როგორც ვნახეთ, ჩითახევის ეკლესიის ანტეფიქსის წარწერის საფუძველზე მყარად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ IX საუკუნეში ჩითახევის ეკლესია წმიდა გიორგის სახელზე აშენდა.

ყოველივე ამის შემდეგ, გვრჩება მხოლოდ მეცნიერთა ერთ ნაწილის (ნ. ბერძნიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ს. მაკალათია, გ. ზედგინიძე, დ. ბერძენიშვილი, ვ. აბულაძე,) მოსაზრება კვირიკეწმიდის ქვაბისხევის მოპირდაპირედ მდებარე საკვირიკეს კომპლექსთან გაიგივების შესახებ.

მეცნიერთა ამ ნაწილიდან გამოვყოფთ გიორგი ზედგინიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას კვირიკეწმიდის ლოკალურაზის დადგენის შესახებ. მან, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ნარატიული წყაროების („გრიგოლ ხანცოელის ცხოვრება“, ჟამთააღმწერელი და „გურჯისტანის ვილაეთის დავთარი“) ცნობების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ქრისტეფორეს მიერ აგებული კვირიკეწმიდა სოფ. დვირთან მდებარე საკვირიკეს სამონასტრო კომპლექსთან გააიგივა.

ჩვენ ვითვალისწინებთ რა ფოთოლეთის ეკლესიის ნაკაწრ წარწერებს, ამის პარალელურად ყურადღებას ვამახვილებთ ჩითახევის ეკლესიის ანტეფიქსის ქვის წარწერაზე და მხედველობაში ვიღებთ გიორგი ზედგინიძის ნარატიული წყაროების საფუძველზე გამოთქმულ მოსაზრებას კვირიკეწმიდის ლოკალიზაციის შესახებ, დაბეჭითებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში წარმოშობილი პრობლემა კვირიკეწმიდის გაივივებასთან დაკავშირებით გადაჭრილად შეიძლება ჩაითვალოს და „გრიგოლ ხანცოელის ცხოვრება“-ში მოხსენიებული ქრისტეფორეს მიერ აგებული კვირიკეწმიდა აღნიშნულ ეპიგრაფიკულ მასალაზე დაყრდნობით ნამდვილად ქვაბისხევის პირდაპირ მდებარე საკვირიკეს სამონასტრო კომპლექსთან გავაიგივოთ. რაც შეეხება აღნიშნული სამონასტრო კომპლექსის აგების ქრონოლოგიას, ნებვის მონასტრის მსგავსად, IX საუკუნის 40-იანი წლებით განვსაზღვრავთ.

Appendix 2

Tamaz Gogoladze

Antefix Inscription from the Chitakhevi Church (Green Monastery) with the Mention of St. George, and its Significance for Localization of Kvirketsmida Mentioned in the “Life of St. Grigol of Khandzta”

Summary

Several opinions have been circulating among Georgian scholars about location of the Kvirketsmida Monastery mentioned in the “Life of Grigol of Khandzta.” One set of scholars (P. Ingorokva, S. Jiqia) linked Kvirketsmida founded by Qristepore with the village of Kopadze, within the sector of the village of Sakuneti. Second set of scholars (S. Makalatia, N. Berdzenishvili, G. Zedginidze, D. Berdzenishvili and V. Abuladze) considered that the monastery was located near the village of Dviri. Art historian R. Mepisashvili based her consideration on the result of architectural analysis, and identified Kvirketsmida with Chitakhevi Monastery, whereas D. Khoshtaria identified it with Potoleti Church, taking into consideration results of historic geographical and architectural analysis.

Consideration of Pavle Ingorokva about identification of Kvirketsmida with Sakuneti sector was trialed by Rusudan Mepisashvili and was refuted. Our studies of the graffiti from Potoleti have shown that Potoleti church, which dates to the 9th c. - first half of the 10th c., was consecrated to St. George. Therefore, D. Khoshtaria’s consideration proposed lately, suggesting identification of Kvirketsmida with Potoleti Church, has lost bases. Taking the above into consideration, two opinions concerning the location remained valid: according to one set of scholars (S. Makalatia, N. Berdzenishvili, G. Zedginidze, D. Berdzenishvili and V.

Abuladze), the monastery of Kviriketsmida founded by Qristepore was to be identified with the complex located opposite Kvabiskhevi, and according to Rusudan Mepisashvili, Kviriketsmida built by Qristepore was to be identified with Chitakhevi Church.

In 2012, during land clearing in the monastery, an antefix was found with an *asomtavruli* inscription, which mentions St. George. The Georgian historiography is aware of two antefixes with images of St. George (from the village of Quntsa, Aspindza region, and the village of Zemo Meskheti, Tskaltubo region). The antefix from Potoleti is the sole example among the available ones with the mention of St. George.

The fact of mentioning St. George on Chitakhevi antefix is a valid argument to claim that the church was consecrated to St. George. Based on the above-mentioned inscription we can convincingly argue that initially the church was dedicated to St. George. As it was already mentioned, based on architectural peculiarities it is considered that the church dates to the 9th-10th cc. Therefore we can claim that in the 9th-10th cc. the Potoleti church was dedicated to St. George.

After all, only the consideration of the second set of scholars (S. Makalatia, N. Berdzenishvili, G. Zedginidze, D. Berdzenishvili and V. Abuladze), according to which Kviriketsmida must be identified with the complex opposite Qvabiskhevi, remains valid.

I take into consideration graffiti from Potoleti Church, focus my attention on the inscription on the antefix from Chitakhevi Church, take into consideration Giorgi Zedginidze's opinion about localization of Kviriketsmida, which he bases on narrative sources, and claim that the problem associated with localization of Kviriketsmida is finally solved. Based on the epigraphical evidences mentioned above, Kviriketsmida built by Qristepore, the monastery mentioned in

the „Life of Grigol of Khandzta“, must be identified with the monastery complex of Kvirketsmida located opposite Qvabiskhebi. A date the Kvirketsmida to the 840s, like the Nedzvi church.

დანართი №3

თამაზ გოგოლაძე

ერთი საინტერესო ცნობა ექვთიმე თაყაიშვილის პირადი არქი-
ვიდან საღვერისა და ჩითახევის ეკლესია-მონასტრების შესახებ

როგორც ცნობილია, ავალიშვილთა ფეოდალური საგვა-
რეულო XV-XVI საუკუნეებში დაწინაურდა ძველი ოორის
მხარეში (ახლანდელი ბორჯომის ხეობაში). აღნიშნული სა-
თავადოს ცენტრი და შესაბამისად ფეოდალური საძვალე
საღვერის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია იყო. დღეი-
სათვის საღვერის ეკლესის ეზოში შემორჩენილი აქ მოღვა-
წე სასულიერო პირების საფლავის ქვების ქრონოლოგია
მოგვიანო ხანით, კერძოდ, XIX-XX საუკუნეებით განისაზ-
ღვრება. ჩნდება ლოგიკური კითხვა – თუ XV-XVI საუკუნე-
ების განმავლობაში ავალიშვილთა ფეოდალური სახლის ცენ-
ტრი საღვერი იყო და შესაბამისად საძვალე ეკლესიაც, სად
გაქრა ამ პერიოდში მოღვაწე აღნიშნული ფეოდალური სახ-
ლის წევრთა საფლავები?

ამ კითხვაზე სრულად პასუხის გაცემის მიზნით გთავა-
ზობთ ექვთიმე თაყაიშვილის (1863-1953 წწ.) პირად არქივში
დაცულ №19 83 წერილის ტექსტს სრული სახით, სადაც
გვითხულობთ „როგორ იშლებოდა ქართული ხუროთმოძღვრე-
ბის ძეგლები – ეკლესია მონასტრები ცარიზმის დროს არა –
თუ მიყრუებულ ადგილებში, არამედ ისეთ თვალსაჩინო ადგი-
ლებში, როგორიც ბორჯომის ხეობა იყო და რომელიც შეად-
გენდა დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის კუთვნილებას
და შეძლევ მისი შვილისას – ნიკოლოზ მიხეილის ძისას.

ამის მაჩვენებელია ახალციხის ფოსტალიონის ვასილ
ტაგანაშვილის წერილი, რომელიც დაწერილია 1911 წლის
ივნისს; რომელიც მე გამომიგზავნა.

აი ეს წერილი:

მ.ზ.

ეს რა უბედურებაა ჩვენს თავზე. ეს რა შავი ყორანი დაგვჩხავის თავზე, რა უნდათ ამ პატარა მუჭა ხალხთან . . . რას უშავებთ ან რა გვაქვს მათთან გასაყოფი. აი საქმე ამაშია მ.ზ 25 ამა თვეს ვიყავი დაბა ბორჯომში. წავედი სა-სეირნოდ მინერალურ პარკში და ვნახე შემდევი. ბორჯომის ველიკი კნიაზის უპრავლაიუშს მოუყვანია მოსკოვიდან ვიცხა არხეოლოგი წამოუყვანია სოფელ საღვერში და გადაუთხრე-ვინებია ძველი წინაპართა საფლავები, სადაც ძვირფასი საფ-ლავების ჩუქურთმები წამოუღიათ ადამიანის ძვლები. იქიდან წასულან მწვანე მონასტერში ბორჯომიდან 9 ვერსოს მანძი-ლია და გამოუღიათ ერთი დიდი ქვა, რომლებზედაც დახატუ-ლია ქართველი ბატონიშვილები და ქართულ ხუცურ წარწე-რით ჩამოუტანიათ მინერალურ პარკში და დღესაც იქ აწყვი-ან. როგორც გავიგე თურმე რუსეთში მიაქვთ. კიდოვ მიღიან ძველ ციხე-კოშკების ამოსათხრელად. ვერავინ ხმას ვერა სცემ, თან ბოქაული და სტრაჟნიკები დასდევენ კაცს მათ-თვინ ხმა ვერ გაუცია. ეს ველიკი კნიაზის იმენიაო და რაც გვინდა იმას ვიზამთო და ეხლა არ ვიცით რა გზას დავად-გეთ ოქვენგნით ველით შველას.

პასუხს ველით საჩქაროთ.
გწერს ახალციხის ფოსტალიონი
ვასილი. ე. ტაგანაშვილი

25/VI 1911 წ. ქ. ახალციხე.
ჩემი ადრესი გ. ახალციხე

почт. тел. контора В. Е. Таганашвили

ამ წერილის შემდეგ ჩვენ <მე> მივ-
მართ {ეთ} ქართ{ული} საისტ{ორიო} და საეთნოგ{რაფიო}

საზოგადოების სახელით ველიკი კნიაზს წერილით და ვთხოვე ასეთი საქციელი აეკრძალა მისი მოხელეებისათვის. ველიკი კნიაზმა მუხრანსკის საშუალებით მაცნობა, რომ ეს მან არ იცოდა და რათქმაუნდა სასტიკი ბრძანება გასცა, იმის შესახებ, რომ მის მოხელეებს ამის მსგავსი რამ აღარ ჩაედინათ“ (ექვთიმე თაყაიშვილი №1983).

როგორც აღნიშნული წერილიდან ვიგებთ, ახალციხელი ფოსტალიონი ვასილ ტაგანაშვილი წერს ექვთიმე თაყაიშვილს ბორჯომის ქეობის ძეგლების, კერძოდ, სადგერისა და ჩითახევის მონასტრების სავალალო მდგომარეობის შესახებ. მისი თქმით, ბორჯომის მმართველს მოსკოვიდან ჩამოუყვანია ვინმე არქეოლოგი და წაუყვანია სადგერში, სადაც მათ გაუთხრიათ ავალიშვილთა ფეოდალური სახლის წევრთა საფლავები. მათ წამოუდიათ საფლავის ჩუქურთმები და გარდაცვალებულ ავალიშვილთა ძვლები. ამ წერილის საფუძველზე, შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ 1911 წლამდე სადგერის ეკლესიის ეზოში მიმობნეული იყო ავალიშვილთა ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელთა საფლავის ქვები, ხოლო 1911 წელს ისინი წამოუდიათ სადგერიდან და ბორჯომის პარკში ჩამოუტანიათ.

აქედან გამომდინარე, სრულიად ნათელია თუ დღეისათვის რატომ არ იხილვება სადგერის ეკლესიის ეზოში არცერთი ავალიშვილის საფლავის ქვა.

აღნიშნული წერილის მიხედვით იმასაც ვიგებთ, რომ ამის შემდეგ ისინი წასული მწვანე (ჩითახევის) მონასტერში, საიდანაც გამოუდიათ ერთი დიდი ქვა ბატონიშვილების გამოსახულებით, რომელსაც ჰქონია ასომთავრული წარწერები. ეს ქვაც ავალიშვილთა საფლავის ქვების ჩუქურთმებისა და ნეშტების მსგავსად ბორჯომის პარკში ჩამოუტანიათ. ვასილ ტაგანაშვილისავე ინფორმაციით, აღნიშნული პირები ამ ყოველივეს წაღებას მოსკოვში აპირებდნენ. ამ ყოველივეს შემდეგ, ვასილ ტაგანაშვილი ექვთიმესაგან დახმარებას ით-

ხოვს. ექვთიმე თაყაიშვილს თავის მხრივ მიუწერია წერილი რომანოვისადმი, რომელსაც მიუკია პასუხი ვიღაც მუხრან-სკის პირით, რომ მან არაფერი არ იცოდა აღნიშნული ფაქტის შესახებ.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ბორჯომს არაერთი უცხოელი მოგზაური ეწვია. აქედან გამომდინარე, დავინტერესდით რომელიმე მოგზაურს ხომ არ ჰქონდა გადაღებული ან აღნიშნული თავის მოგზაურობის დღიურში აღნიშნული წარწერების შესახებ და ამ მიზნით მივმართეთ ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, თუმცა ვერაფერ ხელმოსაჭიდს ვერ მივაკვლიეთ.

ამრიგად, აღნიშნული საარქივო ცნობა წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან ცნობას სადგერისა და ჩითახევის ეპლესიების წარწერების შესახებ, რომელიც სამწუხაროდ რომანოვების წარმომადგენლებსა და ავალიშვილთა ფეოდალური სახლის წევრებს შორის ჩამოვარდნილი დავის გამო განადგურდა და ჩვენამდე ვერ მოაღწია.

Appendix 3

Tamaz Gogoladze

An Account of Interest from the Private Archives of Eqvtime Taqaishvili about Sadgeri and Chitakhevi Churches

As it is known, in the 15th-16th centuries the feudal family of the Avalishvilis gained influence and power in Tory region (nowadays Borjomi Gorge). Sadgeri church of St. George was the center, as well as the burial church of these feudal lords. The surviving tombstones found in the church court belong to ecclesiastics and range in date from the 19th to 20th centuries. A question arises: if in the 15th and 16th centuries Sadgeri was the center and burial church of the Avalishvilies' feudal family, why did not the tombs of the family representatives survive? The answer can be found in a letter preserved in the private archives of Eqvtime Taqaishvili (1863-1953) under the number 1983. The following is mentioned in the accompanying note: "This is how were the Georgian architectural monuments, churches and monasteries destructed during the Tsarism not only in remote regions, but even in the areas like the Borjomi Gorge, which was the property of the Great Duke Mikhail Nikolaevich and later on of Nikolai Mikhailovich, his son. A letter written by Vasili Taganashvili, a postman from Akhaltsikhe, shows how the history was wiped out. The letter was written by him in June 1911 and was addressed to me."

Here follows the complete text of the letter:

ა.ბ.

What a disaster on our heads? What a misfortune has brought a croaking black raven? What do they want from a handful of people?... What have we done wrong or what is to be divided between us? That's the point ა.ბ. On 25 of this month I was visiting Borjomi. I went to the spa park for strolling. This is what did I see there. Steward of the Great Duke had invited an archaeologist from Moscow, who had excavated graves of our ancestors in the village of Sadgeri. From there they have removed carved tombstones and bones. After that they have visited the Mtsvane Monastery at a distance of 9 *versts* from Borjomi, and have taken a large plaque off the wall. The plaque bears images of Georgian princes and is accompanied by an inscription in Georgian *khutsuri* script. They have transported it to the spa park. It still lies there. I have heard that they are going to take it to Russia. They also intend to excavate ancient fortresses and towers. Nobody can contradict them; moreover they are accompanied by police-officer and constables. They claim that this is the Great Duke's estate, therefore they can act as they see fit. We don't see the way out and await for your assistance.

Looking forward to your prompt reply.

Written by postman from Akhaltsikhe

Vasili E. Taganashvili

25.VI.1911. Akhaltsikhe

My address is as follows:

г. Ахалцихе

почт. тел. контора В . Е. Таганашвили

After receiving this message, I sent a letter on behalf of the Georgian Society for History and Ethnography to the Great Duke and asked him to forbid his officials to act in this way. In his reply sent through Prince Mukhranski, the Great Duke wrote that he was not aware of the above actions, and that he had issued a strict order forbidding his officials to act in the same way" (Eqvtime Taqaishvili, №1983).

As we learn from the letter, Vasil Taganashvili, a postman from Akhali Tskhe, informed Eqvtime Taqaishvili about the poor state of Sadgeri and Chitakhevi monasteries. According to him, the ruler of Borjomi had invited an archaeologist from Moscow and had taken him to Sadgeri. From there they have removed carved gravestones and bones of the Avalishvilis. Based on the above letter, it is possible to state that till 1911 tombstones of the members of the Avalishvilis' feudal family lay in the courtyard of the Sadgeri church. In 1911 these carvings were removed from the site and transported to the spa park of Borjomi. This is the reason for the lack of the Avalishvilis' tombstones in the court of Sadgeri church.

We also learn from the letter that after finalizing work at Sadgeri, they have moved on to Mtsvane (Chitakhevi) Monastery from the wall of which they had taken off a large plaque with images of Georgian princes, accompanied by an inscription in *asomtavruli* script. The plaque and carvings were transported to the spa park in Borjomi.

According to Vasil Taganashvili, the above-mentioned individuals intended to transport the artifacts to Moscow. Vasil Taganashvili asked for Eqvtime Taqaishvili's assistance. The latter had written a letter to Romanov, who had replied him

through certain Mukhranski stating that he was unaware of these actions of his officials.

At the end of the 19th century and beginning of the 20th century, a number of foreign travelers have visited Borjomi. Taking this into consideration, I attempted to search for copies or notes concerning the inscriptions in diaries. To accomplish this task I worked at the Museum of local lore, history and economy, though did not find there anything of interest.

Thus, the above archive document contains important accounts about inscriptions of Sadgeri and Chitakhevi churches, which unfortunately vanished as a result of rivalry between members of the Royal family of the Romanovs and of the feudal house of the Avalishvilies.

ଶାବ୍ଦିକା






1. ახალდაბას ციხე. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან
The fortress of Akhaldaba. The view from north-east.



2. ფოთოლეთის ეკლესია. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან
Potoleti Church. The view from south-west.



3. რველის ციხე. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან
The Fortress of Rveli. The view from south-west.



4. სამის ციხე. ციხის შიდა სივრცე
The Fortress of Samistsikhe. Courtyard of the fortress.



5. რველის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია. ზედი სამხრეთიდან
Rveli Church of the Mother of God. The view from south.




6. ბერისსაყდრების ეკლესია. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან
The church of Beris-Sakdreibi. The view from south-east.



7. ყვიბისის
მთავარანგელოზის
ეკლესია. ხედი სამხრეთ-
აღმოსავლეთიდან
Kvibisi church of
Archangels. The view
from south-east.




8. ყვიბისის წმიდა გიორგის
სახელობის ეკლესია. ხედი
სამხრეთიდან
Kvibisi church of St.
George. The view from
south.



9. 1851 წლის ქაიხოსრო
ავალიშვილის საფლავის
ქვის ეპიტაფია
1851. The epitaph of
Qaikhosro Avalisshvili.



10. ვაშლოვანის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია. ზედი დასავლეთიდან
Vashlovani church of St. George. The view from west.



11. გოგიას ციხე. საერთო ხედი
The fortress of Gogia. General view.



12. პეტრეს ციხე. ხედი
სამხრეთ-დასავლეთიდან
The fortress of Peter. The
view from south-west.

13. ლიკანის ღმრთის-
შობლის სახელობის
ეკლესია. ხედი
სამხრეთიდან
Likani church of the
Mother of God. The
view from south



14. XVI საუკუნის 40-ანი
წლები. ლიკანის სამრეკლოს
ქაშად ავალიშვილისა და
მისი თანამეცხედრის, მეფეთ
მეუს ასულის თამარის
სამშენებლო წარწერა
1540s. Construction
inscription on the belfry of
Likani, with the mention of
Qishva Davalishvili and
Tamar, his spouse, daughter
of the king of kings.



15. ჩითახევი ეკლესია (მწვანე მონასტერი). ზედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან
Chitakhevi church (Green Monastery). The view from south-east.



16. ჩითახევის ეკლესიის ანტეფიქსის ქვის ასომთავრული წარწერა წმიდა
გიორგის მოხსენიებით
Antefix with inscription in asomtavruli script, mentioning St. George.
Chitakhevi church.



17. ხევწის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია. ხედი სამხრეთიდან
Khvetsi church of St. George. The view from south.



18. ჭობისხევის მაცხოვრის სახელობის ტაძარი. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან
Chobiskhevi church of the Saviour. The view from south-west.



19. ჭობისხევის ციხე-კოშკი. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან
The tower of Tchobiskhevi. The view from north-west.



20. კვირაცხოვლის ეკლესია. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან
Church of St. Thomas. The view from south-west.



21. კვირიკეტამიდის ეკლესია. საკურთხევლის მხატვრობა
Church of Kviriketsmida. Wall painting in the sanctuary.



22. დვირის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან
Dviri church of Archangel. The view from south-west.



23. დვირის ციხის ნანგრევები. ხედი ჩრდილოეთიდან
Ruins of the Dviri Fortress. The view from north.



24. ქვბისხევის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან
Qvabiskhevi church of the Mother of God. The view from south-west.



25. ქვაბისხევის ეკლესიის სამხრეთი ნავის მხატვრობა შოთა და იაის გამოსახულებით

Portraits of Shota and Iay, the wall painting in south nave of Qvabiskhevi church.




26. შოთას და იაის ფერწერული წარწერა ქვაბისხევის ეკლესიიდან

Fresco inscription of Shota and Iay from Qvabiskhevi church.



27. მოლოზანას ციხის ნაგრევი. ხედი სამხრეთიდან
Ruins of the Molozana Fortress. The view from south.



28. დემოტისის ციხე. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან
The fortress of Demotistsikhe. The view from south-west.



29. გუჯრისხევის ეკლესია. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან
Gujriskhevi church. The view from south-east.



30. საკირის სასაფლაოს ეკლესიის საკურთხევლის აფსიდი
Chancel apse. Cemetery church of Sakire



31. საყდრივაგის ეკლესია. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან
Sakdrivake church. The view from south-west.



32. ტაძრისის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია. ხედი სამხრეთ-
დასავლეთიდან
Tadzrisi church of the Mother of God. The view from south-west.



33. საკირის ციხე. ზედი სამხრეთიდან
The fortress of Sakiristsikhe. The view from south.



34. სლესის ციხე. ზედი დასავლეთიდან
The fortress of Slesistsikhe. The view from west.



35. წითელი ეკლესია. სედი ჩრდილო-დასავლეთიდან
Red church. The view from north-west.



36. გუჯარეთის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია. სედი სამხრეთ-
აღმოსავლეთიდან
Gujareti church of St. Nicholas. The view from south-east.



37. ღინტურის ტაძარი. ზედი დასავლეთიდან
Ghinturi church. The view from west.



38. ღმრთისმშობლის ეკლესია. ზედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან
Church of the Mother of God. The view from south-east.

39. მაჭარწყლის
ეკლესია. ხედი
ჩრდილო-
დასავლეთიდან
Macharistskali
church. The view
from north-west.



40. იოვანეს უცნობი სა-
კედრებელი ნაკარ-
წარწერა მაჭარ-
წყლის ეკლესიიდან
Unknown suppli-
cation inscription by
Iovane from Ma-
chartskali church.

41. სარბიელას ციხე.
საქოთო ხედი
The fortress of
Sarbiela. General
view.





42. ტიმოთესუბნის
ღმრთისებრიბლის
ეკლესია. წედი
ჩრდილოეთიდან
Timotesubani
church of the
Mother of God. The
view from north.

43. ტიმოთესუბნის
წმიდა ბარაბარეს
სახელობის
ეკლესია. წედი
სამხრეთიდან
Timotesubani
church of St.
Barbara. The view
from south.



44. XII-XIII სს. შალვა
ერისთავის წარწერა
ტიმოთესუბნის
წმიდა ბარაბარეს
ეკლესიიდან
XII-XIII c. Inscription
by Eristavt-
Eristavi Shalva from
Timotesubani
church of St.
Barbara.




45. უზნარიანის ციხე. ზედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან
The fortress of Uznariani. The view from north-east.



46. მჟეთამზეს წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი. ზედი სამხრეთიდან
Mzetamze church of St. George. The view from south.



47. დაბის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან
Daba church of St. George. The view from north-west.



48. 1333 წ. გიორგის V პრეუნგალის (1318-1346 წწ.) მოლარეორჟუცესის სამშენებლო წარწერა დაბის ეკლესიიდან
Construction inscription by Molaretukhutsesi of king Giorgi V the Brilliant (1318-1346). Daba church.



49. სადგერის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან
Sadgeri church of St. George. The view from south-east.



50. ციხისჯვრის ციხე და ეკლესია
The Fortress and church of Tsikhisjvari



51. თორის წმიდა გიორგის ეკლესია. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან
Tori church of St. George. The view from south-east.

სარჩევი

1. შესავალი.....	3
2. ბორჯომის ხეობის ისტორიული და ხუროთ- მოძღვრული ძეგლები	9
3. დანართები	131
4. ტაბულები	193

Contents

1. Introduction	3
2. Historical and architectural Monuments of the Borjomi Gorge	9
3. Addendums	131
4. Tables	193



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, გ. ჭავჭავაძის გამზ. 19, ტელ: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge